საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო
გამოიცემა 1934 წლიდან
№ 286 (12 657) 5 დეკემბერი პარასკევი 2008 ფასი 50 თეთრი



# რაგბი

## იცვლება გენერალური მდივანი?

### უგულავას ნაცვლად არველაძე



» 2



## ქართული ფეხბურთი სწორ გზაზე არ დგას

მანახეთ, ვინ დაწერა ფეხბურთის განვითარების პროგრამა?

ინტერვიუ ლევან ყიფიანთან » 2



## რანგნიკი ბაიერნის სკალპს ითხოვს

გერმანია ბაიერნი-ჰოფენჰაიმის გამო შეიშალა

რა მოხდება დღეს მიუნხენში? » 6

ფეხბურთის ფედერაცია

# რატომ იცვლება გენერალური მდივანი?

## უგულავას ნაცვლად არველაძე, არველაძის ნაცვლად... უგულავა?

ფეხბურთის ფედერაციაში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა - გენერალური მდივანი **უჩა უგულავა** პოსტიდან გადადგა, მის ნაცვლად კი ვიცე-პრეზიდენტი **რევაზ არველაძე** დაინიშნა. ფედერაციის პრესატაშე **სანდრო ცნობილაძემ** „ლელოს" ინფორმაცია არ დაადასტურა - ამას თავად ფედერაციის ხელმძღვანელები უარყოფენო. თუმცა დანამდვილებით ვიცით, რომ საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილია და გენერალური მდივანი არველაძე გახდა.

ფედერაციაში მისვლამდე, უგულავა, როგორც მენეჯერი, „ჯი-ვი-სი"-ში წარმატებით მუშაობდა და როგორც ამტკიცებენ, ბიზნესში დაბრუნება სურდა, ასე ვთქვათ, სკამს არ ებღაუჭებოდა. პიროვნული და პროფესიული თვისებების გამო, სხვადასხვა საფეხბურთო მხარეს შორის დაპირისპირებების დროსაც კი უგულავა პოზიტიურ როლს თამაშობდა, ყოველმხრივ პატივისცემას იმსახურებდა და თავადაც პატივს სცემდა ოპონენტებს, რაც მასთან თანამშრომლობის სურვილს ბადებდა...

ფეხბურთიდან მისი წასვლა კარგი არ იქნებოდა თავად ფედერაციისთვისვე და კარგია, რომ დარჩენა სთხოვეს. ყოველ შემთხვევაში, სურვილი ასეთია. არველაძეს კი ფედერაციის საქმეების დალაგების იმედს უკავშირებენ. თუმცა კონკრეტულად რა არის არეული და დასალაგებელი, არაფერს ამბობენ.

ჩვენი ინფორმაციით, რაკი არველაძე გენერალური მდივანი ხდება, ნაკრების გუნდების საკურატორო ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე აღარ იმუშავებს. აი, აქ კი ყველაზე საინტერესოს მივადექით. საქმე ისაა, ის და უგულავა პოსტებს ცვლიან - სანაკრებო საქმეთა კურატორი, ანუ ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი, უგულავა გახდება. ყოველ შემთხვევაში, ასეთია ფედერაციის წინადადება. ამ პოსტზე კიდევ ერთი ვიცე-პრეზიდენტის **გრიგოლ ცაავას** კანდიდატურაც განიხილება, მაგრამ უგულავას დანიშვნის ალბათობა უფრო მაღალია.

არ გვინდა, ჭორებს ავყვეთ და ამ გადაადგილების არსზე ნაჩქარევად ვიმსჯელოთ. ეს ყველაფერი სამშაბათს დადასტურდება და მანამდე, შეიძლება, უფრო ხელჩასაჭიდი ინფორმაციაც გვქონდეს.

დიახ, სამშაბათს, 9 დეკემბერს, ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა გაიმართება და საკადრო გადაადგილებებზე მსჯელობაც ამ სხდომაზე იქნება, მერე კი ოფიციალურ ინფორმაციასაც გააჟღერებენ.

აღმასკომი 14 საათზე დაიწყება. იმსჯელებენ საკლუბო ფეხბურთში შექმნილ მძიმე ფინანსურ მდგომარეობაზეც. ცნობილი პრობლემების გამო, ქართული კლუბები მძიმე სიტუაციაში არიან და ბუნებრივია, ფედერაცია ამ საკითხს უყურადღებოდ ვერ დატოვებს.

ბოლოს და ბოლოს, სამშაბათის აღმასკომზე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელის საკითხიც დადგება. როგორც იცით, **პეტარ შეგრტი** ცოცხალი თავით არ აპირებს გადადგომას. **ნოდარ ახალკაცის** გარდა, ფეხბურთის ფედერაციაში მას არავინ უჭერს მხარს. სწორედ ახალკაცის სიტყვებია - შეგრტის საკითხის აღმასკომზე გატანა ჯერ არ მომწიფებულაო. მაგრამ აქ ერთი დეტალია გასათვალისწინებელი - ტექნიკურ დირექტორად დანიშნულ შეგრტს ფედერაციამ კონტრაქტი 2009 წლის ბოლომდე გაუფორმა. ეტყობა, სწორედ ესაა დამაბრკოლებელი ფაქტორი. ხორვატი თბილისში ორშაბათს ჩამოვა. მას ფედერაციის ხელმძღვანელები შეხვდებიან და მერე თავად გამოიტანს დასკვნას, ულირს დარჩენა თუ არა.

გუშინ ამ საკითხებზე ფედერაციის ხელმძღვანელებმა პრეზიდენტ ახალკაცთან ერთად იმსჯელეს...

ინტერვიუ

ლევან ყიფიანი

# ქართული ფეხბურთი სწორ გზაზე არ დგას

## რატომ არ შეიძლება საფეხბურთო დოქტრინის შეცვლა? ყიფიანი პასუხებს და დიფერენცირებულ გადასახადებს ითხოვს



**ლევან ყიფიანი და მოძრაობა „ჩვენი ფეხბურთი" ასპარეზს უბრუნდება. თუმცა როგორც ჩვენი რესპონდენტი ამბობს, საფეხბურთო ოპოზიცია ამ ასპარეზს არც ჩამოშორებია. უბრალოდო, - გვსაყვედურობს ყიფიანი, - „ჩვენი ფეხბურთის" გეგმების გაშუქებისგან მედია თავს იკავებსო...**

**- ლევან, „ჩვენი ფეხბურთი" ბოლო ხანებში აღარ ჩანს...**

- აგვისტოს ომის გამო ფეხბურთისთვის არავის გვეცალა. არ არის გასაკვირი, რომ დღეს უფრო მეტი პრობლემაა, ვიდრე ომამდე იყო. ქვეყანაში არსებულმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა კრიზისმა ქართულ ფეხბურთში არსებული პრობლემები კიდევ უფრო გაეღრმავა. ჩვენდა საუბედუროდ, მას საუკეთესო დრო არ უდგას. „ჩვენი ფეხბურთი" არც პოლიტიკური პარტიაა და არც ვინმეს მარიონეტი ორგანიზაცია, რომელიც ხმაურიანი აქციებით ინტერესდება. გვსურს, ნესიერება, პატიოსნება და სამართლიანობა ფეხბურთში ერთხელ და სამუდამოდ დავამკვიდროთ. ეს ჩვენი უმთავრესი მოთხოვნაა. საამისოდ, სამართლიანი საფეხბურთო არჩევნების დანიშვნა და საარჩევნო კანონებში ცვლილებებია საჭირო. არჩევნებში ფეხბურთის ფედერაციის ყველა სუბიექტს უნდა მიეცეს მონაწილეობის უფლება. ამას ფიფას წესდება ითვალისწინებს. ყველაზე დაბალი საფეხურებიდან ხმა უნდა მიაწოდონ მათ, ვინც ფეხბურთის განვითარებაზე პასუხისმგებლობა აიღო თუ მომავალში აიღებს.

**- ეს მოთხოვნა ფეხბურთის ფედერაციის დაარსების დღიდან ისმის, მაგრამ ფედერაცია სათავისო ბერკეტს ხელიდან არასდროს უშვებდა...**

- გადაწყვეტილება ფედერაციის აღმასკომმა უნდა მიიღოს. აღმასკომის რიგი წევრებისადმი ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ეს ორგანო ქმედითუუნაროა. ქართულ ფეხბურთში ვითარება რომ გაუმჯობესდეს, აღმასკომის წევრები უმოკლეს დროში უნდა შეიცვალონ. რა თქმა უნდა, ვითარება უცებ ვერ გამოსწორდება, ხვალვე მსოფლიოსა და ევროპის პირველობებზე ვერ მოვხვდებით... აქ, უპირველესად, მიმართულების კარგად და სწორად შერჩევაა საჭირო. დღეს კი ქართული ფეხბურთი სწორ გზაზე არ დგას. ამ არაცა ჩანს კონკრეტული პიროვნებები და რაღაც ჯგუფების ინტერესები, რომლებიც ამ სფეროზე ცუდად ზემოქმედებენ. ეს უნდა მოიშალოს და მალე ასეც მოხდება, ამას დრო მოიტანს.

**- პერიოდულად ისმის კიდეც ხმები - ახალკაცს პრეზიდენტობა აღარ სურს, უგულავა წასვლა და ბიზნესში დაბრუნება სურს და ასე შემდეგ...**

- მე არ ვიცი, ვინ რას აპირებს, მაგრამ ამ შექმნილ მდგომარეობა და ფედერაციის პოზიცია მაშფოთებს. საინტერესოა, ფეხბურთის განვითარების როგორ პროგრამას შემოგვთავაზებს ფედერაცია. სამწუხაროდ, დალაგებული, ჩამოყალიბებული კონცეფცია არ არსებობს. ბავშვური მიდგომაა, დაახლოებით ასეთი - „გამდის და ვტირი". ამას ცუდი შედეგი მოჰყვება, უპირველესად იმ ადამიანებისთვის, ვინც ასე ფიქრობს. ჯიბრით ცხოვრება არ შეიძლება. ფეხბურთი ჩვენთვის შთამომავლობით არავის დაუტოვებია, ის საერთო საგანძურია და თითოეულ ჩვენგანს ეკუთვნის. რაც დღეს ქართულ ფეხბურთში ხდება, მის შემფასებელი გულშემატკივარია. ჩვენნაირ მდგომარეობაში მყოფ ბევრ ქვეყანაში ფეხბურთი აღმასვლას განიცდის, საქართველოში კი აშკარა რეგრესია. ჩვენდა საუბედუროდ, წელს ჩემპიონატს ხალხმა ზურგი რეგიონებშიც შეაქცია, რაც, ასევე, რეგრესის უტყუარი მაჩვენებელია. ზოგიერთი მატჩი სულაც უმაყურებლოდ ტარდება. ესე იგი, შიგნით, სამზარეულოში რაღაც ხდება.

**- ეს შიდა სამზარეულოს ბრალია თუ ფეხბურთში სახელმწიფოს ჩარევის?**

- კონკრეტული ფაქტები რომ მექნება, მაშინ ვიტყვი, რა ფორმით ერევიან ფედერაციის საქმიანობაში. ნაკრების შედეგები, ბავშვთა ფეხბურთში არსებული მდგომარეობა და საფეხბურთო ინფრასტრუქტურა გვაფიქრებინებს, რომ მდგომარეობა სავალალოა. ფედერაციის პრეზიდენტს ამის თაობაზე კითხვები დავუსვით, მაგრამ მან მხოლოდ ის გვითხრა, თუ რა გაუკეთებია. ეს ბავშვური პასუხია. საზოგადოება კონკრეტულ კითხვებზე კონკრეტულ პასუხებს ელის. ხალხს აინტერესებს, რატომ დაეცა ასე ქართული ფეხბურთი. სხვათა შორის, ვამჩნევ საინტერესო ტენდენციას - ყველანაირად ცდილობენ, „ჩვენი ფეხბურთის" პოზიციის დაჩრდილვას. რამდენჯერმე მოხდა - ჩამომართვეს ინტერვიუ, მაგრამ ყოველგვარი მიზეზის გარეშე, არ გაუშვეს. ალბათ, ვიღაცას განსხვავებული აზრი არ მოსწონს, ხელს არ აძლევთ ჩვენი აზრების საზოგადოებამდე მიტანა... „ჩვენს ფეხბურთში" ახირებული ადამიანები არ გავწევრიანებულვართ, არავისთვის არ არის კრიტიკა თვითმიზანი. სამწუხაროდ, ამას მდგომარეობა გვაიძულებს. არადა, ჩვენი გამოსვლები დაგვიანებულიც არის. უფრო მეტი აქტიურობა მართებთ ვეტერანებსაც, ვინც ხალხის სიყვარული ფეხბურთით მოიპოვა. ნუთუ ასე ადვილად ეგუებიან იმ სახეობის მოსპობას, რომელიც თითოეული ჩვენგანისთვის ასე ძვირფასია?!

**- რა მიმართულებით აპირებთ გააქტიურებას?**

- მიხეილ ყაველაშვილი შვეიცარიაშია და ჩვენს მეგობრებს ხვდება. მათ საქართველოსთან პარტნიორობა სურთ. ჩვენ კი ადგილობრივ სტრატეგიას ვამუშავებთ და მალე საზოგადოებას წარვუდგენთ. ჩვენი ჯგუფი ფეხბურთის განვითარებაზე იმუშავებს. მასში ჩართვა ბრაზილიაში დასაქმებულ ერთადერთ ქართველ მწვრთნელ გოჩა ალადაშვილს ვთხოვეთ. ალადაშვილს ბრაზილიის საფეხბურთო წრეებში უდიდესი ავტორიტეტი აქვს. წარმოიდგინეთ, ამ უდიდეს საფეხბურთო ქვეყანაში ის ფიზმომზადების ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტია და არა მარტო ფიზმომზადებაში. ჩვენი რესურსი თუ ვერ გამოვიყენეთ, რომელ განვითარებაზეა ლაპარაკი? ომის გამო, ალადაშვილი საქართველოში ოთხი თვე შეყოვნდა და ვითომც არაფერი - ფედერაცია მისით არც დაინტერესებულა. ნუთუ გვაწყენდა მისნაირი სპეციალისტის გამოყენება? გონივრული სტრატეგია თუ არ შევიმუშავეთ და საუკეთესო სპეციალისტები არ შევკრიბეთ, მალე ლუქსემბურგისა და ფარერების დონეზე დავეშვებით. ჩვენი ქვეყანა ისეთი მდიდარი არ არის, უცებ ბრაზილიას და გერმანიას შევწვდეთ. თუმცა საქართველოში იბადებიან ტალანტები, რომელთაც აღმოჩენა და ხელშეწყობა სჭირდებათ. ამით ხომ ისევ ქვეყანა ისარგებლებს?

**- სხვათა შორის, ტალანტებს ექტორ კუპერიც ეძებს. ისევე, როგორც ტოპმიოლერის შემთხვევაში, არც მის ჩამოყვანას დაუჭირეთ მხარი...**

- კუპერი კეთილსინდისიერად მუშაობს, სამენეჯერო ინტერესის მქონე ადამიანები ნაკრებს ჩამოაშორა და ეს უდავოდ დიდი საქმეა. არ ვიცი, ვინ დარჩა თამაშგარეში, მაგრამ ეს ხმები უსაფუძვლო არ უნდა იყოს. შეუძლებელია, კუპერის მიმართ დადებითად არ განეწყო, მაგრამ ჩვენი ფეხბურთი და სახელმწიფო იმ დონეზე არ არის, თავს ამხელა ფუფუნების უფლება მისცეს. სახელგანი მწვრთნელის ჩამოყვანა მხოლოდ მიკროწარმატებისკენ მიმართული პროექტია, მაგრამ საერთო განვითარებას ხელს ვერ შეუწყობს. ფეხბურთი ხეჭეჭურივითაა - ნაყოფს დიდხანს ელოდები. ამიტომ, მისი პერსპექტივა გრძელვადიანი პერიოდით უნდა გათვალო. მოკლევადიანი პროექტი გაუმართლებელია. საუბედუროდ, ამ ხანმოკლე პროექტებმაც არ იმუშავა.

**- უშიშროების საბჭოს მდივანმა, კახა ლომაიამ „ლელოსთან" ინტერვიუში ბრძანა - შეიძლება, მართალი იყოს, რომ მწვრთნელებში გაღებული თანხების მთლიანად ადგილობრივი საჭიროებისთვის მოხმარება სჯობდაო...**

- ეს ლომაიას ან სხვა სახელმწიფო მოხელის დონეზეა გადასაწყვეტი?

**- რა თქმა უნდა, სახელმწიფო მოხელეები წყვეტენ, რას უნდა მოხმარდეს ბიუჯეტის თანხა...**

- ბუნებრივია, ფეხბურთი სახელმწიფოს დახმარების გარეშე ვერ იარსებებს, მაგრამ მეორე საკითხია - სწორია თუ არა დაფინანსების მიმართულება? და ვინ ელაპარაკება ამაზე სახელმწიფოს? ვინ აწვდის ამ ინფორმაციებს? სახელმწიფოსთანაც გვაქვს კითხვები - დიფერენცირებული გადასახადების გარეშე ფეხბურთი და რომელიმე სფერო განვითარდება? ვგულისხმობ იმ „ბრტყელი სივრცის" გადასახადს, რომელიც საფეხბურთო სკოლასა და რესტორანს ერთნაირად ბეგრავს. საერთოდ, ეს დოქტრინა გადასახედია. ქვეყნები კონსტიტუციებსა და სამხედრო დოქტრინებს ცვლიან და რა პრობლემა გაგვიხდა ამ მცდარი საფეხბურთო დოქტრინის შეცვლა? და საერთოდ, ვინ არის ამ საფეხბურთო დოქტრინის ავტორი? ხომ შეიძლება, გამოჩნდეს და თქვას, რის საფუძველზე გახდა პრიორიტეტული ნაკრების მწვრთნელის ჩამოყვანა და არა - უფრო სიღრმისეული პრობლემების მოგვარება? სწორედ ამ უსაფუძვლო დოქტრინისა და მათი ავტორების წინააღმდეგია „ჩვენი ფეხბურთი", თორემ პიროვნულად კუპერს არას ვერჩით.

**- ხომ იცით, რომ სახელმწიფო პროგრამა ფეხბურთის ფედერაციამ და თავად სახელმწიფომ შექმნეს?**

- კი, მაგრამ ვირტუალურია ის პიროვნება, ვინც საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს? გვეუბნებიან, რომ ამ პროგრამაზე რაღაც ჯგუფები მუშაობენ და მერე ინგლისელები ამუშავებენ. ეს ტყუილები ვისზეა გათვლილი? არგენტინელზე აუგი როგორ ვთქვა, მაგრამ აქვს კი ის რესურსი, შედეგს რომ მიაღწიოს? ჩვენი მოწინააღმდეგეები ამბობენ, თემურ ქეცბაიამ ჩამოსვლაზე უარი განაცხადაო. მაგრამ შესთავაზეს ამ ადამიანს ისეთი წინადადება, თანხმობა რომ ეთქვა? იქნებ, მისი იგნორირების მთავარი მიზეზი ის გახდა, რომ ქეცბაია დამოუკიდებელი პიროვნებაა და ნაკრებში წმინდა საფეხბურთო ინტერესებს გაატარებდა?

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 45 43 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი კვირის ათასი წვრილმანი

დავით თავართქილაძის რუბრიკა

# ცვლილებაც უკვე საქმეა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია თავს მოაბამს პეტარ შეგრტისა და ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების საკითხს, საქართველოს 19-წლამდელებმა კვიპროსზე, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევში ითამაშეს და ხელი მოეცარათ. კვიპროსიდან დაბრუნებული გუნდის ერთ-ერთ მწვრთნელს ვესაუბრე და მითხრა, მართლა
კარგი ნაკრები გვყავდა, მაგრამ გამძლეობაში მოისუსტეს ბიჭებმა და ამიტომაც ჩავფლავდითო. ქართველი ჟურნალისტები ეროვნულ ნაკრებს ველარ დავყვებით გასვლით მატჩებზე და ცხადია, 19-წლამდელებს კვიპროსზე მედიიდან არავინ ახლდა. ოფიციალური ინფორმაცია და მეგობრულ-შინაურულად გადაკრული სიტყვები - ამით უნდა დაიხატოს სურათი. ზოგადად, სურათის ხატვა ხელოვნებაა. როცა კლაუს ტოპმიოლერმა გიორგი მაკარიძე ეროვნულ ნაკრებში აიყვანა და ათამაშა, გვითხრა - ეს ახალგაზრდა მეკარე ფეხით ჩინებულად თამაშობს და საერთოდაც, დიდად ნიჭიერიაო.


გიორგი მაკარიძე

მაკარიძე მაშინ თბილისის „დინამოს" ფეხბურთელი გახლდათ, მაგრამ ამ კლუბის მეორე გუნდშიც კი არ ათამაშებდნენ.
ტოპმიოლერმაც, საქართველოს გაუბედა და ასეთი ფეხბურთელი ეროვნულ ნაკრებში ათამაშა.
ცხადია, გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ფეხბურთის ფედერაციასა და ტოპის მერკანტილური მიზნები ამოძრავებდათ - მაკარიძეს ნაკრებში იმიტომ ათამაშებდნენ, რომ მერე სადმე გაეყიდათ. მოკლედ, სურათი მთლად კარგად ვერ დაიხატა...
ხშირად, პრიმიტიული ზრახვები ასრულებადია, ყოველ შემთხვევაში, ასრულებასთან ახლოსაა, მაგრამ ფაქტია, ფედერაციასა და ტოპმიოლერს მაკარიძე არ გამოადგა, ეს მეკარე არ გამოადგა საქართველოს ნაკრებსაც... თუმც არის შანსი, რომ გამოადგეს...
კვიპროსზე 19-წლამდელთა კარში მაკარიძე იდგა და დანიასთან მატჩში (2:2) ორივე გაშვებული გოლი მას დაჰბრალდა. კვიპროსიდან დაბრუნებულ გიორგის კი კარგი ამბავი დახვდა - ერთ-ერთმა აგენტმა დორტმუნდის „ბორუსიაში" გასინჯვაზე წასვლა გაუხერხა. ვინც მაკარიძის გერმანიაში წასვლაზე იზრუნა, ალბათ, კარგად იცის ამ მეკარის ავანჩავანი - საქართველოს ეროვნულ თუ 19-წლამდელთა ნაკრებში არცთუ კარგად ჩატარებული თამაშები. მაგრამ აქ სხვა რამეშია საქმე - მაკარიძე, როგორც მზა მეკარე, ჯერ არავის სჭირდება, მაგრამ მას კარგი ფიზიკური მონაცემები აქვს და თუ სწორ გზაზე დააყენებენ, მისგან კარგი მეკარე გამოვა. მაშ, სხვა მიზეზით რატომ უნდა წაეყვანათ დორტმუნდში?
ევროპა შეიცვალა და მასთან ერთად - საფეხბურთო ევროპაც. მაგალითად, გერმანიაში ნიჭიერი ფეხბურთელი ისეთი დიდი პრობლემაა, სად აღარ ეძებენ საშუალო გაქანების ახალგაზრდებსაც კი. მაკარიძე რამდენად ნიჭიერია, მალე გამოჩნდება, მაგრამ საინტერესო ფეხბურთელი რომ არის კარგი ევროპული გუნდისთვის, უკვე საქმეა. გერმანიაში, ალბათ, იმის იმედიც აქვთ, რომ მაკარიძე გერმანელ თინეიჯერებზე უფრო მონდინებული იქნება. ევროპის კარგ ქვეყნებში ისეთი ტენდენცია შეიმჩნევა, რომ ფეხბურთელობა არ არის მოზარდებისთვის დიდი ოცნება - უმაღლესი თუ არა, საშუალო განათლებითაც ისე გაიკვლევ გზას ცხოვრებაში, რომ კარგი მანქანა, ოხშივრიანი ღორის ხორცი და ლუდით შეორთქლილი კათხა არასოდეს მოგაკლდება. ეს თავისებური შანსია ჩვენნაირი ქვეყნებიდან გამოსული ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის და მაკარიძეც ამ შანსს ეჭიდება. თუ ეს ტრანსფერი გამოვა, ოფიციალური აგენტის გარდა, მასზე ხელს ვერავინ მოითბობს - ასეთია კულუარული ინფორმაცია. მოკლედ, საქმეს კარგი პირი უჩანს...

■ ■ ■

ფეხბურთის ფედერაციაში კი ცვლილებები იგეგმება, რაზეც მსჯელობა და ვარაუდების გამოთქმა ახლავე შეიძლება, მაგრამ მოდი, მაინც დაველოდოთ მოვლენების განვითარებას. ზოგადად, ხელისუფლების მხარდაჭერა მუდმივი არ არის, ისიც ყველამ ვიცით, რომ ფეხბურთის ფედერაციაში და მის გარშემო ატეხილმა ამბებმა ხელისუფლება არაერთხელ ჩააყენა უხერხულ სიტუაციაში...

■ ■ ■

ამასობაში, რაინერ ცობელის ხელში „დინამომ" პირველი ტიტული მოიგო. ცობელის გუნდმა სეზონი კარგად ვერ დაიწყო, მაგრამ ახლა ბევრად უკეთ თამაშობს. „დინამო" ლონიერია, სუპერთასზეც გოლი მატჩის მიწურულს გაუტანა „ზესტაფონს" და ისე დაამარცხა, მეტოქეს მართლაც რომ აჯობა. „ზესტაფონში" გია გეგუჩაძის დებიუტი იყო. რა თქმა უნდა, მწვრთნელი უცბად ვერაფერს შეცვლის, თუმც „ზესტაფონი" მაინც სხვანაირი ჩანდა, თუნდაც იმიტომ, რომ კარში 11 კაცით არ ჩადგა... „ზესტაფონში" გეგუჩაძის მისვლა მხოლოდ იმიტომ არ არის დამაინტრიგებელი, რომ საინტერესო მწვრთნელია. მთავარი მწვრთნელი კლუბის ლერძია და საკითხავია, რამდენად შეეწყობიან ერთმანეთს გეგუჩაძე და „ზესტაფონი". როგორც უნდა იყოს, ეს ცვლილება ყურადღების მიმპყრობია, ცნობისმოყვარეობას აღძრავს და „ზესტაფონს" კიდევ უფრო აქტუალურ კლუბად აქცევს. მისმა ხელმძღვანელობამ გეგუჩაძის მიწვევით რადიკალური ნაბიჯი გადადგა.
დასავლეთის ფრონტი უცვლელია. ასე იყო ჩვენი საქმეც - ყალბმა, ჰეროიკულმა ტენდენციებმა ქვეყანა და მასზე მიბმული ფეხბურთი ლამის დალუპვის პირას მიიყვანა. ვითომ, ცვლილებები უკეთესობას მოიტანს? ყოველ შემთხვევაში, დამყაყებული ტენდენციებისგან გათავისუფლებაც უკვე საქმეა...

ინტერვიუ

ვახტანგ კვარაცხელია



# ახლა ბომბარდირობაზეც შეიძლება ფიქრი...

## ვიტ ჯორჯიაში პრობლემა მოხსნილია, ერთი ჯილდო მაინც უნდა მოვიგოთ

მეგოლე ფორვარდის დეფიციტი გახდა იმის ძირითადი მიზეზი, რომ „ვიტ ჯორჯია" წინა სეზონში უტიტულოდ დარჩა. ჰოდა, საამსეზონოდ ვიტელებმა ახალი თავდამსხმელი, ვახტანგ კვარაცხელია აიყვანეს, ფორვარდი, რომელიც ადრე ბომბარდირული თვისებებით დიდად არ გამოირჩეოდა, თუმც ორი-სამი წლის წინ საკმაოდ საინტერესო ფეხბურთელად მიიჩნეოდა. ამ დროისთვის, „ვიტ ჯორჯიაში" თავდამსხმელთა ასეთი დუეტი გამოიკვეთა - ჯაბა ლიპარტია და კვარაცხელია. ამ უკანასკნელმა მიმდინარე ჩემპიონატში უკვე 6 გოლი გაიტანა და ბომბარდირთა დავაში დაწინაურებულ მათე ვაწაძეს („დინამო") ოდენ ერთი ბურთით ჩამორჩება...

**- შეიძლება, ითქვას, რომ „ვიტ ჯორჯიას" მეგოლე თავდამსხმელის პრობლემა აღარ აწუხებს?**

- ალბათ, გუნდს მოეხსნა ეს პრობლემა და კარგია, თუ ჩვენი სამწვრთნელო შტაბიც ასე ფიქრობს.

**- „თბილისი", „ბათუმი"... „ვიტ ჯორჯიაში" მისვლამდე უცხოეთშიც მოასწარი თამაში...**

- ლიტვურ „ვეტრაში" განათხოვრებით წავედი და იქ ნახევარი სეზონი დავყავი, მაგრამ მალე ისეთი ფინანსური პრობლემები შეიქმნა, „ვეტრა" ლამის ყველა ფეხბურთელმა დატოვა. მე კი სამშობლოში დავბრუნდი... ლიტვის ჩემპიონატში ექვსი გოლი გავიტანე.

**- „ვიტ ჯორჯიამდე" ყველა გუნდში გიჭირდა ფეხის მოკიდება. ამას რითი ახსნი?**

- ეს ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხდებოდა, ყველაფერი ხომ მწვრთნელების გადასაწყვეტი იყო. მიმაჩნია, რომ სადაც წავედი, ყველგან ვიყავი იმის ღირსი, რომ გაცილებით მეტი სათამაშო დრო მოეცათ.

**- რა დაინახე „ვიტ ჯორჯიაში" სხვა გუნდებისგან მკვეთრად განსხვავებული? განა, ყველა გუნდში არ სურთ, რომ ფეხბურთელი ბოლომდე გაიხსნას და კარგად ათამაშდეს?**

- მივედი თუ არა „ვიტ ჯორჯიაში", ნდობა ვიგრძენი, უეფას თასის შესარჩევ ეტაპებზე სამჯერ ვითამაშე. საერთოდ, „ვიტ ჯორჯიაში" ასეთი პრინციპებია - თუ ვინმე თავს გამოიჩენს, ამას არავის დაუკარგავენ. მთავარი მონდომებაა.

**- „ვიტ ჯორჯიის" თავდასხმაში შენი მეწყვილე ჯაბა ლიპარტიაა...**

- მასთან თამაში სასიამოვნოა. ჯაბა ბევრს მოძრაობს, კარგ პასებს მაძლევს, ყველანაირად მიწყობს ხელს...

**- რა არის „ვიტ ჯორჯიის" მწვრთნელებისგან მთავარი დავალება ამ ტანდემისთვის? თავდასხმის როგორი მოდელის შექმნა სურთ?**

- ჩვენ შორის კავშირი არასდროს უნდა იყოს გაწყვეტილი, მე და ლიპარტია ერთმანეთთან და მეტოქის კართან ახლოს უნდა ვიყოთ, ბევრი ვიმოძრაოთ და მუდმივად ხიფათი შევქმნათ.

**- მიგაჩნია, რომ „ვიტ ჯორჯიაში" იპოვე საკუთარი თავი?**

- ასეა. ამაში თანაგუნდელებსა და მწვრთნელებს დიდი წვლილი მიუძღვით. „ვიტ ჯორჯიაში" რომ ვარ, ეს კლუბისა და ჩემი ერთობლივი სურვილია. პირველად მოხდა ჩემს კარიერაში, რომ სეზონისწინა უცხოურ შეკრებაზე სრულფასოვნად მოვემზადე. ყირიმში „ვიტ ჯორჯიამ" მართლაც ნაყოფიერი შეკრება გაიარა.

**- ახლა პირველ ადგილზე ხართ. კლუბის ხელმძღვანელობისგან კატეგორიული მოთხოვნაა ჩემპიონობაზე?**

- ვერ ვიტყვი, რომ ასე კატეგორიულად დგას საკითხი, თუმც არის დიდი სურვილი, რომ ამ სეზონში უტიტულოდ არ დავრჩეთ. დუბლი თუ არა, ერთი ჯილდო მაინც უნდა მოვიგოთ.

**- როგორ ფიქრობ, რით გამოირჩევა „ვიტ ჯორჯია" მონინავე ქართული გუნდებისგან?**

- ერთსულოვნებითა და გუნდური თამაშით. ჩვენთან არ არის შიდა კონფლიქტები, თითქმის ყველა ვიტჯორჯიელი ერთმანეთის მეგობარია, ბევრს ნათელმირონობაც აკავშირებს...

**- ბომბარდირთა დავაში ჩაები. სეზონის წინ ამას ვარაუდობდი?**

- არა, ამაზე არც კი მიფიქრია. მიუხედავად 6 გოლისა, საკუთარი თამაშით მაინც არ ვარ კმაყოფილი, ჯერაც ბევრი მაქვს დასახვეწი, თუმცა ბომბარდირობაზე ფიქრი ახლა უკვე შეიძლება.

**- 20 წლის ხარ და, ალბათ, როგორც ყველა შენი თანატოლი, უცხოეთში წასვლაზე ოცნებობ. საქართველოში ფეხბურთელის მნიშვნელოვანი წინსვლისთვის საჭირო პირობებს ვერ ხედავ?**

- საქმე ისაა, რომ ფეხბურთელი მხოლოდ ვარჯიშით ვერ გაიზრდება, ფეხბურთელი იზრდება თამაშით და ამიტომ, დიდი მნიშვნელობა აქვს, რომელ გუნდში და რომელ ქვეყანაში მოხვდები. წინსვლისთვის ამიტომაც არის აუცილებელი საქართველოდან წასვლა, თუმცა ჯერ აქ უნდა გამოიჩინო თავი.

დავით თავართქილაძე

ლეგიონერი

# ციმაკურიძე ტრანსფერზე

„ზარიამ" ქართველი მცველი გიორგი ციმაკურიძე ტრანსფერზე დააყენა. გუშინ ეს ინფორმაცია ლუგანსკური კლუბის ოფიციალურმა ვებგვერდმა გაავრცელა. ქვეყნის ჩემპიონატის პირველი წრის დასრულებისა და ზამთრის შესვენების დაწყებამდე „ზარიამ" 25 წლის უნივერსალს უსიამოვნო სიურპრიზი მოუმზადა.

საწყენია, რომ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი კაპიტნისა და დონეცკის „შახტარში" ნათამაშევი მცველის კარიერა ასე წარიმართა. სამწუხაროდ, უკვე მეორე წელია, ტრანსფერზე აყენებენ - „ზარიის" ხელმძღვანელობა ციმაკურიძეს შარშან ამ დროს საცალიგიურაო მოექცა. მაშინ, გიორგიმ სხვა კლუბში (იყო „ტავრიისა და სოლიგორსკის „შახტიორის" ვარიანტები) სცადა ჩარიცხვა, მაგრამ საბოლოოდ ისევ ლუგანსკში დაბრუნდა.

მერაბ მამულაშვილი


გიორგი ციმაკურიძე

პირველი ლიგა. აღმოსავლეთი

4 დეკემბერი

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია-თბილისი | 3:0 |
| დილა-კახეთი | 0:0 |
| ჩიხურა-გაგრა 2 | 3:0 |
| დინამო 2-სიონი 2 | 2:0 |
| ჰერეთი-ამერი | 0:4 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიხურა | 15 | 11 | 2 | 2 | 31-9 | 35 |
| 2. ამერი | 14 | 10 | 2 | 2 | 27-7 | 32 |
| 3. ვიტ ჯორჯია 2 | 14 | 8 | 5 | 1 | 25-5 | 29 |
| 4. დინამო 2 | 13 | 8 | 3 | 2 | 23-10 | 27 |
| 5. დილა | 15 | 6 | 5 | 4 | 21-12 | 23 |
| 6. სიონი 2 | 14 | 5 | 3 | 6 | 21-36 | 18 |
| 7. თბილისი | 14 | 4 | 2 | 8 | 20-23 | 14 |
| 8. გაგრა 2 | 15 | 4 | 2 | 9 | 20-36 | 14 |
| 9. კახეთი | 14 | 2 | 3 | 9 | 8-25 | 9 |
| 10. ნ/დინამო | 14 | 1 | 5 | 8 | 15-27 | 8 |
| 11. ჰერეთი | 14 | 1 | 4 | 9 | 10-31 | 7 |

პირველი ლიგა. დასავლეთი

4 დეკემბერი

| | |
|---|---|
| ზესტაფონი2-ბაია | 0:0 |

ხობი ისვენებს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაია | 15 | 10 | 4 | 1 | 25-6 | 34 |
| 2. მარტვილი | 14 | 9 | 4 | 1 | 25-11 | 31 |
| 3. სამტრედია | 15 | 9 | 2 | 4 | 26-12 | 29 |
| 4. კოლხეთი | 14 | 7 | 3 | 4 | 17-10 | 24 |
| 5. ჭიათურა | 15 | 7 | 1 | 7 | 24-20 | 22 |
| 6. ხობი | 14 | 6 | 3 | 5 | 16-20 | 21 |
| 7. ტორპედო 2008 | 15 | 6 | 1 | 8 | 12-11 | 19 |
| 8. გურია | 14 | 4 | 3 | 7 | 19-25 | 15 |
| 9. ზესტაფონი 2 | 14 | 4 | 5 | 7 | 13-21 | 15 |
| 10. ბათუმი | 15 | 3 | 4 | 8 | 16-26 | 13 |
| 11. მეშახტე | 15 | 1 | 2 | 12 | 9-36 | 5 |

სავარაუდო ტრანსფერი

# მაკარიძემ ბორუსიაში ივარჯიშა

## მეკარეს ყენიაც ნახავს

მოგეხსენებათ, ორიოდე დღის წინ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მეკარე **გიორგი მაკარიძე**, რომელმაც **კლაუს ტოპმიოლერის** დროს ეროვნულ ნაკრებში რამდენიმე მატჩი ითამაშა, გერმანიას გაემგზავრა. მაკარიძე დიუსელდორფში დორტმუნდის „ბორუსიის" მიწვევით, ამავე კლუბში გასასინჯად ჩავიდა. „ბორუსიის" წარმომადგენლები გიორგის დიუსელდორფში დახვდნენ, დორტმუნდში ჩაიყვანეს და სასტუმროში დააბინავეს.

მაკარიძეს ჯერ კლუბის ოფისი, ტიტულები და ბაზა დაათვალიერებინეს, გუშინ კი დორტმუნდის „ბორუსიის" მთავარ გუნდთან ერთად ავარჯიშეს. მაკარიძეს იქ კიდევ რამდენიმე დღის განმავლობაში დააკვირდებიან. დორტმუნდელებმა, წესით, საბოლოო გადაწყვეტილება დეკემბრის შუა რიცხვებამდე უნდა მიიღონ.

სარწმუნო წყაროს ცნობით, გიორგი კიდევ ორი გერმანული კლუბის - „მიუნხენისა" და „ჰამბურგის" ინტერესთა სფეროშია. დღეს დორტმუნდში მაკარიძეს „შალკეს" ნახევარმცველი **ლევან ყენია** მოინახულებს.

**დავით ცაბაძე**

მეტოქე. ბულგარეთი



ტერი ვენეიბლზი

# მარკოვს ვენეიბლზი შეცვლისო...

## რატომ დაივიწყეს გრანტი?

უკვე ვწერდით, რომ ბულგარეთის ნაკრების ან უკვე ყოფილი თავკაცი **პლამენ მარკოვი** 2 დეკემბერს იქაური საფეხბურთო კავშირის ალმასკომმა პოსტიდან გაათავისუფლა. იმ დღესვე ბულგარელები მისი შემცვლელის მოძიებას შეუდგნენ.

თავდაპირველად, და ესეც გაცნობეთ, მარკოვის ერთ-ერთ ალტერნატივად „ჩელსის" ყოფილი მწვრთნელი **ავრაამ გრანტი** დასახელდა. თუმცა მას მერე გრანტის გვარი აღარ უხსენებიათ. მით უმეტეს, როგორც ჩანს, ბულგარეთის საფეხბურთო კავშირს ფინანსურად ნამდვილად არ ულხინს - თუ სპონსორს მოვნახავთ, მაშინ, ეროვნულ ნაკრებს უცხოელ და თანაც ცნობილ სპეციალისტს ჩავაბარებთო, - აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში ბულგარეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა **ბორისლავ მიხაილოვმა**. საინტერესოა, ვინ იქნება ეს „ცნობილი უცხოელი" სპეციალისტი?

გუშინ ერთ-ერთმა პოპულარულმა ბულგარულმა ვებგვერდმა საგულისხმო ინფორმაცია გამოაქვეყნა - დიდი შანსია, ნაკრები ინგლისის ეროვნული გუნდის, „ბარსელონისა" და „ტოტენჰემის" ყოფილ თავკაც **ტერი ვენეიბლზს** ჩააბარონო. **ჯოვანი ტრაპატონის** დანიშვნამდე, ვენეიბლზი ირლანდიის ნაკრების მწვრთნელობის ერთ-ერთი კანდიდატიც იყო და ხსენებული ვებგვერდის აზრით, ჩვენი ჯგუფის მეტოქე ირლანდიელთა წინააღმდეგ ორმაგი მოტივაცია ექნებაო. ბულგარეთის საფეხბურთო კავშირის წარმომადგენლები კი ვენეიბლზის ვარიანტზე ჯერჯერობით არაფერს ამბობენ.

**დავით ცაბაძე**

ინტერვიუ

ლევან სილაგაძე

# სამი ქვეყნის ჩემპიონი

უკანასკნელად ზაფხულში ვისაუბრეთ; გაორებული გრძნობა ჰქონდა - ვერ გადამიწყვეტია, კარიერა გავაგრძელო თუ სხვა საქმით დავკავდეო. მით უმეტეს, რომ ბოლოს სადაც თამაშობდა, იმ კლუბის ხელმძღვანელობამ „ტაქტიანდელიკატურად"... იმავე გუნდში ერთ-ერთი დირექტორის პოსტი შესთავაზა. ანუ, ცოტა არ იყოს, სენტიმენტალური მომენტიც იყო: ფეხბურთელი ლევან სილაგაძე ყველამ რუსთავიდან გავიცანით და კარიერაც მშობლიურ ქალაქში უნდა დაესრულებინა. არადა, 32 წლის ასაკში ძნელია ასეთი გადაწყვეტილების მიღება. ბოლოს, გულმა მაინც მოედნისკენ გაუწია და ახალი სეზონისთვის მზადებას ბოლნისში შეუდგა; თუმცა, ზედ ჩემპიონატის დაწყების წინ ახალი გამოწვევა მიიღო და... სათამაშოდ აზერბაიჯანში, კერძოდ, ბაქოს „სტანდარდში" გაემგზავრა!

...რამდენი წელიწადია ერთმანეთს ვიცნობთ? ალბათ, 12-13 და ამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში რამდენჯერაც ინტერვიუს აღება დავაპირეთ, მუდამ „რაღაც" ხელის შემშლელი მიზეზი ჩნდებოდა. სულ პირველად „ახლოდან გაცნობის" სურვილი კი 1997 წლის 29 აპრილს გაგვიჩნდა - ინგლისისა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებების მატჩის მერე. ეს შეხვედრა ლონდონში, „ჩარლტონ ატლეტიკის" სტადიონზე ჩატარდა; იმ მატჩის ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი პაექრობა მასპინძელთა ამომავალი ვარსკვლავის, იმ დროისთვის „ლესტერის", მერე კი „ლივერპულის" ცენტრფორვარდის ემილ ჰესკისა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების დებიუტანტის, 20 წლის ლევან სილაგაძის უშელავათო „დუელი" გახლდათ, 90 წუთის განმავლობაში რომ გრძელდებოდა. სილაგაძეს მანამდე საქართველოს ჩემპიონატში ოცამდე მატჩი თუ ექნებოდა ჩატარებული, მაგრამ მეტოქის მრისხანე თავდამსხმელს ყველა ორთაბრძოლა მოუგო!

...მერე იყო უკვე საქართველოს ეროვნული ნაკრები (ოთხი წლის განმავლობაში შეუცვლელ ფეხბურთელად რომ მიიჩნეოდა და 21 შეხვედრაც ჩაატარა), ლატვიისა და რუსეთის ჩემპიონატებში მოპოვებული არაერთი ტიტული და ბოლოს, ისევ საქართველოში დაბრუნება. თუმცა, დანარჩენი, ალბათ, სჯობია თვითონ ლევან სილაგაძისგან შევიტყოთ, ვისაც გუშინ ვესაუბრეთ.

**- ლევან, სულ თავიდან დავიწყოთ და გვინდა, ფეხბურთში პირველი ნაბიჯები გაიხსენოთ.**

- 17 წლის ასაკში რუსთავის „იმედში" ჩავირიცხე და ცხონებული მურმან გოგოლაძის ხელმძღვანელობით საქართველოს ჩემპიონატის მეორე ლიგაში ალვზევდით. ბატონ მურმანს ჩვენს თაობამდეც ბევრი ისეთი ფეხბურთელი აღუზრდია, მერე შესანიშნავი კარიერა რომ ჰქონიათ.

**- თუ არ ვცდებით, თქვენი პირველი გუნდის თითქმის ყველა თანაკლუბელმაც მერე, მეტნაკლები წარმატებით იასპარეზა.**

- თითქმის აბსოლუტურმა უმრავლესობამ საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგაც ითამაშა, ზოგმა უცხოეთშიც მოსინჯა ძალები: არმაზ ჯელაძე, ზურაბ არჩვაძე, დიტო არსოშვილი, ამირან კედელაშვილი, მამუკა მელაძე, ზაზა პატარიძე, მიხეილ სახვაძე, გიორგი მიშველიძე. სულ მალე პირადად ჩემთვისაც მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა - რევაზ ძოძუაშვილმა რუსთავის „მეტალურგში" მიმიწვია.

**- ამ მწვრთნელთან თქვენ განსაკუთრებული დამოკიდებულება გაკავშირებთ...**

- არასდროს დამიმალავს და ახლაც სიამოვნებით გავიმეორებ, რომ ჩემი, როგორც პროფესიონალი ფეხბურთელის ჩამოყალიბებაში ბატონ რეზოს უდიდესი წვლილი მიუძღვის. სწორედ მისი რეკომენდაციით მოვხვდი ჩემს პირველ უცხოურ გუნდში - რიგის „სკონტოში". ლატვიაში გატარებული ეს სამი სეზონი ჩემს კარიერაში ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ პერიოდად მიმაჩნია - ჯერ საქართველოს ახალგაზრდულ, მერე კი ეროვნულ ნაკრებში სწორედ აქედან მოვხვდი.

**- სანაკრებო თემაზე ოდნავ ქვემოთ ვისაუბროთ. მანამდე კი ლატვიაზე გვინდა გკითხოთ. ელოდით, რომ იმ, ერთი შეხედვით, არასაფეხბურთო ქვეყანაში, ასეთ პროგრესს მიაღწევდით?**

- ნამდვილად ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ საქართველოსთან შედარებით ამხელა სხვაობა იქნებოდა. საფეხბურთო ინფრასტრუქტურა, მართლაც, უმაღლეს დონეზე იყო; აღარაფერს ვამბობ სათამაშო ეკიპირებასა და სავარჯიშო პირობებზე. მერე, იქაური ფეხბურთელების ნიჭიერი თაობაც წამოვიდა და მათგან უმრავლესობამ „სკონტოს" შემდეგ ინგლისისა და ევროპის წამყვან კლუბებში ითამაშა: კოლინკომ, სტეპანოვმა, პახარსმა, შტოლცერსმა, ასტაფიევმა, ბლეიდელისმა, რუბინსმა. ამას გარდა, ფაქტობრივად, მაშინდელი „სკონტო" წარმოადგენდა ლატვიის ნაკრების საბაზო გუნდს, 2000 წელს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე რომ იასპარეზა.

**- ლატვიელთა მაშინდელი წარმატება, მოულოდნელზე მეტიც გახლდათ.**

- ჩემთვის არ იყო მოულოდნელი - ხომ გითხარით, ყველა წინა პირობა იყო შექმნილი, ამ ქვეყანაში ფეხბურთი არნახულ სიმაღლეზე ასულიყო. ისიც



მიხარია, ქართველმა ლეგიონერებმაც გარკვეული როლი რომ შეასრულეს ფეხბურთის აღმავლობაში - თუნდაც, ძოძუაშვილის ფაქტორი რად ღირს.

**- ლატვიიდან ტიტულებით ხელდამშვენებული წამოხვედით...**

- სხვისი რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩემთვის ლატვიის ჩემპიონატის სამი ოქროს მედალი ბევრს ნიშნავს. სხვათა შორის, პირველ იქაურ სეზონში საუკეთესო მცველად და საუკეთესო ლეგიონერად დამასახელეს; დათო ჩალაძე საუკეთესო ბომბარდირი გახდა, აღარაფერს ვამბობ ალექსანდრე რეხვიაშვილზე, მერე წლების განმავლობაში „სკონტოს" კაპიტანი რომ იყო.

**- ლატვიასთან დაკავშირებით ერთი კითხვა ყოველთვის გვქონდა: ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში მართლაც გიწვევდნენ?**

- სწორედ 2000 წლის ევროპის ჩემპიონატზე სურდა ჩემი წაყვანა ლატვიის ნაკრების მთავარ მწვრთნელს ალექსანდრ სტარკოვს. თუმცა, იმ დროისთვის მე უკვე საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ვთამაშობდი...

**- ეროვნულამდე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები იყო, სადაც თქვენ არაერთი შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარეთ.**

- სადებიუტო შეხვედრა ინგლისის ნაკრებთან ჩავატარე; რიო ფერდინანდი, ლი ბოუერი, ემილ ჰესკი - მათ გარდა ბევრი სხვა ცნობილი ფეხბურთელიც თამაშობდა. ჩვენი ნაკრების თავკაცმა ვლადიმერ გუცაევმა ემილ ჰესკის პერსონალური მეურვეობა დამაკისრა. ალბათ, ამ რთულ დავალებას კარგად გავართვი თავი, რადგან მეორე დღეს, ინგლისისა და საქართველოს ეროვნული ნაკრებების მატჩში ჩემს მონაწილეობაზეც იყო ლაპარაკი. გეხსომებათ, რომ იმ დროს ჩვენს უპირველეს გუნდს დაცვაში სერიოზული საკადრო პრობლემები ჰქონდა.

**- ახალგაზრდულ ნაკრებში კიდევ ერთი დაუვიწყარი მატჩი რუსთავში ჩაატარეთ - იტალიელი თანატოლების წინააღმდეგ...**

- მეტოქეს ფეხბურთშიც ვაჯობეთ და... ჩხუბშიც! ჩემთვის ორმაგად სასიხარულო იყო, რომ მშობლიურ ქალაქში მიწევდა თამაში და თანაც, ვისთან?!. ბუფონი, ლუკარელი, პისტონე, კოკო, ტაკინარდი - მეტოქეთაგან ყველას ველარც ვიხსენებ. საერთოდაც, ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების წარმატებული თამაში მთავარი მწვრთნელის, ვლადიმერ გუცაევის უდიდესი დამსახურება იყო.

**- ვისთანაც მერე უკვე ეროვნულ ნაკრებში დაიმკვიდრეთ ადგილი.**

- მანამდე დავით ყიფიანმა გამომიძახა პოლონეთთან შეხვედრის წინ; თუმცა, გუცაევის დროს უკვე მუდამ ძირითადში ვთამაშობდი. სიტუაცია არც ყიფიანი-ძოძუაშვილის მოსვლის მერე შეიცვალა. თუმცა, რატომღაც ისე მოხდა, რომ 2001 წელს, თბილისში იტალიასთან წაგებული მატჩის მერე ნაკრებში აღარ მითამაშია...

**- მანამდე იოჰან ბოსკამპი რატომ არ გიწვევდათ?**

- აქ უკვე ტრავმის ბრალი იყო: ალბანეთთან მატჩში ორივე კოჭზე მყესები დამეჭიმა და მკურნალობამაც დიდი დრო წაილო.

**- სანაკრებო კარიერა 25 წლის ასაკში დაასრულეთ. როგორ ფიქრობთ, მაინც რა იყო ამის მიზეზი?**

- ჩემთვის ძნელია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ევროპაში, მაგალითად, აღრეც და ახლაც, ფეხბურთელი თუ თამაშობს და ოპტიმალურ ფორმაშია, მის ასაკს ყურადღებას არავინ აქცევს. პირიქით - ცდილობენ, გამოცდილ ფეხბურთელებზე აილონ აქცენტი. ჩვენთან კი...

**- ამასობაში რამდენიმე კლუბის გამოცვლაც მოასწარით.**

- „ალანიაში" ერთი წელი ვიყავი, მაგრამ ვაღიარებ, რომ ეს პერიოდი ჩემს კარიერაში წინ გადადგმული ნაბიჯი არ იყო. შესაძლოა, არასაფეხბურთო მიზეზებიც გახლდათ; თანაც, ნამეტნავად „დალაგებული" ლატვიიდან ვლადიკავკაზთან შეგუებაც არ აღმოჩნდა ადვილი...

**- თუმცა რუსეთის ჩემპიონატში ორი წლის მერე მაინც მოგიწიათ თამაშმა - ყაზანის „რუბინში". ამ გუნდში ასპარეზობამ, ალბათ, ბევრად უკეთესი მოგონებები დაგიტოვათ.**

- რაღა თქმა უნდა, თანაც „რუბინი" სწორედ მაშინ იწყებდა აღმავლობას. ჯერ პირველი ლიგის ჩემპიონები გავხდით, უმაღლესში სადებიუტო სეზონში კი ბრინჯაოს მედლები მოვიპოვეთ. უკვე მაშინვე ეტყობოდათ, რომ სამომავლოდ სერიოზულ მიზნებზე ფიქრობდნენ და სახელოვანი ლეგიონერების ჩამოსაყვანად არანაირ თანხას არ იშურებდნენ. „რუბინში" თამაშობდნენ ბრაზილიის ნაკრების წევრები: ალოიზიო და რონი, პირველი მათგანი „პარი სენ ჟერმენიდან" გადმოიყვანეს (სადაც რონალდინიოსთან ერთად თამაშობდა), მეორე - „ფლუმინენსედან" (თავდასხმაში რომარიოს პარტნიორი გახლდათ). არანაკლებ ცნობილი ფეხბურთელები იყვნენ ჩეხეთის ნაკრების წევრი ირჟი ნოვოტნი და ანდრეს სკოტი, დღეს „არგენტინოს ხუნიორსში" რომ თამაშობს.

**- მთავარ მწვრთნელზეც - ყურბან ბერდიევზეც გვინდა გკითხოთ...**

- ერთობ უცნაური კაცია - მეტისმეტად რელიგიური; შემთხვევას ვერ ვიხსენებ, რაიმეზე გაეცინოს, ანდა გუნდთან ერთად ესადილოს. სულით ხორცამდე პროფესიონალია და უმნიშვნელო ნიუანსებსაც უდიდეს ყურადღებას აქცევს. გაწონასწორებული ხასიათის მქონეს ფეხბურთშიც თავისებური ხედვა აქვს და სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე „რუბინის" წლევანდელი ჩემპიონობა არ გამკვირვებია.

**- ზემოთ ლატვიასა და რუსეთში მოპოვებულ მიღწევებზე ილაპარაკეთ და აქაურ ტიტულებზე აღარაფერი გითქვამთ.**

- „რუბინში" წასვლამდე ქუთაისის „ტორპედოში" ვითამაშე და ამ გუნდის შემადგენლობაში საქართველოს ჩემპიონობა და თასი მოვიპოვე. მერე, რუსეთიდან რომ დავბრუნდი, ბავშვობის ოცნებაც ავისრულე და თბილისის „დინამოში" ჯერ გია გეგუჩაძესთან, მერე - კახა ცხადაძესთან დავიწყე თამაში. სხვათა შორის ცხადაძე უფრო ხშირად, საყრდენად მათამაშებდა, მაგრამ ცენტრალურ მცველს ამ პოზიციაზე ასპარეზობა არ გამჭირვებია. ტიტულებს რაც შეეხება, „დინამოში" ყოფნისას ჩემპიონიც გავხდი და თასიც მოვიპოვე. თანაც განსაკუთრებით საამაყო იყო, 2004 წლის თასის ფინალში „დინამომ" ჩემი გოლით რომ გაიმარჯვა.

**- დაბოლოს, თქვენს ბოლო გუნდზეც გვითხრათ რამე...**

- მოგეხსენებათ, რომ ახალი სეზონისთვის ბოლნისის „სიონში" ვემზადებოდი და სულ ბოლო მომენტში კახა ცხადაძის შემოთავაზებაც მივიღე. ერთი მხრივ, ჩემთვის ახალი გამოწვევაც იყო აზერბაიჯანის ჩემპიონატში თამაში; თანაც, დიდი სურვილი მქონდა, რომ თანამემამულე მწვრთნელს დავხმარებოდი და გვერდში ამოვდგომოდი.

**- ამ ნახევარ წელიწადში აზერბაიჯანულ ფეხბურთზე რა წარმოდგენა შეგექმნათ?**

- საკმაოდ დიდი ფული „ტრიალებს" და ჩემპიონატიც დაძაბულად მიმდინარეობს. თუმცა, როგორც საჭიროა, ფეხბურთი ისე არ ესმით...

კონკრეტულად, „სტანდარდს" რაც შეეხება, მიმაჩნია, რომ 20 ქულა ამ გუნდისთვის ჩინებული შედეგია. ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე ისეთი ბრაზილიელი და არგენტინელი გვყავს გუნდში, ვინ და რატომ მოიყვანეს, ალბათ, თვითონაც ვერ გაუგიათ. ამის მიუხედავად, სულ მცირე, ხუთი-ექვსი ქულით მეტი მაინც უნდა გვქონდეს - რამდენიმე მატჩში უაზრო შეცდომების გამო რომ დავკარგეთ. თუმცა, „სტანდარდი" აზერბაიჯანის ჩემპიონატში მაღალი სათამაშო დისციპლინითა და თანამედროვე ფეხბურთის ჩვენებით გამოირჩევა; ეს კი, რაღა თქმა უნდა, კახა ცხადაძის დამსახურებაა.

**- ქართველ ლეგიონერებზე რას გვეტყოდით?**

- თითქმის ყველა მათგანი საკუთარ გუნდში ლიდერია. სანამ მთავარ მწვრთნელთან პრობლემა შეექმნებოდა, „ნეფთჩის" სული და გული იყო გიორგი ადამია. პერიფერიული „სიმურგის" წარმატებული ასპარეზობაც ძირითადად ოთხი ქართველის - დავით ბოლქვაძის, მიხეილ მახვილაძის, გრიგოლ დოლიძისა და კახა ჩხეტიანის ჩინებული თამაშით არის განპირობებული. ამირან მუჯირიც ბრწყინვალედ გამოიყურება და ჩემი აზრით, სულაც აზერბაიჯანის ჩემპიონატის ნომერ პირველი ფეხბურთელია. აღარაფერს ვამბობ კიდევ ერთ ვეტერანზე - დათო ქიჭვეიშვილი ჩვენი გუნდის ბურჯი და შეუცვლელი ფეხბურთელია!

**გია ტუხაშვილი**

***P.S.* გუშინ ლევან სილაგაძეს ვაჟი შეეძინა! პატარა თორნიკეს ჯანმრთელობასა და ბედნიერებას ვუსურვებთ.**

ლეგიონი — აზერბაიჯანი. შეჯამება



ამირან მუჯირი (№10)

# ლიდერი, ბომბარდირი... უბრალოდ, საუკეთესო

**ჩვენი შინაური პირველობის შემდეგ აზერბაიჯანული პრემიერლიგა ყველაზე ქართული საფეხბურთო ლიგაა. პირველ წრეში იქ 22-მა ჩვენებურმა გააგორა ბურთი, ამას დავუმატოთ ორი ქართველი მწვრთნელიც... პირველი წრე კი რამდენიმე დღის წინ მორჩა. სავარაუდოდ, შესვენების დროს ბევრი რამ შეიცვლება, მათ შორის, ქართული ლეგიონისთვის, მანამდე კი საშემოდგომო მონაგარი შევაჯამოთ...**

ზაფხულში აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციამ ლეგიონერებზე ლიმიტი მოხსნა, რის შემდეგაც სამეზობლოში ქართველ ფეხბურთელთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. „ქართული" გუნდებიდან, პირველი წრე ყველაზე წარმატებული „ბაქოსთვის" იყო - 29 ქულა, მეორე ადგილი. დიდწილად ეს **ამირან მუჯირის** დამსახურებაა. დაუფიქრებლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეისთვის მუჯირი აზერბაიჯანში ყველაზე ძლიერი ქართველი ლეგიონერია. ის იქაური პრემიერლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელიცაა. მუჯირი თავდამსხმელთა უკან თამაშობს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბომბარდირ **იგორ ცვეტკოვს** („ხაზარი") ის მხოლოდ ერთი გოლით ჩამორჩება. „ბაქოს" ლიდერმა 9 ბურთი გაიტანა. ამ სეზონში მუჯირმა გუნდში ერთი თანამემამულე დაკარგა და ერთიც შეიმატა - „ბაქოს" დატოვება **ალექსანდრე გოგობერიშვილს** მოუწია, სამაგიეროდ, გუნდმა ხმაურიანი შენაძენი გააკეთა - **გიორგი დემეტრაძე** დაიმატა. სამწუხაროდ, გიორგის უფერული დებიუტი გამოუვიდა. მთელი პირველი წრის განმავლობაში, მისი კალიბრის ფორვარდისთვის, აზერბაიჯანის ჩემპიონატში 2 გოლი მეტისმეტად ცოტაა.

გვახარებს ზაქათალის „სიმურგის" წარმატებები. ამისთვის ორი მიზეზი გვაქვს - „სიმურგი" ისტორიული ქართული მხარის, საინგილოს წარმომადგენელია, და რაც ყველაზე მთავარია - იქ ქართველ ფეხბურთელთა კვარტეტი თამაშობს. „სიმურგი" 28 ქულით მესამე ადგილზეა. აზერბაიჯანში აღიარებენ, რომ ამ კლუბის წარმატებები თითქმის მთლიანად ქართველთა დამსახურებაა, განსაკუთრებით, ნახევარმცველ **დავით ბოლქვაძეს** გამოყოფენ. მეორე სეზონია, 28 წლის ნახევარმცველი „სიმურგში" თამაშობს. დღეს ის გუნდის ნამდვილი ლიდერია. ბოლქვაძემ 3 გოლი გაიტანა და ორი ამდენი საგოლე პასი გააკეთა. სხვებმაც კარგად ითამაშეს. არც ერთ ჩვენებურს არ ჰქონია სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრის პრობლემა, **კახა ჩხეტიანმა** და **მიხეილ მახვილაძემ** თითო გოლიც გაიტანეს. ფლანგზე მეტოქე მცველებს მუდამ პრობლემებს უქმნიდა 28 წლის **გრიგოლ დოლიძე**.

25 ქულა და მეხუთე ადგილი არ არის ის შედეგი, რაც ვიცე-ჩემპიონ „ოლიმპიკის" ხელმძღვანელობას დააკმაყოფილებდა. სეზონის წინ ამ გუნდში ქართული სამეული ჩაირიცხა. **რომან ახალკაცისა** და **რევაზ გეწაძისთვის** აზერბაიჯანი უცხო არ არის, **მიხეილ ხუციშვილს** კი თავიდან შეგუება გაუჭირდა. 26 წლის გეწაძემ თავი კარგად წარმოაჩინა, მან 3 გოლის გატანაც შეძლო. თუკი მას გუნდიდან გაშვების საფრთხე, სავარაუდოდ, არ ემუქრება (მწვრთნელმა უკვე განაცხადა, რომ წლის ბოლომდე გუნდს რამდენიმე ლეგიონერი დატოვებს), ახალკაცისა (1 გოლი) და ხუციშვილისთვის ეს საფრთხე რეალურია. დამაფიქრებელი ფაქტია - საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა აზერბაიჯანის ჩემპიონატის პირველ წრეში გოლის გატანა ვერ მოახერხა!

25 ქულა აქვს „ქარვანს". ამ გუნდში ნახევარდაცვას 30 წლის **მიხეილ მესხი** ამაგრებს. მან ერთი გოლის გატანაც შეძლო. „ქარვანს" 24 ქულით კვალში უდგას „ყარაბახი", სადაც „ბაქოდან" წასული გოგობერიშვილი თამაშობს. სამწუხაროდ, ახალ გუნდში დამკვიდრებაში ქართველს ტრავმამ ხელი შეუშალა. მას ძალიან ბევრი დრო გაუცდა.

20 ქულით მე-8 ადგილზეა **კახა ცხადაძის** „სტანდარდი", რომელიც ყველაზე ქართული გუნდია აზერბაიჯანში (2 მწვრთნელი და 4 ფეხბურთელი). ცხადაძის გუნდმა ბოლოს ზედიზედ 3 მატჩი მოიგო. ამით, გუნდმაც და მწვრთნელმაც რთული მდგომარეობა გამოასწორეს. „სტანდარდის" ქართული ლეგიონიდან განსაკუთრებით ორს გამოვყოფთ - **ლევან სილაგაძესა** (32 წლის) და **დავით ჭიჭველიშვილს** (30). მათ გარეშე „სტანდარდი" უკვე წარმოუდგენელია. გოლკიპერმა **მიხეილ ალავიძემ,** ერთი ხანობა, ძირითადში ადგილი კი მოიპოვა, მაგრამ წრის ბოლოსკენ ცხადაძე კვლავ გუნდის კაპიტან **ჰუსეინ მამედოვს** ენდობოდა. მწვრთნელის ვაჟი **ბაჩანა ცხადაძე** კი უმთავრესად შეცვლებზე შედიოდა.

„ნეფთჩი" 13 ქულით მე-9 ადგილზეა. ეს, რა თქმა უნდა, აზერბაიჯანული ფეხბურთის ფლაგმანისთვის სრული კრახია. მაგრამ მას მერე, რაც გერმანელმა **ჰანს-იურგენ გედემ** ქართველი ფორვარდები (**გიორგი ადამია და გიორგი ჭელიძე**) დუბლებში გადაისროლა, ამ გუნდის მდგომარეობა ნაკლებად გვაღელვებს. ისე, ვაღიაროთ და, ჩვენმა ფორვარდებმა ერთხელაც ვერ გამოიჩინეს თავი.

12 ქულით მეათე ადგილზე „კაბალაა". შარშან ეს ყველაზე „ქართული" გუნდი იყო აზერბაიჯანში, ამ სეზონში კი იქ მხოლოდ ორი ჩვენებურია - 29 წლის **თორნიკე აფციაური** ნახევარდაცვის ლიდერია, ხოლო **გოგა ბერაია,** სერიოზული ტრავმის შემდეგ, ბოლოსკენ გამოჩნდა გუნდში.

და ბოლო ქართული გაჩერება აზერბაიჯანში - „ბაქილი" (6 ქულა, მე-11 ადგილი). ერთ-ერთმა აუტსაიდერმა 3 ჩვენებურით დაიწყო ჩემპიონატი, მაგრამ ნოემბერში გუნდი **დავით ქოქიაშვილმა** (2 გოლი) და **გივი ჩხეტიანმა** (1 გოლი) დატოვეს. „ბაქილიში" მხოლოდ გამთამაშებელი **შოთა ჯიშკარიანი** დარჩა. აზერბაიჯანში სეზონი თებერვალში განახლდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

U 17. ევროპის ჩემპიონატი — ელიტრაუნდის წილისყრა

# ავსტრია, იტალია, შოტლანდია

მოგეხსენებათ, ჩვენმა ჭაბუკებმა 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი გადალახეს და ორი საუკეთესო მესამეადგილოსნიდან ერთი საგზურით ელიტრაუნდში მოხვდნენ. **გელა შეყილაძის** გუნდი ამ რაუნდში გაზაფხულზე იასპარეზებს. გუშინ უეფას შტაბბინაში ფინალური ეტაპისწინა ტურნირის წილისყრა გაიმართა. ელიტრაუნდში გასული 28 გუნდი 7 ჯგუფში ასე გადანაწილდა:

I ჯგუფი: **პოლონეთი, საბერძნეთი, სლოვენია, შვეიცარია.**
II ჯგუფი: **ესპანეთი, ჩეხეთი, ბელგია, ყაზახეთი.**
III ჯგუფი: **ხორვატია, ჰოლანდია, ლუქსემბურგი, აზერბაიჯანი.**
IV ჯგუფი: **დანია, საფრანგეთი, ნორვეგია, ბელარუსი.**
V ჯგუფი: **ავსტრია, შოტლანდია, იტალია, საქართველო.**
VI ჯგუფი: **ფინეთი, თურქეთი, რუმინეთი, უელსი.**
VII ჯგუფი: **პორტუგალია, სერბეთი, ინგლისი, უნგრეთი.**

მოკლედ, საქართველოს მეტოქეებად ავსტრიის, შოტლანდიისა და იტალიის გუნდები ერგო. გაირკვა ისიც, რომ ჩვენი ჯგუფის მატჩებს ავსტრია უმასპინძლებს. ეს ეტაპი 20-25 მარტს გაიმართება. შეგახსენებთ, რომ ჯგუფებიდან მხოლოდ პირველადგილოსნები გადიან ფინალურ ეტაპზე, სადაც მათ მასპინძელი დაემატება. ფინალური ეტაპი კი 6-18 ივნისს გერმანიაში ჩატარდება.

17-წლამდელებს მოსამზადებლად სამი თვე აქვთ. როგორც გავიგეთ, ფეხბურთის ფედერაციას სურს, რომ თებერვალსა და მარტის პირველ ნახევარში ჩვენმა ჭაბუკებმა ორი ამხანაგური მატჩი (ერთი შინ) ითამაშონ და უცხოურ შეკრებაზე მოემზადონ.

რაც შეეხება 17-წლამდელთა ევროპის მომავალი ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს, წილისყრის შედეგები გუშინდელ ნომერში გამცნეთ. ეს ეტაპი გაისად შემოდგომაზე გაიმართება. ჩვენი ჯგუფის მატჩებს შოტლანდია უმასპინძლებს. გაირკვა მატჩების განრიგიც:

**20 ოქტომბერი, 2009**
საქართველო-პორტუგალია
შოტლანდია-კვიპროსი

**22 ოქტომბერი**
კვიპროსი-პორტუგალია
შოტლანდია-საქართველო

**25 ოქტომბერი**
საქართველო-კვიპროსი
პორტუგალია-შოტლანდია

**U 19. ევროპის ჩემპიონატი**

**9 ოქტომბერი, 2009**
შვედეთი-ჩერნოგორია
საქართველო-უკრაინა

**11 ოქტომბერი**
შვედეთი-საქართველო
ჩერნოგორია-უკრაინა

**14 ოქტომბერი**
უკრაინა-შვედეთი
საქართველო-ჩერნოგორია

**დავით ცაბაძე**

მეტოქეები

# ვისთან გვაქვს საქმე?



იტალია



შოტლანდია



ავსტრია

**მოკლედ, 17-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდში გასული საქართველოს ნაკრების მეტოქეები გარკვეულია - მასპინძელი ავსტრია, შოტლანდია და იტალია. მოდი, თვალის ერთი გადავლებით ვნახოთ, რა დონის გუნდებთან გვაქვს საქმე...**

**ავსტრია**

ავსტრიელებმა საკვალიფიკაციო ეტაპზე ლიხტენშტაინში იასპარეზეს. მასპინძელთა გარდა, მათი მეტოქეები ბელგიისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ჭაბუკთა გუნდები იყვნენ. **ჰერმან შტადლერის** შეგირდებმა ყველა თამაში მოიგეს და 9 ქულით ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს. ამასთან, ავსტრიამ 14 გოლი გაიტანა და ერთიც არ გაუშვია. **კრისტოფ კლასმიულერისა** და **დავიდ ალაბას** გოლების წყალობით, მათ ბელგია 2:0 დაამარცხეს, მეორე ტურში ჩრდილოირლანდიელებს იმავე კლასმიულერის გოლით (1:0) აჯობეს, დასკვნით ტურში კი მასპინძელი ლიხტენშტაინი 11:0 გაანადგურეს. ამ თერთმეტი გოლიდან ოთხი **ფილიპ პროშენიკმა** („პოკერის" წყალობით ვენის „რაპიდის" ფორვარდს ჯგუფურ ეტაპზე თავისიანებს შორის ყველაზე მეტი გოლი დაუგროვდა) გაიტანა, **ალექსანდერ აშაუერმა** ჰეთ-თრიკი შეასრულა, ხოლო **ფილიპ გრაფლმა** დუბლი მიითვალა, თითო გოლი კი **დანიელ ოფენბახერისა და კონსტანტინ კერშბაუმერის** ანგარიშზეა.

**შოტლანდია**

**როს მატიეს** გუნდმა საკვალიფიკაციო ეტაპის ჯგუფური რაუნდი საფრანგეთში ჩაატარა, სადაც მისი მეტოქეები, მასპინძელთა გარდა, სლოვაკეთი და სან მარინოც იყვნენ. სკოტებმა სამიდან 2 მატჩი მოიგეს, ერთიც წააგეს და 6 ქულით, ფრანგების შემდეგ, მეორე ადგილს დასჯერდნენ. ბურთების ბალანსი დადებითი ჰქონდათ - 8:4.

მატიეს ბიჭებმა სასტარტო ტურში სან მარინო იოლად დაამარცხეს - 3:0. გოლები **რაიან ჯეკმა, გორდონ დიკმა** და **ჯეიმს კიტინგსმა** გაიტანეს. მერე სლოვაკების ჯერი დადგა, რომელთაც შოტლანდიელებმა 3:1 მოუგეს. აქ დიკმა დუბლი მიითვალა, ერთიც ჯეკმა შეაგდო. ტურნირის ბოლო დღეს შოტლანდიამ მასპინძელ საფრანგეთთან 2:3 დათმო. ბურთები **ქალუმ მაკრობიმ** და დიკმა გაიტანეს. გუნდის ბომბარდირიც, 3 გოლით, სწორედ დიკი გახდა. ის „რეინჯერსის" ახალგაზრდული გუნდის თავდამსხმელია.

**იტალია**

ოქტომბერში საკვალიფიკაციო ეტაპს თავად პატარა „სკუადრა აძურამ" უმასპინძლა. აპენინელებს მეტოქეებად ჰოლანდიის, ლატვიისა და კვიპროსის ნაკრებები ჰყავდათ. **პასკუალე სალერნოს** კრებულმა 6 ქულა (2 გამარჯვება და ერთიც მარცხი) დააგროვა და ჰოლანდიის შემდეგ ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა. იტალიელებს გატანილი და მიღებული ბურთები თანაბარი აქვთ - 6:6.

სალერნოს გუნდმა პირველ ტურში ლატვიას 3:1 სძლიეს. გოლები **ალბერტო ლიბერტაზიმ, ალესანდრო დე ვიტისმა** და **სტეფან ელ შარავიმ** გაიტანეს. მომდევნო შეხვედრაში, **სიმონე დელ ანელოს** ერთადერთი გოლით, იტალიელებმა კვიპროსი დაამარცხეს, დასკვნით ტურში კი ჰოლანდიასთან შერცხვნენ - 2:5. ბურთები ლიბერტაზიმ და **მარკო ფოსატიმ** გაიტანეს. ამ სამი მატჩის მიხედვით, „აძურინის" სნაიპერად მიიჩნევა „იუვენტუსის" „ვირტუოზად" წოდებული ლიბერტაზი, რომელმაც მხოლოდ 2 გოლი იკმარა.

**დავით ცაბაძე**

ქალთა ფეხბურთი

ევროპის ჩემპიონატის წილისყრა

# უმცროსები შვეიცარიაში, უფროსები თურქეთში

გუშინ 17 და 19-წლამდელ ქალთა ევროპის 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპების წილისყრაც გაიმართა. 17-წლამდელებში პირველობა მესამედ ჩატარდება. წილისყრამ 40 მონაწილე 10 ჯგუფში გადაანაწილა. ჩვენი ქალები II ჯგუფში მოხვდნენ შვეიცარიასთან, იტალიასა და ფარერებთან ერთად. ამ ჯგუფის მასპინძელი შვეიცარიაა. ჯგუფური რაუნდი გაისად, 16-21 ოქტომბერს ჩატარდება.

რაც შეეხება 19-წლამდელებს, აქ 44 გუნდი 11 ჯგუფშია გადანაწილებული. ქართველი ქალები VII კვარტეტში არიან, სადაც მათი მეტოქეები საფრანგეთი, სერბეთი და თურქეთი იქნებიან. ამ ჯგუფის მატჩებს 2009 წლის 19-24 სექტემბერს თურქეთი უმასპინძლებს.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა




ბუნდესლიგა. ცენტრალური მატჩის წინ

# ბაიერნი–ჰოფენჰაიმი: ჭკვიანი დავითი გოლიათის წინააღმდეგ

## კლასი, ფორმა, გენიალობა. რამდენად ახლოსაა ჰოფენჰაიმი რეკორდმაისტერთან?

დღეს, მიუნხენის „ალიანს არენაზე" დიდი მატჩია: „ბაიერნი"-"ჰოფენჰაიმი". თამამად შეიძლება ითქვას, რომ უკვე ერთი კვირაა, რაც საფეხბურთო გერმანია ამ თამაშით ცხოვრობს. ინტრიგა უდიდესია და ახლა ამ შეხვედრის მნიშვნელობაზე საუბარს აღარ დავიწყებთ. გეტყვით მხოლოდ იმას, რომ ყველას აინტერესებს, როგორ დასრულდება სენსაციური დებიუტანტისა და მარადმწვანე ჩემპიონის დაპირისპირება, რომელიც ამ უკანასკნელის სტადიონზე იმართება. ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა „ჰოფენჰაიმს" ჭკვიანი დავითი უწოდეს, „ბაიერნი" კი ამ შემთხვევაში გოლიათია. მოდით, გუნდების საკვანძო პოზიციების მოთამაშეები ერთმანეთს შევადაროთ. გავაანალიზოთ, რამდენად ახლოსაა „ჰოფე" რეკორდმაისტერთან.

„ბაიერნი" მეტოქეს სამი ქულით ჩამორჩება, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ მიუნხენელები მოიგებენ, შემოდგომის ჩემპიონობისთვის ბრძოლა ძალიან გამძაფრდება, რადგან პირველი წრის დასრულებამდე მხოლოდ ორი ტურია დარჩენილი. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვება რალფ რანგნიკის გუნდს დარჩება, „ჰოფე" ერთი ტურით ადრე გაინაღდებს ამ არაოფიციალურ, მაგრამ საკმაოდ მნიშვნელოვან ტიტულს. მატჩს განსაკუთრებულ ინტრიგას მატებს ის ფაქტიც, რომ ეს გუნდები არსებობის ისტორიაში ერთმანეთს პირველად ხვდებიან.

### მეკარეები

მიხაელ რენზინგი (ბაიერნი)

ვერ ვიტყვით, რომ „ბაიერნის" კარის დარაჯი კარგ სეზონს ატარებს. გასაკვირი არაფერია იმაში, რომ **მიხაელ რენზინგმა ოლივერ კანი** ჯერჯერობით ვერ შეცვალა - მისგან ციდან ვარსკვლავების მოწყვეტას არც არავინ ელოდა. დღემდე რენზინგის კარისკენ მეტოქეებმა 54-ჯერ დაარტყეს (საშუალოდ 3.6 დარტყმა ერთ თამაშში). აქედან, მიხაელმა 21 დარტყმა გაუშვა! გამოდის, რომ რენზინგი დარტყმების 59.6 პროცენტს იგერიებს ან იღებს, რაც ერთ-ერთი ყველაზე ცუდი შედეგია. ამაზე უარესი მაჩვენებელი ბუნდესლიგაში მხოლოდ ერთ მეკარეს აქვს. აღსანიშნავია, რომ მიხაელმა 15-ივე თამაში შეუცვლელად ჩაატარა.

დანიელ ჰაასი (ჰოფენჰაიმი)

**დანიელ ჰაასმა** 15 ტურიდან 9 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 9 გოლი გაუშვა. „ჰოფენჰაიმის" მეკარეს დარტყმების მოგერიების საკმაოდ კარგი პროცენტული მაჩვენებელი აქვს: 71.9%. ამ შედეგით ის ბუნდესლიგის მეკარეებს შორის მეოთხე ადგილზეა. დარჩენილ ექვს შეხვედრაში „ჰოფეს" კარს **რამაზან იოზქანი** იცავდა და მან 6 მატჩში 11 გოლი გაუშვა. „ვერდერთან" 4:5-ის შემდეგ, **რალფ რანგნიკს** იოზქანი ძირითად შემადგენლობაში აღარ გაუმწესებია. მოკლედ, „პროფესორმა რალფმა" სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც მეკარე შეცვალა. ჰაასი თავის ამოცანას თავს გაცილებით უკეთ ართმევს.

*დასკვნა: გოლკიპერის თვალსაზრისით „ჰოფენჰაიმს" აშკარა უპირატესობა აქვს. იმ დროს, როცა რენზინგს კანის ჩრდილიდან გამოსვლა უჭირს, ჰაასი საკმაოდ სტაბილური მეკარეა. მან მწვრთნელის ნდობა გაამართლა.*

### დაცვის ბურჯები

ლუსიო (ბაიერნი)

**ლუსიომ** 15-დან 14 მატჩში იასპარეზა და ძალიან კარგად გამოიყურება. თავად განსაჯეთ, ბავარიელთა ბრაზილიელმა მცველმა ორთაბრძოლების 76.5 პროცენტი მოიგო და ამ მხრივ ბუნდესლიგაში საუკეთესო მაჩვენებელი აქვს. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლუსიო ფეარ პლეის პრინციპებს იდეალურად იცავს. 14 თამაშში მან მხოლოდ 14-ჯერ დაარღვია თამაშის წესები, რაც მცველისთვის ძალიან კარგი შედეგია. თვითონ ლუსიოს წინააღმდეგ კი, თამაშის წესები უკვე 32-ჯერ დაარღვიეს. ამასთან, ლუსიო შეტევებშიც დიდი სიამოვნებით ერთვება ხოლმე. მას თამაშში ბურთთან საშუალოდ 72 კონტაქტი აქვს, ამ სეზონში მის ანგარიშზეა 14 წარმატებული დრიბლინგი და 17-ჯერ დარტყმა მოწინააღმდეგე გუნდების კარისკენ.

მარვინ კომპერი (ჰოფენჰაიმი)

**კომპერი** გამარჯვებული ორთაბრძოლების პროცენტული მაჩვენებლით, ლუსიოს სერიოზულ კონკურენციას ვერ გაუწევს, მას მხოლოდ დუელების 61 პროცენტი აქვს მოგებული. ცხადია, ის ვერც შეტევაში ერთვება ისე ხეირიანად, როგორც ლუსიო. თუმცა მცველს, რომელიც გერმანიის ნაკრებშიც გამოიძახეს, ამ სეზონში უკვე გატანილი აქვს ერთი გოლი. ლუსიო კი უგოლოდაა.

*დასკვნა: „ბაიერნის" დაცვის ბურჯი „ჰოფენჰაიმისას" ჯობია. მიუხედავად იმისა, რომ კომპერი უკვე გერმანიის ნაკრების მცველად მიიჩნევა, ჰოფენჰაიმელს ჯერ არ აქვს ისეთი კლასი, როგორც ბავარიელთა ბრაზილიელ მცველს.*

### საყრდენი გამთამაშებლები

ზე რობერტო (ბაიერნი)

„ბაიერნის" ფეხბურთელთაგან ყველაზე სანდო მოთამაშე **ზე რობერტოა**. მისი პასების 86 პროცენტი ადრესატამდე მივიდა, ისევე, როგორც ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთების 31 და კუთხურების 20 პროცენტი. ამას გარდა, ბრაზილიელი დაცვით ფუნქციებსაც ძალიან კარგად ითავსებს: ორთაბრძოლების 66 პროცენტი აქვს მოგებული და 26-ჯერ განმუხტა სახიფათო მდგომარეობა „ბაიერნის" კართან. ზე რობერტომ ამ სეზონში 2 გოლი თვითონ გაიტანა, ოთხი კი სხვებს გაატანინა. მოკლედ, ბრაზილიელი ფორმაშია!

სეად სალიჰოვიჩი (ჰოფენჰაიმი)

ფეხბურთელს, რომლის გადაბირება ბავარიელებს უნდოდათ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ (**სალიჰოვიჩმა** „ჰოფესთან" კონტრაქტი გააგრძელა), დაცვითი ფუნქციების შესრულება მთლად კარგად არ შეუძლია: მოგებული ორთაბრძოლების მხოლოდ 46 პროცენტი და 11-ჯერ განმუხტული სახიფათო მდგომარეობა. ზე რობერტოსთან შედარებით, სალიჰოვიჩმა პასების სიზუსტეზე (79 პროცენტი), ჩაწოდებებზე (20 პროცენტი) და კუთხურებზეც (11 პროცენტი) უნდა იმუშაოს. სამაგიეროდ, ბოსნიელი შეტევაშია ბრაზილიელზე შედეგიანი. სტატისტიკურად, საშუალოდ, ყოველი 18 წუთის შემდეგ სალიჰოვიჩი მეტოქის კართან სახიფათო მომენტს ქმნის. ამასთან, ბუნდესლიგის ფეხბურთელთაგან მხოლოდ ოთხმა მიიღო მასზე მეტ გოლში მონაწილეობა - ჰოფენჰაიმელს 4 გოლი და 6 პასი აქვს.

*დასკვნა: ბრაზილიელს თავისი პლუსები დაცვაში აქვს, ბოსნიელს კი შეტევაში. ამიტომაც, ამ დუელში ფრე უნდა დავაფიქსიროთ.*

### ლიდერები

ფრანკ რიბერი (ბაიერნი)

თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ბაიერნმა" მას მერე ამოისუნთქა და კრიზისიდან გამოვიდა, როდესაც **ფრანკ რიბერი** გამოჯანმრთელდა. ფრანგი ნახევარმცველი თითქმის ყველა მატჩში იტანს ან ქმნის გოლს. ათ თამაშში მან 6 გოლი და 2 საგოლე პასი დააგროვა. ამასთან, რიბერის ბუნდესლიგაში დღემდე ბურთთან ყველაზე მეტი კონტაქტი ჰქონდა: 102. ესეც არ იყოს, როდესაც რიბერის ბურთი მისდის, მისი უჯარიმოდ შეჩერება ფაქტობრივად შეუძლებელია. ბუნდესლიგის ფეხბურთელები განვლილ 15 ტურში თამაშის წესებს ყველაზე ხშირად სწორედ „ბაიერნის" ფრანგი ვარსკვლავის წინააღმდეგ არღვევდნენ - ყოველი 19 წუთის შემდეგ.

კარლოს ედუარდო (ჰოფენჰაიმი)

„სოფლელების" პლეიმეიკერმა 8 გოლში მიიღო მონაწილეობა: 4 გოლი, 4 პასი. მაგრამ მას ამისათვის რიბერიზე 4-ით მეტი მატჩი დასჭირდა. საშუალოდ 73 კონტაქტი ბურთთან (ერთ თამაშში), ზუსტი პასების 83 პროცენტიანი მაჩვენებელი (რიბერის 85% აქვს) - ბრაზილიელი „ბაიერნის" ფრანგ ლიდერს ბევრით ჩამოუვარდება. სამაგიეროდ, **კარლოს ედუარდოს** ჩაწოდებები და კუთხურები უფრო ზუსტია. ამასთან, ჰოფენჰაიმელი რიბერის მოგებული ორთაბრძოლების პროცენტული მაჩვენებლითაც სჯობნის: 57%-50%.

*დასკვნა: კარლოს ედუარდო შესანიშნავ სეზონს ატარებს, მაგრამ კარგ ფორმაში მყოფ რიბერისთან ახლოსაც ვერ მიდის. ფაქტია, რომ დღეს „ჰოფენჰაიმის" დაცვას ფრანგი დრიბლიორის შეჩერება ძალიან გაუჭირდება.*

### გოლეადორები

ლუკა ტონი (ბაიერნი)

როგორც იქნა, **ლუკა ტონი** ფორმაში შევიდა. იტალიელმა ბოლო 4 თამაშში 4 გოლის გატანა შეძლო და ბომბარდირთა დავაშიც გამოჩნდა. მას შვიდი გოლი და სამი საგოლე პასი აქვს და შეიძლება ითქვას, რომ რეკორდმაისტერის თავდასხმაში შეუცვლელი ფიგურაა. ტონი საშუალოდ ყოველი 19 წუთის შემდეგ ურტყამდა მეტოქის კარისკენ, რაც გერმანიის მიმდინარე ჩემპიონატში მესამე შედეგია. ჰოფენჰაიმელ ვიზავის იტალიელი მოგებული ორთაბრძოლების პროცენტული მაჩვენებლით სჯობნის: 45% 26%-ის წინააღმდეგ.

ვედად იბიშევიჩი (ჰოფენჰაიმი)

ტონი ფორმაში ახლა შევიდა, **ვედად იბიშევიჩი** კი პირველი ტურიდან მოყოლებული გენიალურად ასპარეზობს. მას უკვე 17 გოლი აქვს გატანილი და ეს ყველაფერი 15 ტურში! და ეს მაშინ, როცა 1989 ან 1996 წლებში 17 გოლის გატანა უკვე საკმარისი იქმებოდა იმისათვის, რომ ფეხბურთელი ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი გამხდარიყო. ბოსნიელ ფორვარდს 17 გოლთან ერთად 6 საგოლე პასი აქვს, რითაც „გოლს პლუს პასის" რეიტინგში ერთპიროვნული ლიდერია. იბიშევიჩი ყოველი 56 წუთის შემდეგ გოლში იღებს მონაწილეობას, ტონი კი ყოველი 89 წუთის შემდეგ.

*დასკვნა: ჰოფენჰაიმელს აშკარა უპირატესობა აქვს. იბიშევიჩს მოედანზე ყველაფერი გამოსდის.*

**წინასწარ** ძალიან რთულია იმის თქმა, როგორ დასრულდება ეს მატჩი, რაც უკვე იმაზე მიუთითებს, რომ „ჰოფენჰაიმს" უდიდესი პატივი უნდა ვცეთ. იქნებ, „ჰოფეს" შეფის, **დიტმარ ჰოპის** პროგნოზი გამართლდეს - მილიარდერმა მეცენატმა 2:2 იწინასწარმეტყველა. აქვე გეტყვით, რომ ლეგენდარული ბაიერნელის, **შტეფან ეფენბერგის** პროგნოზით, რეკორდმაისტერი „ჰოფეს" 3:1-ს მოუგებს.

# რალფ რანგნიკი: ბაიერნის სკალპი გვინდა!

„ჰოფენჰაიმის" მთავარი მწვრთნელი **რალფ რანგნიკი** დღევანდელი მატჩის წინ ძალიან ოპტიმისტურადაა განწყობილი. გუშინ „პროფესორმა" პრესკონფერენცია გამართა და ბევრი გააკვირვა ხმამაღალი, უშიშარი განცხადებებით.

„*მატჩისთვის ძალიან სერიოზულად ვემზადებით. პირდაპირ ვიტყვი: „ბაიერნის" არ გვეშინია და არ მესმის, რატომ უნდა გვეშინოდეს. ჩვენ მათი მაისურები კი არ გვინდა, არამედ მათი სკალპი!*" - ამ განცხადებით დაიწყო რანგნიკმა პრესკონფერენცია.

როგორც იცით, მიუნხენური გრანდის ბოსები მთელი კვირის განმავლობაში უტევდნენ „ჰოფენჰაიმის" მიმართ. „ბაიერნის" მენეჯერმა **ული ჰიონესმა** თქვა, სტუმართა ფეხბურთელები გაცილებით დიდ ხელფასებს იღებენ, ვიდრე უწყისებშია ნაჩვენებიო, ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** კი „ჰოფეს" ისტორია გაკენწლა, ნეტა სად იყვნენ ბოლო 100 წლის განმავლობაშიო. რანგნიკის პასუხი: „*თუ მაგარი განცხადებების მოსმენა გსურთ, მიუნხენში უნდა ნახვიდეთ. ხოლო, თუ მაგარი ფეხბურთის ნახვა გინდათ, ჰოფენჰაიმში გეპატიჟებით! მინდა ვთქვა, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ მიუნხენელები ძალიან ნერვიულობენ. ისინი „ჰოფენჰაიმს" ძალიან სერიოზულად უყურებენ. ყოველივე იმის შემდეგ, რაც ამ დღეებში მოხდა, სერიოზულად დავფიქრდი: ნუთუ ჩვენ ამ ტურში მართლა „ბაიერნს" ვეთამაშებით?*"

როგორი ტაქტიკით ითამაშებს „ჰოფენჰაიმი" „ბაიერნის" წინააღმდეგ? ორი აზრი არ არსებობს: „სოფლელები" სტილს არ უღალატებენ და შეუტევენ. რანგნიკი: „*იქნებ სულაც 4 თავდამსხმელით ვითამაშოთ. გამორიცხული არც ისაა, რომ მოედანზე 12 ან 13 ფეხბურთელი გავიყვანო იმ იმედით, რომ ამას ვერავინ შეამჩნევს!*"

რანგნიკი უფრო შორს წავიდა და შეიძლება ითქვას, რომ „ბაიერნის" ფანებს შეურაცხყოფა მიაყენა: „*რეკორდმაისტერის ფანები დღემდე ნამდვილად არ გამოირჩეოდნენ იმით, რომ თავის გუნდს თავდავიწყებით ქომაგობდნენ. ისე ჩანს, რომ ხალხი „ალიანს არენაზე" გასართობად დადის. ბავშვობაში „ბაიერნის" ფანი ნამდვილად არ ვიყავი, ჯერ აახენის „ალემანიას" ვქომაგობდი, მერე კი მიონხენგლადბახის „ბორუსიას". ამ გუნდის თამაში ყოველთვის უდიდეს სიამოვნებას მანიჭებდა. დღეს „ჰოფენჰაიმიც" ასეთ ფეხბურთს თამაშობს.*"

როგორც ხედავთ, რანგნიკი ძალიან კარგ ხასიათზეა და „ბაიერნს" მუშტებს უქნევს. საინტერესოა, როგორ ხასიათზე იქნება „პროფესორი რალფი" თამაშის შემდეგ...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ფერნანდო ტორესი

# ერთი ბედისწერა

## აგუერომ რამხელა წარმატებასაც არ უნდა მიაღწიოს, ატლეტიკოს ფანები ფერნანდო ტორესს არასოდეს დაივიწყებენ




მიმდინარე სეზონი ფერნანდო ტორესისთვის ძალიან უიღბლოდ წარიმართა. ესპანელი ფორვარდი ტრიუმფალური მატჩებისთვის ემზადებოდა, მაგრამ ტრავმა მიიღო და "ლივერპულს" სულ მცირე ერთი თვით დაემშვიდობა. აღსანიშნავია, რომ "ელ ნინიოსთვის" ეს პირველი ტრავმა არ გახლდათ. ფეხის ტკივილმა "წითელი ეშმაკების" ფორვარდს მისი ყოფილი კლუბის წინააღმდეგ თამაშის საშუალება არ მისცა. არადა, "ატლეტიკოსთან" მის შეხვედრას მთელი ესპანეთი მოუთმენლად ელოდა. ტორესის უიღბლობის მიუხედავად, "ლივერპული" პრემიერლიგაში წარმატებით ასპარეზობს და ჩემპიონობისთვის ბრძოლას აგრძელებს. "ელ ნინიოს" დიდი იმედი აქვს, რომ მოედანს მალე დაუბრუნდება და ეფექტური გოლებით საკუთარ კლუბს გამარჯვებების მოპოვებაში დაეხმარება. ფერნანდოს ლივერპულში "დიარიო ასის" კორესპონდენტი ხესუს სანჩო ესტუმრა და ვრცელი ინტერვიუ ჩამოართვა.

**- ფერნანდო, შენი ჯანმრთელობის მდგომარეობით ძალიან შეწუხებული ვარ. რა განწყობა დაგეუფლა, როცა ექიმებმა გითხრეს, რომ 2008 წელს ერთ შეხვედრასაც ველარ ჩაატარებ...**

- როგორი გრძნობა უნდა დამუფლებოდა? საშინლად განვიცადე. ვიფიქრე, სერიოზულ უსიამოვნებას გადავურჩი-მეთქი, მაგრამ არ გამიმართლა და მაინც ლაზარეთში ამოვყავი თავი. შესაძლოა, ვინმემ იფიქროს, რა აწუწუნებს, ერთი თვე თვალისდახამხამებაში გაივლისო... ამ ხალხს ვეთანხმები ზედაპირული მსჯელობისას იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ერთთვიანი იძულებითი შვებულება კატასტროფა სულაც არ არის, მაგრამ პროფესიონალები უსიტყვოდ დამეთანხმებიან, რომ ჩვენთვის ერთი მატჩის გამოტოვებაც დიდი ტკივილია. თანაც ერთ თვეს ახლა ამბობენ, მაგრამ თავისუფლად შეიძლება ეს ერთი თვე თვენახევრად, ან ორ თვედ იქცეს.

**- შენი ძალიან კარგად მესმის. ადამიანისთვის, რომელსაც ფეხბურთის თამაში სიამოვნებას ანიჭებს ერთთვიანი შვებულება დიდ ტანჯვასთან იქნება დაკავშირებული... და მაინც, ერთი თვე მართლა არ არის იმდენად დიდი დრო, რომ სასოწარკვეთილებამ მოგიცვას. რის გაკეთებას აპირებ ამ დროის განმავლობაში?**

- დავისვენებ და მთელ დროს ახლობელ ადამიანებთან ერთად გავატარებ. რამდენიმე დღეში ესპანეთში ჩავალ. ჩემი ქვეყანა ძალიან მომენატრა. ბავშვობის მეგობრებს ვნახავ, ერთმანეთთან სტუმრად ვივლით. მალე შობას ვიზეიმებთ, მერე ახალ წელს. მოკლედ, გართობა და სიამოვნება არ მომაკლდება, მაგრამ ყველაზე დიდ სიამოვნებას ფეხბურთის თამაში მანიჭებს.

**- როგორ ფიქრობ, "ლივერპულს" უშენოდ უფრო გაუჭირდება?**

- ძალიან უხერხული კითხვაა. საკუთარ თავზე საუბარი არ შემიძლია. როგორ უნდა გითხრათ, რომ "ლივერპულს" უჩემოდ ძალიან გაუჭირდება-მეთქი. რადგან მიყიდეს და ძირითად შემადგენლობაში მათამაშებენ ესე იგი მნიშვნელოვანი ფიგურა ვარ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვერ ვიტყვი, რომ ჩემი ტრავმის დროს გუნდს გადაულახავი პრობლემები შეექმნება. საკმაოდ კარგი შემადგენლობა გვყავს იმისთვის, რომ ამა თუ იმ ფეხბურთელის ტრავმა არ შევიმჩნიოთ და მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოვიპოვოთ. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ოპტიმისტურად ვარ განწყობილი.

**- შენი აზრით, "ლივერპულს" წელს ჩემპიონობისთვის უკეთესი შანსი აქვს?**

- ძალიან ძნელი სათქმელია. ჩვენ წინა სეზონებშიც არაჩვეულებრივი გუნდი გვყავდა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო საჩემპიონო ტიტულს ვერ შევწვდით. ვფიქრობ, ამის უმთავრესი მიზეზი გადაღლილობა და უიღბლობა იყო. იმედია, წელს ყველაფერი უკეთ წარიმართება. მოტივაცია ისევ მაღალია. ბრძოლისუნარიანობაც არ გვაკლია. მთავარია, ბედმა ზურგი არ გვაქციოს და ღმერთმა ტრავმებისგან დაგვიფაროს. თუ ეს ყველაფერი ერთმანეთს დაემთხვევა "ლივერპული" წელს ძალიან შორს წავა.

**- ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის კენჭისყრის შემდეგ განაცხადეთ, რომ "ატლეტიკოსთან" თამაშის შემთხვევაში უცნაურად იგრძნობდით თავს. ერთი მხრივ პროფესიონალიზმი გავალდებულებდა, რომ "ლივერპულის" ინტერესებს მომსახურებოდი, მეორე მხრივ, იმ გუნდის კარის დალაშქვრაზე უნდა გეზრუნა, რომელმაც ალბათ, ყველაფერი მოგცა რაც გაგაჩნია...**

- დიახ, კენჭისყრის დღემ უცნაურ განწყობაზე დამაყენა. გულწრფელად რომ გითხრათ, "ატლეტიკო" გოლის გასატანად არ მემეტებოდა, მაგრამ მოედანზე გასვლის საშუალება რომ მომცემოდა, ჩემს ყოფილ გუნდს, რა თქმა უნდა, არ დავინდობდი. რა გაეწყობა, ადამიანი პროფესიონალი უნდა იყოს. ხელფასს "ლივერპული" მიხდის და ამ გუნდის ხელმძღვანელობას ჩემი სენტიმენტალური სამყარო ნაკლებად აინტერესებს.

**- მახსოვს, ტრავმირებული ფერნანდო ტორესი ტრიბუნაზე იჯდა და "ლივერპულის" მიერ გამოუყენებელ თითოეულ მომენტზე ძალიან მტკივნეულად რეაგირებდა. ეს კადრები, რა თქმა უნდა, გუნდის გულშემატკივრებმაც იხილეს და ძალიან უკმაყოფილო დარჩნენ. ინჩასების ერთი ნაწილი დღესაც ამბობს, ტორესმა "ატლეტიკო" და მისი ქომაგები ინგლისურ ფულზე გაყიდაო...**

-მესმის მათი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რადიკალურად განწყობილი გულშემატკივრების თითქმის ექსტრემისტულ მოსაზრებას ვიზიარებ. რას ნიშნავს ინგლისურ ფულზე გაყიდვა? ეს იმან მითხრას, რომელსაც ხელფასი არასოდეს აუღია და ცხოვრების ბოლომდე არ აიღებს. ვიმეორებ, პროფესიონალი ვარ და იმ გუნდის ინტერესებს უნდა ვემსახურო, რომელიც ხელფასს მიხდის. კონტრაქტის პირობების დარღვევის უფლება არავის აქვს.

**- კიდევ ერთი მადრიდული ჭორი უნდა გაგაცნოთ. გულშემატკივართა მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ „ატლეტიკოსთან" მატჩების წინ ტრავმა მოიმიზეზეთ, რომ ყოფილი კლუბის წინააღმდეგ არ გეთამაშათ. ერთ-ერთ გაზეთში დაიწერა, ტორესს ინგლისური კლუბის ხელმძღვანელებისთვის პირდაპირ რომ ეთქვა სულით ხორცამდე ატლეტიკოელი ვარ და ნუ მათამაშებთ, "ელ ნინიოს" სერიოზული უსიამოვნება არ ასცდებოდაო.**

- რატომ გგონიათ, რომ "ლივერპულში" ჩემს წარსულს ასე ეჭვის თვალით უყურებენ? ისინი ძალიან კარგი ადამიანები არიან და მშვენივრად ესმით, ადამიანი იმ კლუბის მიმართ გულგრილი ვერასოდეს იქნება, რომელმაც გაზარდა და ფეხბურთის თამაში ასწავლა. ცდებით, ჩემი გუნდის მენეჯერებისთვის რომ მეთქვა, "ატლეტიკოს" დასამარცხებლად გული არ მიმიწევს და იქნებ არ მათამაშოთ-თქო გამიგებდნენ და საკითხს უხმაუროდ მოაგვარებდნენ. ასე რომ, ჩემი უთამაშებლობის ერთადერთი მიზეზი ტრავმაა და სხვა არაფერი. თუ ვინმე ამტკიცებს, რომ მე სენტიმენტალიზმმა ამიტანა და ტრავმა ამიტომ მოვიმიზეზე უმეცარი ადამიანი ყოფილა.

**- ფერნანდო, როგორ ფიქრობ, სერხიო აგუერომ "ატლეტიკოს" გულშემატკივრებს შენი თავი სამუდამოდ დაავიწყა?**

- სიკვდილს არ ვაპირებ, რომ რომელიმე ფეხბურთელმა ჩემი თავი ინჩადას დაავიწყოს. არა სენიორ, იმას კი ნამდვილად ვაღიარებ, რომ სერხიო აგუერო უდიდესი მოთამაშეა. არგენტინელს არა ერთხელ დაუმტკიცებია, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გამჭრიახი, საზრიანი და სამართლიანი ადამიანია. მიუხედავად ამისა, დიდი იმედი მაქვს, რომ სერხიო ფანებს ჩემს თავს ვერ დაავიწყებს, იმიტომ, რომ მე გულშემატკივრებთან ინდივიდუალური დიალოგი მქონდა. ინჩასების თვალებში ვხედავდი მათ რა გაახარებდა და სწორედ იმის გაკეთებას ვცდილობდი. ასე რომ, აგუერომ რამხელა წარმატებებსაც არ უნდა მიაღწიოს, "ვისენტე კალდერონი" ფერნანდო ტორესს არასოდეს დაივიწყებს.

**- ანუ შენ და "ატლეტიკოს" გარკვეული თვალსაზრისით საერთო ბედისწერა გაქვთ?**

- გარკვეული თვალსაზრისით? გარკვეული თვალსაზრისი რას მიქვია? დიახ, ჩვენ ერთი ბედისწერა გვაქვს. აბა, სხვანაირად როგორ უნდა ავხსნა ის განცდები და ნერვიულობა, რომელიც ინგლისში ყოფნის მიუხედავად ყოველ უქმეებზე მახსენებს თავს. "როხიბლანკოს" თამაშებს ისე ველოდები, თითქოს ისევ მადრიდული გუნდის მოთამაშე ვიყო. ვყვირივარ, ვღრიალებ, შეძლებისდაგვარად ვამხნევებ და საბრძოლველად განვაწყობ ბიჭებს.

**- შეუძლებელია, ინტერვიუ ისე დავასრულოთ, რომ სელექსიონზე არ ვისაუბროთ. ფინალში გატანილი გოლი რამდენჯერ დაგესიზმრა?**

- ფინალის დღეს ისეთი დაღლილი ვიყავი, არაფრის თავი აღარ მქონდა. ის ისტორიული ეპიზოდი რამდენჯერმე ვნახე. მართლა დაუვიწყარი თამაშია. გერმანიას ყველა კომპონენტში ვაჯობეთ და სრულიად დამსახურებულად მოვიგეთ.

ესპანეთი

# სელექსიონს ვენაში ძეგლს დაუდგამენ

ახალი წლის მოახლოებასთან ერთად 2008 წლის საფეხბურთო ამბების შეფასება აქტუალური საკითხი ხდება. თუ სანაკრებო ფეხბურთზე ვისაუბრებთ, მივხვდებით, რომ ყველაზე მეტ ქებას ესპანეთის ნაკრები იმსახურებს. სელექსიონმა ბევრისთვის მოულოდნელად ევროპის ჩემპიონატზე დაუჯერებლად კარგად ითამაშა და ჩემპიონი გახდა. ეს ტიტული პირენეელებმა ავსტრიაში გაინაღდეს. შეგახსენებთ, გერმანიასთან ფინალური ორთაბრძოლა ესპანელების გამარჯვებით დასრულდა. ავსტრიელებმა მათ მიწაზე გაჩემპიონებული გუნდი იმდენად შეიყვარეს, რომ მის პატივსაცემად ძეგლის აღმართვა გადაწყვიტეს. სავარაუდოდ, ეს ძეგლი ვენის ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში დაიდგმება. მოქანდაკეები ესკიზის შექმნაზე მუშაობისას დიდ ენერგიას ნამდვილად არ დაკარგავენ. საქმე ის არის, რომ ავსტრიელებს ამ მასალასთან დართული ფოტო იმდენად მოსწონთ, რომ იდენტური ძეგლის აგება სურთ. აი, რას ამბობს ვენის მერიის წარმომადგენელი **ვოლფგანგ შტრუნცი**: *"ჩვენი ქვეყნისთვის ევროპის ჩემპიონატი დაუვიწყარი მოვლენა და არაჩვეულებრივი გამოცდილება გახლდათ. ბევრი რამ ვისწავლეთ და დარწმუნებული ვარ, ავსტრია მუნდიალსაც ღირსეულად უმასპინძლებდა. ესპანეთის ნაკრები ჩვენთვის სასიამოვნო მოგონებად იქცა. ამ გუნდმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. თავს ვალდებულად ვთვლით, სელექსიონს საკადრისი პატივი მივაგოთ. მერიამ და მუნიციპალიტეტის ურბანული სამსახურის სამმართველომ რამდენიმე თათბირი გამართა. ვმსჯელობდით და ვცდილობდით, ესპანელების პატივსაცემად რამე მოგვეფიქრებინა. სჯაბაასში გენიალური იდეა გაჩნდა, სელექსიონს ძეგლი დავუდგათო, თავიდან ცოტა არ იყოს გაგვიკვირდა, მაგრამ შემდეგ კარგად დავფიქრდით და მივხვდით, რომ ეს ძეგლი ჩვენს ქალაქს ძალიან გაალამაზებს. მოკლედ, ნიმუშად გენიალურ ფოტოს ავიღებთ და მონუმენტს მისი მიხედვით დავამზადებინებთ. ასე რომ, ესპანელი ფეხბურთელებით არა მარტო ესპანელები, არამედ ჩვენ, ავსტრიელებიც ვიამაყებთ. იმედია, მოქანდაკეები მოინდომებენ და ხელოვნების შედევრს შექმნიან."*

ავსტრიელთა ინიციატივას ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციის პრეზიდენტი **ანხელ მარია ვილიარი** გამოეხმაურა: *"დიდი მადლობა ავსტრიელებს. აი, ეს არის ევროპული სულისკვეთება და ერთსულოვნება. აღფრთოვანებული ვარ, მადლობის მეტი მართლა არაფერი მეთქმის. ეს დიდი პასუხისმგებლობაა, რადგან როცა ევროპის ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქში ძეგლს გიდგამენ, თავს მოდუნების უფლებას ვერ მისცემ. მომავალშიც მაქსიმალური შედეგებისთვის ვიბრძოლებთ და დავამტკიცებთ, რომ არა მარტო ევროპის ჩემპიონობის, არამედ მუნდიალზე გამარჯვების უნარიც შეგვწევს."*

ატლეტიკო

# აგირე გაქურდეს

## მექსიკელს 87 ათასი ევრო და 60 ათასად შეფასებული ძვირფასეულობა მოჰპარეს

გუშინ "ატლეტიკოს" მთავარ მწვრთნელ **ხავიერ აგირეს** დიდი უსიამოვნება შეემთხვა. მექსიკელი სპეციალისტი გაქურდეს. მისი სახლიდან დიდძალი ძვირფასეულობა და ფული წაიღეს. აგირე ბაზაზე ჩვეულ დროს წავიდა და სადარბაზოდან გასვლის წინ საეჭვო არაფერი შეუმჩნევია. მან მთელი დღე დაუღალავად იმუშავა და მოგვიანებით შინ დაბრუნდა. მექსიკელ მწვრთნელს სახლი თავდაყირა დახვდა დაყენებული. ქურდებს ხელუხლებელი ერთი კუნჭულიც არ დაუტოვებიათ. მათ ყველა კარადა, გადაქექეს და რაც ყველაზე სავალალოა სეიფი გაასუფთავეს. სენიორ აგირემ მისი ქონების უსაფრთხოდ შენახვის მიზნით ძალიან ძვირადღირებული ცეცხლგამძლე კომპიუტერიზებული სეიფი შეიძინა. მისი გატეხვა ფაქტობრივად, შეუძლებელია, მაგრამ უბედურება ის არის, რომ "როხიბლანკოს" დამრიგებელს იმ დღეს სეიფის ჩაკეტვა დაავიწყდა...

მადრიდის პოლიციის დაკითხვის ოქმში წერია, რომ ხავიერ აგირეს 25 ათას ევროდ შეფასებული ოქროულობა, 35 ათასი ევროს ბრილიანტის სამკაულები და 87 ათასი ევრო მოჰპარეს. პოლიციას ეჭვმიტანილები ჯერჯერობით არ ჰყავს. სამართალდამცავებმა შემთხვევის ადგილიდან ანაბეჭდები აიღეს, მაგრამ მონაცემთა ბაზაში ისინი რეგისტრირებული არ აღმოჩნდა. რაც იმაზე მეტყველებს, რომ ბოროტმოქმედები ადრე დანაშაულის ჩადენაში მხილებული არ ყოფილან. სავარაუდოდ, ისინი ესპანეთში ახლახან ჩასული უცხოელებიც არ უნდა იყვნენ. შენგენის ვიზის გაცემისას საკონსულოს თანამშრომლები აპლიკანტისგან თითების ანაბეჭდს იღებენ. აგირეს ქურდების ვინაობის დადგენა საკონსულოს მონაცემთა ბაზის საშუალებითაც ვერ მოხერხდა. მრავალი სირთულის მიუხედავად, პოლიცია პირობას დებს, რომ საქმეს მალე გახსნის და დამნაშავეებს „ვირის აბანოში" მიუჩენს ადგილს. საბრალო აგირე კი იმაზე წუხს, რომ მისი ოჯახის წევრების სამკაულები დაკარგა. ერთ-ერთი ბეჭედი თურმე საოჯახო რელიკვია ყოფილა. მექსიკელი პოლიციას ყველაზე მეტად სწორედ ამ ბეჭდის პოვნას სთხოვს.

გვერდი მოამზადა
ილია **ნიკოლაიშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარსელონა

# ანრის ამდენი არასოდეს ურბენია

## ფრანგი ფორვარდი უგოლობას დიდი დატვირთვით ხსნის

**ტიერი ანრის** პრეზენტაციაზე "ბარსელონის" ისტორიაში ყველაზე მეტი ხალხი მივიდა. ფრანგი ფორვარდის მისასალმებლად „კამპ ნოუზე" 30 ათი ათასი გულშემატკივარი შეიკრიბა. მაშინ ყველა დარწმუნებული იყო, რომ ანრი "ბარსელონაში" არაჩვეულებრივ კარიერას გაიკეთებდა და კიდევ უფრო შთამბეჭდავად ითამაშებდა, ვიდრე წლების განმავლობაში "არსენალში" თამაშობდა. მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა და ახლა თამამად შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების მოლოდინი არ გამართლდა. ტიერი კატალონიურ გრანდში ძველებურად ვერ ბრწყინავს. ამის მიზეზს მიმომხილველები და გულშემატკივრები გაუთავებლად ეძებენ. რა არ ითქვა, ფრანგს თამაში იმიტომ უჭირს, რომ ცოლს გაშორდა და საყვარელი შვილის ნახვის საშუალება იშვიათად ეძლევაო. ინჩასებს იმედი ჰქონდათ, რომ ანრის დრო იარას მოუშუშებდა და კარგად ათამაშდებოდა... დრო მართლაც გავიდა, მაგრამ ანრი ის ანრი მაინც არ არის. გუშინ ტიერიმ "კამპ ნოუს" საპრესკონფერენციო დარბაზში ჟურნალისტებს უმასპინძლა და მათთან გულწრფელად ილაპარაკა: *"კარგად მესმის, რომ ხალხს იმ ანრის ნახვა სურს, რომელსაც "არსენალში" უამრავი გოლი გაჰქონდა. სამწუხაროდ ეს არ გამოდის. ჩემი აზრით, ამას ერთი საინტერესო მიზეზი აქვს. საქმე ის არის, რომ "ბარსელონაში" წარმოუდგენლად ბევრი სირბილი მიწევს. მწვრთნელის დავალება, რა თქმა უნდა, ულაპარაკოდ უნდა შევასრულო. მწვრთნელი კი ნახევარდაცვაში ჩასვლასა და ბურთის იქიდან ამოტანას მავალებს. სრული სერიოზულობით ვაცხადებ, იმდენი არასოდეს მირბენია, რამდენსაც "ბარსელონაში" დავრბივარ. "არსენალში" ძირითადად ცენტრფორვარდის პოზიციაზე ვასპარეზობდი. უკან დახევა ხშირად არ მიწევდა და მეტი ენერგია მრჩებოდა იმისთვის, რომ მცველები მომეტყუებინა და გოლი გამეტანა. არ მინდა, ვინმემ იფიქროს, რომ თავს ვიმართლებ. უბრალოდ, ვცდილობ, უფერული თამაშის მიზეზი დავადგინო. გამიხარდება, თუ გულშემატკივრები გამიგებენ და დაიჯერებენ, რომ პრობლემა მხოლოდ ჩემში არ არის. პრინციპში, თუ გუნდს ასეთი ტიერი ანრი სჭირდება, მე პრობლემას არ შევქმნი. მწვრთნელის მითითებებს მომავალშიც უკომენტაროდ შევასრულებ და ისევ ბევრს ვირბენ."*

პრესკონფერენციაზე ანრის ეგრეთ წოდებულ „მესიზე დამოკიდებულების" თემაზეც ჰკითხეს. ფრანგი ფორვარდი არ ფიქრობს, რომ "ბარსელონა" მხოლოდ ერთ კაცზეა დამოკიდებული: *"მესი გენიალური ფეხბურთელია. მართალია, ღმერთი საკუთარი თვალით არასოდეს მინახავს, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ ლეოს ეს ნიჭი ღმერთმა უბოძა. იმას, რასაც ის აკეთებს ვერასოდეს ისწავლი. ეს გამორიცხულია. გულწრფელად უნდა განვაცხადო, როცა ლეო მოედანზეა "ბარსელონას" თამაშის მოგება უადვილდება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მესის გარეშე კატალონიურ გრანდს გამარჯვების მოპოვება არ შეუძლია. ჩემი არით, "ბარსას" მესიზე დამოკიდებულებაზე მსჯელობა დროის ფუჭი კარგვაა, რადგან თავად არგენტინელი აღიარებს, რომ ჩვენი გუნდის კეთილდღეობა მხოლოდ მასზე არ არის დამყარებული."*

**ილია ნიკოლაიშვილი**



ვალენსია

# ჰილდებრანდმა თავი გაითავისუფლა

გუშინ **ტიმო ჰილდებრანდმა** "ვალენსიისგან" თავი გაითავისუფლა. გერმანელ მეკარეს ესპანური კლუბის მთავარ მწვრთნელსა და დირექტორთან ურთიერთობა რამდენიმე თვის წინ დაეძაბა. მან **უნაი ემერის** თავხედური ულტიმატუმი წაუყენა: ძირითად შემადგენლობაში მათამაშე ან არ ვივარჯიშებო. ამ გამოხდომით ტიმომ სენიორ ემერის კეთილგანწყობა სამუდამოდ დაკარგა. ჰილდებრანდი მიხვდა, რომ "ვალენსიაში" პერსპექტივა არ გააჩნდა და კლუბის შეცვლაზე ზრუნვა დაიწყო. გუშინ გერმანელმა მეკარემ ხელმძღვანელობასთან მნიშვნელოვან შეთანხმებას მიაღწია. ის ყოველგვარი პირობისა და საკომპენსაციო თანხის გარეშე გაათავისუფლეს. არადა, კონტრაქტის თანახმად ტიმოს "მესტალიაზე" 2010 წლის 30 ივნისამდე უნდა ეთამაშა.

"ღამურების" კარის დარაჯმა მიღწეული შეთანხმება ასე შეაფასა: *"ძალიან მიხარია, რომ საერთო ენა გამოვნახეთ და ყველასთვის მისაღები გადაწყვეტილება მივიღეთ. ჩვენი თანამშრომლობა სრული უაზრობა გახლდათ. როცა საქმე არ გამოდის, ჯობია, ოპონენტს ხელი ჩამოართვა და სამუდამოდ დაემშვიდობო."*

ჰილდებრანდი "ვალენსიაში" "შტუტგარტიდან" გადავიდა. ის თავისუფალი აგენტი გახლდათ და ესპანელებს ტრანსფერი ერთი ევროც არ დაჯდომიათ. შესაძლოა, ამითაც გახლდათ განპირობებული, რომ ტიმო უსასყიდლოდვე გაათავისუფლეს.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ვარსკვლავები



სტივენ დეფური



აქსელ ვიტსელი

# ლიეჟი, ფლამანდიელი ტალანტების აკვანი

80-იან წლებში ბელგიის ნაკრები ერთ-ერთი ყველაზე სიმპათიური გუნდი გახლდათ, მაგრამ მას შემდეგ ძალიან დიდი დრო გავიდა. ვინჩენცო შიფოს თაობა ფეხბურთიდან წავიდა და ნელ-ნელა რეგრესი გაღრმავდა. სერიოზულ ჩავარდნას ყოველთვის დიდი აღმავლობა მოსდევს. სწორედ 80-იანი წლების ბოლოს არის დაბადებული ბელგიის ნაკრების ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომელთა ასაკი იძლევა საშუალებას, რომ მათ მომავლის ფეხბურთელები ვუწოდოთ. გადავხედოთ ნიჭიერი ფლამანდიელების სიას: ანტონი ვანდენ ბორე (ჯენოა) 21 წლის; მარუან ფელაინი (ევერტონი) 21 წლის; ვენსან კომპანი (მანჩესტერ სიტი) 22 წლის; კევინ მირალიასი (სენტ ეტიენი) 21 წლის; მუსა დემბელე (ალკმაარი) 21 წლის; სებასტიან პოკონიოლი (ალკმაარი) 21 წლის; ტომ დე მული (სევილია) 22 წლის; იან ფერტონგენი (აიაქსი) 21 წლის; ტომას ვერმაელენი (აიაქსი) 23 წლის; იერონ სიმაიესი (ბრიუგე) 23 წლის; ედენ აზარი (ლილი) 17 წლის; გიიომ ჟილე (ანდერლეხტი) 23 წლის; ტომ დე სუტერი (სერკლ ბრიუგე) 23 წლის; ასეთებს ყველგან ნახავთ სადაც არის ფული და ტალანტების აღმოჩენის სურვილი. სამშობლოში მოთამაშეთა შორის ორი ყველაზე გამორჩეული ტალანტი ლიეჟის „სტანდარდში" თამაშობს. ლაპარაკია სტივენ დეფურსა და აქსელ ვიტსელზე. დღეს, რა თქმა უნდა, ყველა ზემოთ ჩამოთვლილზე ვერ ვილაპარაკებთ, მაგრამ შევეცდებით, უკანასკნელი ორი ფეხბურთელი უფრო ახლოს გაგაცნოთ. მაშ ასე...

### სტივენ დეფური

*დაიბადა 1988 წლის 15 აპრილს, 1,73 მეტრი, ცენტრალური ან მარცხენა ნახევარმცველი, უკან დახეული ფორვარდი. პროფესიული კარიერა: „გენკი" 2004-2006; „სტანდარდი" 2006 წლიდან. ფასი 6 მილიონი ევრო.*

ნიჭიერი ფეხბურთელის კარიერა მშობლიურ ქალაქ მეხელენში დაიწყო. სტივენის სახელი ჯერ კიდევ ფეხბურთელის არასრულწლოვნობამდე ადგათ პირზე ტალანტებზე მონადირე მენეჯერებს. დეფურს 17 წლისას შესანიშნავი შანსი მიეცა, პროფესიული კარიერა „გენკიდან" „აიაქსში"-გაეგრძელებინა, მაგრამ გარკვეული იურიდიული გაუგებრობების შემდეგ ამსტერდამელებმა ფეხბურთელის შეძენაზე უარი თქვეს. „გენკმა" ამით ისარგებლა და 2006 წელს ტალანტი 2,25 მილიონ ევროდ ლიეჟის „სტანდარდს" დაუთმო. დეფური ჯერ კიდევ პირველ კლუბში ირიცხებოდა, როცა ბელგიის ნაკრებში სადებიუტო შეხვედრა ჩაატარა, ეს 2006 წლის მაისში მოხდა. მას შემდეგ ეროვნული გუნდის შემადგენლობაში სტივენმა 18 შეხვედრა ჩაატარა და ერთი გოლი გაიტანა. ნახევარმცველის ავტორიტეტი როგორც თანაგუნდელთა, ისე ფეხბურთის სპეციალისტთა შორის მას შემდეგ ნელ-ნელა იზრდება. დეფური **რენე ვანდერეიკენის** ტაქტიკური სქემების ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი ძალაა. ამჟამინდელ კლუბში ის სულაც კაპიტნის ფუნქციებს ასრულებს, რაც მის ქარიზმას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს. თანაც სამკლავური მან უბრალოდ ვინმესგან კი არა, თავად **სერჟიო კონსეისაოსგან** ჩაიბარა, ვინც კარიერის დასრულებამდე სათამაშოდ ქუვეითში გადაბარგდა. ჯერ კიდევ „უწვერული ფეხბურთელისთვის" ასეთი პასუხისმგებლობის დაკისრება „წითლების" მთავარმა მწვრთნელმა **მიშელ პრიუდომმა** გადაწყვიტა. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თავის გადაწყვეტილებას ის არასდროს ინანებს. ერთი შეხედვით, ლიეჟელები შარშანდელ სეზონში ძალზე იოლად გახდნენ ქვეყნის ჩემპიონები. ჩამოიტოვეს რა უახლოესი კონკურენტები „ანდერლეხტი" და „ბრიუგე", შესაბამისად, 7 და 10 ქულის სხვაობით. საჩემპიონო რბოლაში დეფურის როლი განუსაზღვრელი იყო. მის ანგარიშზე 10-ზე მეტი საგოლე გადაცემა აღმოჩნდა, რომ არაფერი ვთქვათ ფეხბურთელის სუფთა ლიდერულ თვისებებზე. საბოლოოდ, სტივენ დეფური ბელგიის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა. მისი ტალანტი შეუფასებელია: შეუძლია ნახევარდაცვის ცენტრში ითამაშოს როგორც ჩამშლელის, ისე გამთამაშებლის ამპლუაში; შეუძლია ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე თამაშიც, თუმცა გადამწყვეტ დარტყმას კარში ყოველთვის მარჯვენა ფეხით აკეთებს; აქვს მოედნის იშვიათი ხედვა და შეუძლია როგორც გრძელი, ისე მოკლე პასებით თამაში.

### აქსელ ვიტსელი

***დაიბადა 1989 წლის 12 იანვარს, 1,83 მეტრი, ნახევარდაცვაში თამაში მას ოთხივე პოზიციაზე შეუძლია. პროფესიული კარიერა: „სტანდარდი". ფასი 8 მილიონი ევრო.***

**აქსელ ვიტსელი** ლიეჟში დაიბადა და გაიზარდა. მშობლიური ქალაქის კლუბის ძირითად შემადგენლობაში პირველად 17 წლის ასაკში მოხვდა და მას შემდეგ გუნდის თავკაცებს არ მისცემიათ ფეხბურთელის სკამზე დასმის საფუძველი. მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი მეკარე შეგირდს ძირითადად მარცხენა ნახევარმცველად ათამაშებდა, ხოლო მისი შემცვლელი **ლასლო ბოლონი** და ნაკრების თავკაცი რენე ვანდერეიკენი ძირითადად ცენტრში იყენებენ. რუმინელი ბოლონი იძულებული გახდა ასეთ ნაბიჯზე წასულიყო, რადგან გუნდმა „ევერტონში" ძირითადი საყრდენი **მარუან ფელაინი** გაყიდა. ამით კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი აქსელის მრავალმხრივ ნიჭს. ვიტსელის უმთავრესი დადებითი თვისება სწორედ უნივერსალიზმი და ახალ გარემოსთან შეგუების განსაკუთრებული უნარია. ბავშვობაში ის წლების განმავლობაში თამაშობდა საყრდენ ნახევარმცველად, მაგრამ როგორც კი „სტანდარდში" მოხვდა, უმალ განაპირა ნახევარმცველად გარდაიქმნა. ხანდახან მას ფლანგის თავდამსხმელადაც კი უასპარეზია. ახლა კი ნახევარდაცვის ცენტრს ამაგრებს. გასულ სეზონში ფეხბურთელმა ბელგიის წლის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელის პრიზი მიიღო. სეზონის ბოლომდე მას მოსაფიქრებელი აქვს, თუ სად გადავიდეს. არადა, არჩევანი აქვს, იცოცხლეთ: „მანჩესტერ იუნაიტედი", „არსენალი", „ჩელსი", „ინტერი", „მარსელი". საფიქრალი მართლა ბევრია...

**შალვა ბიბილაშვილი**

მოსაზრება

# ტარდელი: ინტერი ევროპაში საუკეთესოა

მას შემდეგ, რაც სერია A-ში „ინტერმა" მდევრებს მთელი ექვსი ქულით გაუსწრო, იტალიაში „ნერაძურის" ჩემპიონობაზე უკვე ბევრი ალაპარაკდა. მათ შორის გახლავთ წარსულში ცნობილი ფეხბურთელი **მარკო ტარდელი**, ვინც თავის დროზე სწორედ „ნერაძურიში" ასპარეზობით გაითქვა სახელი. მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონი „კალჩო 2000"-ის ჟურნალისტს საკმაოდ ვრცლად ესაუბრა და იტალიურ ფეხბურთში მიმდინარე პროცესებზე საკუთარი მოსაზრება გამოთქვა.

- ჩემი აზრით, იტალიის ჩემპიონი „ინტერი" გახდება. მილანელებმა ძალიან უნდა მოინდომონ, რომ ეს ტიტული ხელიდან გაუშვან. აშკარაა, რომ „ნერაძური" დღეს საუკეთესოა და პირველ ადგილზე დამსახურებულად იმყოფება. მეტიც, „ინტერი" ევროპის საუკეთესო გუნდია და დიდია შანსი, მიმდინარე სეზონი „ნერაძურის" სრული ტრიუმფით დასრულდეს.

- რა აზრის ვარ ჟოზე მოურინიოზე? ის, რომ „ინტერი" ასეთი ძლიერია, სწორედ მისი დამსახურებაა. პორტუგალიელი ძალიან მესიმპათიურება, აშკარაა, რომ თავისი საქმის უბადლო მცოდნეა. ვცდილობ „ნერაძურის" თამაში არ გავაცდინო და დეტალებში ვხედავ, როგორ მართავს გუნდს ჟოზე. მისი გადაწყვეტილებები ყოველთვის ადეკვატური და დროულია. თანაც, ის ჯერ კიდევ ეჩვევა გუნდს. საუკეთესო „ინტერი" ჯერ არ გინახავთ.

- კომპლიმენტები მინდა ვუძღვნა დელიო როსის და მის „ლაციოს". „ბიანკოჩელესტეს" თამაშის ყურება დიდ სიამოვნებას მანიჭებს და შესაბამისად, ამ გუნდს ვგულშემატკივრობ კიდეც. ძალიან მომწონს მარიო სარატეს თამაშის მანერა, სწრაფია და ტექნიკური. ასეთი ტიპის ფეხბურთელები თითქოს მოდაში აღარ არიან და მსიამოვნებს, რომ ამ შემთხვევაში საპირისპიროს ვხედავ. სწორხაზოვანი მოთამაშეების გარემოცვაში სარატეს დარი ვირტუოზები ყოველთვის გამოირჩევიან. ჩემი აზრით, „ლაციოს" ჩემპიონთა ლიგის ზონაში ძალუძს მოხვედრა და იმედია, ეს ასეც მოხდება.

- რა შეიცვალა იტალიურ ფეხბურთში კალჩოპოლის შემდეგ? - ხალხი ფეხბურთისკენ შემობრუნდა, ნდობა გაჩნდა და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. შემთხვევითი არაა, რომ ბოლო ორი სეზონია სტადიონებზე გულშემატკივართა რაოდენობა იზრდება. არადა, ამ კუთხით წლების განმავლობაში საშინელ ვარდნას განვიცდიდით. ფეხბურთს რამდენიმე ისეთი პერსონა ჩამოშორდა, რომელთა რეპუტაცია, რბილად რომ ვთქვათ, შელახული გახლდათ. მსაჯების მიმართ დღესაც ბევრი გამოთქვამს პრეტენზიას, მაგრამ ერთია შეცდომის გაპროტესტება და მეორე - მიკერძოებაში დადანაშაულება. ძალიან მიხარია, რომ ამ კუთხით ვითარება რადიკალურად შეიცვალა.





# დროგბა და ინტერი საეჭვოა

ერთ-ერთ ნომერში გაუწყეთ, რომ იტალიელი ჟურნალისტები **დიდიე დროგბას** „ინტერში" გადაბარგებას უწინასწარმეტყველებენ. შავკანიან ფორვარდს „ჩელსიში" საქმეები მთლად კარგად ვერ მისდის და როგორც ამბობენ, კლუბის გამოცვლაც დაუსახავს მიზნად. ჩნდება კითხვა: სად შეიძლება წავიდეს აფრიკელი ფორვარდი, თუ არა მის ყოფილ დამრიგებელ **ჟოზე მოურინიოსთან**? პორტუგალიელმა ღიად განაცხადა, რომ კლუბის მესვეურებს დროგბას ტრანსფერზე მუშაობა მოთხოვა. ამ ფონზე, რა გასაკვირია, რომ იტალიელი ჟურნალისტები უკვე მომავლის „ინტერსა" და **იბრაჰიმოვიჩი-დროგბას** სუპერტანდემზე ალაპარაკდნენ.

ყოველივე ამან „ჩელსის" მესვეურთა უკმაყოფილება გამოიწვია. ლონდონური კლუბის მმართველმა დირექტორმა **პიტერ კენიონმა** დროგბას საკითხზე საგანგებო განცხადება გააკეთა: *„დიდიე ჩვენთან რჩება, ასე რომ, გავრცელებული ინფორმაციები სიმართლეს არ შეესაბამება. კოტ-დივუარელის პრობლემები ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ დაიწყო და დღემდე გრძელდება. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ მისი აღარ გვჯერა და გასხვისებას ვუპირებთ. ნიკოლა ანელკასა და დიდიე დროგბას წყვილი ევროპაში უძლიერესი იქნება, მთავარია, აფრიკელმა საკუთარ თავში ძალები იპოვოს და ძველ კონდიციას დაუბრუნდეს".*

აღნიშნულ საკითხზე კომენტარი გააკეთა ფეხბურთელის აგენტმა **ტიერნო სეიდმა**: *„დიდიე არსად წასვლას არ აპირებს და ამას სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ. მისი მიზანია, ჩვეული ფორმა დაიბრუნოს და უკეთესად ათამაშდეს. ამას წინათ, ერთ-ერთ გაზეთში წავიკითხე, თითქოს დროგბასა და ანელკას შორის კონფლიქტი მოხდა. ესეც აბსურდია, დიდიეს ნიკოლასთან შესანიშნავი ურთიერთობა აქვს და მათ შორის არანაირი გაუგებრობა არ მომხდარა. ერთი სიტყვით, დროგბა „ჩელსიში" რჩება".*

რატომ მოხდა ეს?

# გაუჩო ბერლუსკონის დაურწმუნებია...

**რონალდინიომ** იტალიურ ფეხბურთს ალლო მალევე აუღო და უკვე „მილანის" ერთ-ერთ მთავარ დამრტყმელ ძალადაც გვევლინება. გაუჩომ არაერთხელ განაცხადა, რომ „როსონერიში" გადასვლით სწორი გადაწყვეტილება მიიღო. გუშინ, 2004 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი მშობლიურ „გლობოს" ესაუბრა და განაცხადა, რომ დიდი იყო შანსი, არჩევანი „მანჩესტერ სიტიზე" გაეკეთებინა:

*„ჩემი ძმა, რომელიც ამავდროულად ჩემი აგენტია, მოლაპარაკებებს „მილანის" და „მანჩესტერ სიტის" წარმომადგენლებთან აწარმოებდა. დიდი ხნის განმავლობაში სწორედ ინგლისური ვარიანტისკენ ვიხრებოდი, რადგან მანჩესტერელები ფინანსური კუთხით გაცილებით უკეთეს პირობებს მთავაზობდნენ. თანაც, „სიტის" მესვეურებს ამბიციური გეგმები აქვთ და სურთ, რამდენიმე წელიწადში გუნდმა საფეხბურთო მწვერვალები დაიპყროს. ყველაფერი ბერლუსკონისთან შეხვედრამ გადაწყვიტა. დონ სილვიოს ჩემი „მილანში" ხილვა ძალიან დიდი ხნის განმავლობაში სურდა და ეს პირად საუბარშიც დამიდასტურა. მისთვის უარის თქმა, უბრალოდ, არ შემეძლო და საბედნიეროდ, არჩევანი „მილანზე" შევაჩერე".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



მილანი

# კარლეტო თავს იმშვიდებს

ოთხშაბათს „მილანმა" მორიგი მარცხი განიცადა. **კარლო ანჩელოტის** გუნდი იტალიის თასის გათამაშებას გამოეთიშა და გზა რომის „ლაციოს" დაუთმო. ორმატჩიანი დუელის ბედი დამატებით დროში გადაწყდა, კაცნაკლულმა „როსონერიმ" „ბიანკოჩელესტეს" შეტევებს ველარ გაუძლო და **გორან პანდევისგან** საბედისწერო გოლიც მიიღო. მატჩის შემდეგ ანჩელოტი ძალიან გაბრაზებული ჩანდა, თუმცა პრესასთან საუბარში ეს არ შეიმჩნია და თავი ისე დაიჭირა, თითქოს განსაკუთრებული არაფერი მომხდარა:



*„იტალიის თასიდან გამოვარდნა ჩვენთვის ტრაგედია ნამდვილად არ არის, რაშიც ალბათ გულშემატკივრებიც დამეთანხმებიან. მთავარი ისაა, რომ გუნდმა კარგად ითამაშა და შემდეგ ეტაპზე გასვლასაც იმსახურებდა. შეხვედრისას უმეტესწილად, სწორედ ჩვენ ვდომინირებდით და რამდენჯერმე გოლის გატანაც გვმართებდა. კრიზისსა და ჩავარდნაზე ლაპარაკი უადგილოა, გუნდი გააზრებულ, ორგანიზებულ ფეხბურთს თამაშობს და შეგირდების მიმართ სასაყვედურო არაფერი მაქვს. ძალიან კარგია, რომ თავის გამოჩენა შეძლო ანდრეი შევჩენკომ. უკრაინელს კარგი პერიოდი არ უდგას და მისთვის ეს გოლი უმნიშვნელოვანესია. იმედია, ანდრეი ასევე გააგრძელებს და კიდევ არაერთხელ გაახარებს ტიფოზებს".*

მეორე ნახევარში მატჩის არბიტრმა მოედნიდან **ემერსონი** გააძევა. ბუნებრივია, კარლეტოს ამის შესახებაც დაეკითხნენ: *„ბოლო დროს მსაჯებს ხშირად ვაკრიტიკებ და დღეს ვერაფერს დამაცდენინებთ. „ლაციოსთან" ფეხბურთელი გაგვიძევეს და ჩვენი კარის მიმართულებით თერთმეტმეტრიანი დანიშნეს. აუცილებლად ვნახავ ჩანაწერს და დასკვნებსაც გამოვიტან. საერთოდ, მსაჯობის დონით კმაყოფილი არ ვარ და ამას დღესაც დაუფარავად განვაცხადებ".*

მატჩის შემდეგ პრესას **შევჩენკოც** ესაუბრა და მარცხის გამო სინანული გამოთქვა: *„ძალიან სამწუხაროა, რომ კარგად დაწყებული საქმე ცუდად დამთავრდა. დღეს ურიგოდ ნამდვილად არ გამოვიყურებოდით და შემდეგ ეტაპზე გასვლა ჩვენ უფრო გვეკუთვნოდა. მატჩის შედეგ ზე გავლენა მსაჯის გადაწყვეტილებებმა იქონია, შეეძლო უფრო ლმობიერი ყოფილიყო ჩვენ მიმართ და ემერსონის გაძევებისგან შეეკავებინა თავი. რაც შეეხება ჩემს თამაშს, გოლმა ძალიან გამახარა და იმედია, კიდევ არაერთხელ შევარხევ მეტოქეთა კარის ბადეს".*

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი

მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ამბები

## კინმა სანდერლენდი დატოვა

**როი კინი** „სანდერლენდის“ მწვრთნელი აღარ არის. მიუხედავად კლუბის მესვეურთა არა ერთგზის მცდელობისა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ლეგენდას „კატებში“ მუშაობა გაეგრძელებინა, ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა - როი შეუვალი იყო. „ბოლტონთან“ ბოლო საშინაო ფიასკოს (1:4) შემდეგ კინი კლუბის თავმჯდომარე **ნაიალ ქუინს** შეხვდა. თავის დროზე ისინი ერთად თამაშობდნენ ირლანდიის ნაკრებში, თუმცა არც მეგობრობამ გაჭრა.

ახალ მწვრთნელზე ჯერ არაფერია ცნობილი. გარკვეულია მხოლოდ ის, რომ შაბათის მატჩისთვის გუნდს **რიკი ზბრაჯა, ნილ ბეილი** და **დუაიტ იორკი** მოამზადებენ. ბრიტანული მედიის მტკიცებით, კინის შემცვლელად ყველაზე რეალური კანდიდატურა **სემ ელერდაისია**, რომელიც იანვრის შემდეგ უმუშევარია.

## ელანო შვებულებაში

„სპორტინგლაიფის“ ცნობით, „სიტი ოფ მანჩესტერზე“ გუშინწინ გამართულ ბრძოლაში გარდა იმისა, რომ მასპინძლებმა პსჟ-ს ვერ მოუგეს, მეორე უსიამოვნებაც შეემთხვათ. ორი კვირის განმავლობაში **მარკ ჰიუზი** ბრაზილიელი **ელანო ბლუმერის** გარეშე დარჩა. მეორე ტაიმის დასაწყისში ფეხბურთელმა ფეხის კუნთის პრობლემის გამო მინდორი ნაადრევად დატოვა. გუშინვე მას კომპლექსური სამედიცინო გამოკვლევა უნდა ჩატარებოდა, თუმცა ექიმები დარწმუნებით აცხადებენ, რომ საშიში არაფერია და ორი კვირის შემდეგ ბრაზილიელი უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშს შეძლებს. „სამწუხაროა, მაგრამ ელანო დავკარგეთ. მითხრეს, რომ ორ კვირაში ის უკვე მწყობრში იქნება. თუკი საჭირო გახდა, ჩვენს ერთ-ერთ ლიდერს დასასვენებელ მეტ დროსაც მივცემთ“, - განაცხადა მარკ ჰიუზმა.

## ოლირი ბრძოლაში ჩაება

ბირმინგემული „ასტონ ვილის“ თავკაცი **მარტინ ონილი** მზადაა, „ვიგანის“ 23 წლის ეკვადორელი მარჯვენა მახევარცველის **ლუის ანტონიო ვალენსიასთვის** გაჩაღებულ სერიოზულ ბრძოლაში ჩაებას. სამხრეთამერიკელის გადაბირება „მანჩესტერ იუნაიტედს“, „ლივერპულსა“ და „არსენალს“ სურთ. ექსპერტების შეფასებით ლუის ანტონიო სავარაუდო ღირებულება 5 მილიონ გირვანქას შეადგენს.

ახალგაზრდა ფეხბურთელი მიმდინარე სეზონში შესანიშნავად გამოიყურება. 14 შეხვედრაში მის ანგარიშზე 2 გოლი და 3 საგოლე გადაცემაა.

ასტონვილელი **ჯონ კარუს** მძიმე მდგომარეობის შესახებ ალბათ ყველას მოგეხსენებათ. მას ხერხემალი და ბარძაყი ერთდროულად აქვს დაშავებული. ქირურგების მიერ ჩატარებული დეტალური შემოწმების შემდეგ დადგინდა, რომ მას ოპერაცია არ დასჭირდება. ჯერჯერობით ის სარეაბილიტაციო პროცედურებს გადის. „ამ ეტაპზე მხოლოდ ვაკვირდებით, თუ როგორ ჩაივლის აღდგენითი კურსი... ჩვენს ფორვარდს ოპერაციას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში გავუკეთებთ“, - განაცხადა ჩრდილოირლანდიელმა სპეციალისტმა.

## დინის ასისტენტი დაისაჯა

„ჩელსისა“ და „არსენალის“ შეხვედრის მთავარმა არბიტრმა მიუტევებელი შეცდომა დაუშვა. ასისტენტ **ჯონ სტოკსის** „სიბრმავის“ წყალობით **მაიკ დინმა რობინ ვან პერსის** გოლი ჩათვალა. მატჩის შემდეგ ცხელ გულზეც კი „მეთოფეთა“ ფორვარდს არ უარუყვია, რომ გოლი წესის დარღვევით გაიტანა. რაშიც ჰოლანდიელი „ბოლომდე დარწმუნებული“ არ იყო, იმთავითვე ნათელი გახლდათ **ლუიშ ფელიპე სკოლარისთვის**. მან შეხვედრის არბიტრებს ურჩია, ენახათ გამეორება და საკუთარი არაკომპეტენტურობის გამო „ჩელსისთვის“ ბოდიში მოეხადათ.

FRANCE FOOTBALL ლაურეატები

# დიდი ფეხბურთელების დღევანდელი დღე

### მეტიუზიდან რონალდომდე

**კრისტიანო რონალდო ოქროს ბურთის 41-ე ლაურეატი გახდა. საინტერესოა, რას აკეთებენ დღეს წარსულის ვარსკვლავები. პლატინი უეფას პრეზიდენტია, ვეას ლიბერიის პრეზიდენტობა ესწრაფვის, „გერდ მიულერი“ სტადიონია, ხოლო „კევინ კიგანი“ თვითმფრინავი. მაშ ასე:**



ყველაფერი სტენლი მეტიუზით დაიწყო

**1956 - სტენლი მეტიუზი** (ბლეკპული). ინგლისი. პირველი ფეხბურთელი, ვისთვისაც ბრიტანეთის სამეფო კარმა სერის ტიტული გაიმეტა. თავის დროზე სერ სტენლი ფეხბურთს 55 წლამდე თამაშობდა. ხანგრძლივი იყო მისი ცხოვრების გზაც. 85 წლის ასაკში 2000 წლის 23 თებერვალს გარდაიცვალა.

**1957-59 ალფრედო დი სტეფანო** (რეალი). არგენტინა/ესპანეთი. 82 წლის ასაკში „რეალის“ საპატიო პრეზიდენტია.

**1958 - რაიმონ კოპა** (რეალი). საფრანგეთი. წელს, მარტში, 77 წლის ასაკში მუსიე რაიმონმა პრეზიდენტ **ნიკოლა სარკოზისგან** საპატიო ლეგიონის ორდენი დაიმსახურა. ამაზე მეტი ჯილდო საფრანგეთს არ აქვს.

**1960 - ლუის სუარესი** (ბარსელონა). 73 წლის ასაკში მილანის „ინტერის“ სკაუტად მუშაობს.

**1961 - ომარ სივორი** (იუვენტუსი). არგენტინა/იტალია. 2005 წელს 69 წლის ასაკში სიმსივნით გარდაიცვალა.

**1962 - იოჟეფ მასოპუსტი** (დუკლა). ჩეხოსლოვაკია. 77 წლისა ცხოვრობს ქალაქ მლადე-ბოლესლავში. ფლობს ფირმა „ლოტოსს“, რომელიც ვაჭრობს ოთახის ყვავილებით და კერამიკის ჭურჭლით.

**1963 - ლევ იაშინი** (დინამო მოსკ). სსრკ. გარდაიცვალა 60 წლისა 1990 წელს განგრენისა და გულის მძიმე დაავადების გამო.

**1964 - დენის ლოუ** (მანჩესტერ იუნაიტედი). შოტლანდია. 68 წლისა მუშაობს ტელეკომენტატორად.

**1965 - ეუსებიო** (ბენფიკა). პორტუგალია. 66 წლის ასაკში მუშაობს „ბენფიკაში“. გასულ წელს სერიოზული ოპერაცია გადაიტანა.

**1966 - ბობი ჩარლტონი** (მანჩესტერ იუნაიტედი). ინგლისი. მუშაობს მშობლიური კლუბის დირექტორთა საბჭოში. ხშირად მონაწილეობს საქველმოქმედო აქციებში.

**1967 - ფლორიან ალბერტი** (ფერენცვაროში). უნგრეთი. 67 წლის პენსიონერი ცხოვრობს ბუდაპეშტში.

**1968 - ჯორჯ ბესტი** (მანჩესტერ იუნაიტედი). ჩრდ. ირლანდია. 2002 წელს ზედმეტი ალკოჰოლისგან დაავადებული ღვიძლის გადანერგვის შემდეგაც კი განუზომლად ბევრს სვამდა. 2005 წელს 59 წლის ასაკში გარდაიცვალა.

**1969 - ჯანი რივერა** (მილანი). იტალია. დიდი ხანია პოლიტიკაშია. 65 წლისა ევროპარლამენტის წევრია.

**1970 - გერჰარდ მიულერი** (ბაიერნი). 63 წლისა მუშაობს „ბაიერნის“ ახალგაზრდული გუნდების მეორე მწვრთნელად. ივლისში მისი სახელი მშობლიური ნორდლინგენის სტადიონს უწოდეს.

**1971-73-74 - იოჰან კრუიფი** (აიაქსი). ჰოლანდია. 61 წლის ასაკში ფლობს სპორტული ტანსაცმლის მწარმოებელ ფირმა „კრუიფ კლასიკსს“.

**1972-76 - ფრანც ბეკენბაუერი** (ბაიერნი). 63 წლისა „ბაიერნის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა.

**1775 - ოლეგ ბლოხინი** (დინამო კიევი). სსრკ. 56 წლისა ბოლოს რუსული პრემიერლიგის „მოსკვას“ მთავარი მწვრთნელი გახლდათ. ამჟამად უმუშევარია.

**1977 - ალან სიმონსენი** (ბორუსია მ). დანია. 55 წლისა ცხოვრობს ბარსელონაში და მუშაობს ბავშვთა მწვრთნელად. 3 კვირის წინ დანიური ფეხბურთის დიდების დარბაზის წევრი გახდა.

**1978-79 - კევინ კიგანი** (ჰამბურგი). ინგლისი. 57 წლის ასაკში უმუშევარია. ბოლოს „ნიუკასლს“ წვრთნიდა. წელს ავიაკომპანია „ფლაიბ ინტერნეშენელმა“ ლონდონი-ნიუკასლის ავიარეისზე მომუშავე Bombardier Q400-ის ტიპის თვითმფრინავს მისი სახელი უწოდა.

**1980-81 - კარლ ჰაინც რუმენიგე** (ბაიერნი). გერმანია. 53 წლის „ბაიერნის“ ვიცე-პრეზიდენტია.

**1982 - პაოლო როსი** (იუვენტუსი). იტალია. 52 წლისა „სქაი იტალიის“ ეთერში საფეხბურთო ანალიტიკოსად მუშაობს.

**1983-84-85 - მიშელ პლატინი** (იუვენტუსი). მოკლედ და კონკრეტულად გეტყვით, 53 წლის ასაკში უეფას პრეზიდენტია.

**1986 - იგორ ბელანოვი** (დინამო კიევი). სსრკ. 54 წლის ასაკში დაკავებულია ბიზნესით. ცხოვრობს ოდესაში და ფლობს თავისივე სახელობის საფეხბურთო სკოლას.

**1987 - რუუდ გულიტი** (მილანი). ჰოლანდია. 46 წლისა „ლოს ანჯელეს გალაქსის“ მწვრთნელობიდან დაითხოვეს თუ თავად გადადგა, არავინ უწყის. „სქაი სპორტსის“ ეთერში ჩემპიონთა ლიგის მატჩები მიჰყავს.

**1988-89-92- მარკო ვან ბასტენი.** 44 წლისა „აიაქსის“ მთავარი მწვრთნელია. იქამდე ჰოლანდიის ეროვნულ გუნდს თავკაცობდა.

**1990 - ლოთარ მათეუსი** (ინტერი). გერმანია. 47 წლისა ნათანიის „მაკაბის“ მთავარი მწვრთნელია.

**1991 - ჟან პიერ პაპენი** (მარსელი). საფრანგეთი. 45 წლისა უმუშევარია. შარშან „ლანსში“ მუშაობდა და იმდენი ქნა, ქვედა ლიგაში დააქვეითა. ეძებს სამუშაოს.

**1993 - რობერტო ბაჯო** (იუვენტუსი). იტალია. 41წლისა არგენტინაში მივარდნილ ადგილას რანჩოზე ცხოვრობს. ხშირად ნადირობს. გახდა „ბოკა ხუნიორის“ ფანკლუბის წევრი. მეგობრობს U2-ს სოლისტ **ბონოსთან**, ვისთან ერთადაც საქველმოქმედო აქციებს აწყობს. არის სასურსათო და სოფლის მეურნეობის გაეროს ოფისის ელჩი.

**1994 - ხრისტო სტოიჩკოვი** (ბარსელონა). ბულგარეთი. 42 წლის ასაკში უმუშევარია. კარგა ხანია ისვენებს. გასულ წელს ჯერ ბულგარეთის ნაკრებიდან დაითხოვეს, შემდეგ ესპანური „სელტიდან“.

**1995 - ჟორჟ ვეა** (პსჟ/მილანი). ლიბერია. 42 წლისა ცხოვრობს ფლორიდაში. ლიბერიაში მხოლოდ მაშინ ჩადის, როცა პოლიტიკური ქულების დაგროვება უნდა. ივლისში განაცხადა, რომ 2010 წელს ისევ წამოაყენებს საკუთარ კანდიდატურას ქვეყნის პრეზიდენტის პოსტზე. 2005 წელს ის მხოლოდ არჩევნების მეორე ტურში დამარცხდა.

პირველად სწორედ 1995 წელს დაუშვეს ევროპაში მოთამაშე არაევროპელი ფეხბურთელების დასახელების უფლება, რის გამოც ჟურნალისტებმა მისი არჩევით აშკარად „პოლიტიკური“ გადაწყვეტილება მიიღეს. საყოველთაო აღიარებით ჯილდო **იურგენ კლინსმანს** ეკუთვნოდა.

**1996 - მათიას ზამერი** (ბორუსია დ). 41 წლისა გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპორტული დირექტორია. კურირებას უწევს ახალგაზრდულ ნაკრებებს.

**1997-2002 - რონალდო** (ბარსელონა/ინტერი). ბრაზილია. 32 წლისას უმძიმესი ტრავმები აწუხებს და ჯერაც არ აქვს გადაწყვეტილი, გააგრძელებს თუ არა ფეხბურთელის კარიერას.

**1998 - ზინედინ ზიდანი** (იუვენტუსი). საფრანგეთი. 36 წლისა საქვეყნოდ განთქმული კომპანია „დანონეს“ დირექტორთა საბჭოშია. მუშაობს ტელეკომენტატორად „კანალ პლუსის“ ეთერში. რეგულარულად აწყობს საქველმოქმედო თამაშებს.

**1999 - რივალდო** (ბარსელონა). 36 წლისა უზბეკურ „ბუდიონკორში“ თამაშობს. ვერ არის ბრწყინვალე კარიერის ღირსეული ფინალი, მაგრამ გულწრფელად თქვით, წელიწადში 7 მილიონ დოლარად ვინ არ ითამაშებდა?

**2000 - ლუიშ ფიგუ** (ბარსელონა/რეალი). პორტუგალია. 36 წლისა „ინტერში“ თამაშობს. უფრო სწორად **ჟოზე მოურინიო** არ ათამაშებს. სეზონის ბოლოს კარიერას ასრულებს.

**2001 - მაიკლ ოუენი** (ლივერპული) ინგლისი. ტრავმებისგან თავისუფალ დროს 28 წლისა „ნიუკასლში“ თამაშობს.

**2003 - პაველ ნედვედი** (იუვენტუსი) ჩეხეთი. 36 წლისა დღემდე „ბებერ ქალბატონში“ თამაშობს.

**2004 - ანდრეი შევჩენკო** (მილანი). უკრაინა. 32 წლისა თამაშობს „მილანში“.

**2005 - რონალდინიო** (ბარსელონა). ბრაზილია. 28 წლისა თამაშობს „მილანში“.

**2006 - ფაბიო კანავარო** (იუვენტუსი/რეალი). იტალია. 35 წლისა თამაშობს „რეალში“.

**2007 - კაკა** (მილანი). ბრაზილია. თამაშობს „მილანში“.

**2008 - კრისტიანო რონალდო** (მანჩესტერ იუნაიტედი)...

ამბები

## ვან ბასტენი: ჰუნტელაარს მოტივაცია სჭირდებოდა

**მარკო ვან ბასტენმა** თავისი შეგირდის კლაას იან ჰუნტელაარის „რეალში“ გადასვლის შემდეგ პირველი კომენტარი გააკეთა: „საერთოდ ტრანსფერის წინააღმდეგი არ ვყოფილვარ, მაგრამ მინდოდა, ჰუნტის სეზონის ბოლომდე მაინც ეთამაშა ჩვენთან. განა ვინმეს უკვირს, რომ მადრიდული გრანდი მისით დაინტერესდა? კლაას იანის ამსტერდამში კიდევ დიდი ხნით დარჩენა მისთვის სარგებლის მომტანი უკვე აღარ იქნებოდა. აუცილებლად დაიწყებოდა რეგრესი და ამით კლუბიც იზარალებდა. ის, როგორც ფეხბურთელი, ჩვენთან ჩამოყალიბდა, მაგრამ მოვიდა დრო, როცა კარიერაში ახალი სტიმული უნდა ეძებნა. ჰუნტელაარს „რეალში“ ნამდვილად შეუძლია ამბიციების დაკმაყოფილება. მას წარმატებებს ვუსურვებ“.

## ლუქსენი: სახლში მინდა

**პეტერ ლუქსენი** სანტანდერის „რასინგში“ დიდი ხანი აღარ გაჩერდება. ეს ინფორმაცია თავად ფეხბურთელმა დაადასტურა. მისი განცხადებით: „ჩემი მთავარი მიზანი ინგლისში თამაში იყო, თუმცა რეალური წინადადებები არ ჩანს, ამიტომ გადავწყვიტე, რომ შინ დავბრუნდე. რამდენიმე წელიწადია, რაც საზღვარგარეთ ვთამაშობ და საფრანგეთი ძალიან მომენატრა. დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი „მარსელსა“ ან პსჟ-ში. თუკი რომელიმე ეს კლუბი საინტერესო წინადადებით მომმართავს, სიამოვნებით დავთანხმდები. შარშანაც მქონდა პარიზში დაბრუნების შანსი, მაგრამ... არჩევანს დედაქალაქის სასარგებლოდ გავაკეთებ. საცხოვრებლად პარიზი ყველაფერს მირჩევნია. სერიოზული ამბიციები მაწუხებს და თუკი დავბრუნდები, მხოლოდ ასეთ დიდ კლუბებში“.

## დაბრუნება ისევ გადაიდო

„ლივერპულის“ 24 წლის თავდამსხმელის **ფერნანდო ტორესის** მინდორზე დაბრუნება ისევ გადაიდო. ექიმების ვარაუდით, ესპანელი ფეხბურთს ორ კვირაში უნდა დაბრუნებოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ დამატებით კიდევ ორი კვირა ვერ გაეკარება ბურთს. „თავდაპირველად მამშვიდებდნენ, რომ „ელ ნინიო“ მალე დაბრუნდებოდა. სამწუხაროა, მაგრამ მისი ტრავმა უფრო სერიოზული აღმოჩნდა. მოვლენების დაჩქარებას არ ვაპირებთ. მხოლოდ მაშინ მივცემთ სრული დატვირთვის საშუალებას, როცა ამისთვის 100 პროცენტით იქნება მზად“, - აცხადებს მერსისაიდელთა თავკაცი.

მიიჩნევა, რომ ტორესმა სერიოზული დაზიანება 26 ნოემბერს „მარსელთან“ ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში მიიღო. რეალურად ის ამ შეხვედრის შემდეგ აღარ თამაშობს, მაგრამ... სულ სხვა რამეს ამტკიცებს **რაფა ბენიტესი**. მისი თქმით, ფეხბურთელი ნაკრების შეკრებიდან სამჯერ ჩამოვიდა სერიოზული დაზიანებით. ის თითს **ვისენტე დელ ბოსკეს** შტაბისკენ იშვერს. „ბოლო სამი სანაკრებო შეკრებიდან სამჯერვე „ელ ნინიო“ დაზიანებებით ჩამოვიდა. აუცილებელია ამ ფაქტების გაანალიზება. რჩება შთაბეჭდილება, რომ ამ ადამიანებმა არ იციან, რა არის ფეხბურთელის ჯანმრთელობისთვის საუკეთესო გამოსავალი. აუცილებელია, ეს პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ აღმოიფხვრას“.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო

საქართველოს ჩემპიონატი

# ლონდონისთვის ათვლა თბილისიდან დაიწყება



ამირან პაპინაშვილი



შალვა ქარდავა



თენგიზ პაპოშვილი



ხვიჩა ხუციშვილი



მინდია ბოდაველი

ახალ სპორტულ სეზონს ძიუდოისტები თბილისის მსოფლიოს თასის გათამაშებით დაიწყებენ. ამ შეჯიბრებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან თეთრკიმონოიანები ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადის ლიცენზიისთვის ქულების მოგროვებას გაისად ჩვენი დედაქალაქის იანვრის ტურნირიდან დაიწყებენ. საგულისხმოა ისიც, რომ 2009 წლის აპრილში თბილისი ევროპის ჩემპიონატსაც უმასპინძლებს (არადა, ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს ძალიან უნდოდათ ეს შეჯიბრება სოჭში ჩაეტარებინათ, რათა მსოფლიოსთვის ეჩვენებინათ, რაოდენ უსაფრთხოა 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის დედაქალაქში მნიშვნელოვანი ტურნირების გამართვა). ეს საბოლოოდ ამას წინათ ათენში ევროპის ძიუდოს ფედერაციის კონგრესზე დამტკიცდა.

ამ ორი მნიშვნელოვანი ასპარეზობისთვის აქედანვე მონდომებით ემზადებიან ქართველი ძიუდოისტები. დასტურად ეროვნული ჩემპიონატიც გამოდგება. მართალია, ქვეყნის ნაკრების წევრები მწვრთნელებმა დაასვენეს, მაგრამ დილომის ახალ სასახლეში გამართულ ორთაბრძოლებს სიმწვავე და დაძაბულობა არ მოკლებია. 60 კილოგრამ წონითი კატეგორიის ფინალში ძველი მეტოქეები - **ამირან პაპინაშვილი და ბეთქილ შუკვანი** უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. საგულისხმოა, რომ შუკვანმა ნახევარფინალში სამბისტთა მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონს **უშანგი კუზანაშვილს** სძლია. მან ამ პაექრობაში ტრავმა მიიღო და ტატამზე გასვლა ვერ შეძლო. პაპინაშვილს უბრძოლველად ხვდა „ოქრო". ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა მძიმე წონაში, სადაც კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე **ზვიად ხანჯალიაშვილი** ავიდა. გადამწყვეტი ორთაბრძოლისას მას არ გამოუცხადდა **ალექსი დავითაშვილი**, რომელიც სამწლიანი „იძულებითი შესვენების" შემდეგ დაუბრუნდა სარბიელს და წლეულს სამბისტთა საქართველოს ჩემპიონატი მოიგო, ქვეყნის ფალავნობაც მერვედ მოიპოვა. ამჯერად კი ვერცხლის მედალს დასჯერდა.



დავით ლორიაშვილი



ზვიად ხანჯალიაშვილი

გულშემატკივრებს შევახსენებთ, რომ ზვიად ხანჯალიაშვილი **ლაშა გუჯეჯიანთან** ერთად საფრანგეთს გაემგზავრება და 20-21 დეკემბერს მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონატში იასპარეზებს.

66 კილოში შეუდარებელი იყო ახალგაზრდა ფალავანი **შალვა ქარდავა**, რომელმაც ნახევარფინალში **დავით ასუმბანს** აჯობა, ფინალში კი **გიორგი ფერსაშვილი** დაამარცხა იპონით.

73 კილოგრამ წონით კატეგორიაში ოქროს მედლისთვის **თენგიზ პაპოშვილი** და **დავით კუპრაშვილი** დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. შარშან მათი დუელი კუპრაშვილმა მოიგო, ამჯერად კი პაპოშვილმა დაჯაბნა.

81 კილოში ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა. დამატებითში **ხვიჩა ხუციშვილმა** გამოცდილ **გიორგი შინჯიკაშვილს** იუკო აართვა და ჩემპიონობაც მოიპოვა. საგულისხმოა, რომ პეკინის ოლიმპიადის მონაწილე **საბა გავაშელიშვილმა** მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავა - ნახევარფინალი მან ხუციშვილთან დათმო. ამ წონაში არ უჭიდავია **გიორგი ბაინდურაშვილს**, არადა, იგი ერთ-ერთი ფავორიტია. იმედია, თბილისის ტურნირს მომზადებული შეხვდება.

ქართველ ძიუდოისტებს ყველაზე მძაფრი კონკურენცია 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში აქვთ. აქ ერთბაშად სამი სახელოვანი სპორტსმენი გვყავს - პეკინის ოლიმპიადისა და მსოფლიოს ჩემპიონი **ირაკლი ცირეკიძე**, ათენის თამაშების გამარჯვებული **ზურაბ ზვიადაური** და ახალგაზრდებში მსოფლიოს და ევროპის პირველობების ოქროს მედალოსანი **ვარლამ ლიპარტელიანი**. ამ შეჯიბრებაზე მათ არ უასპარეზიათ. ფინალში სამბისტთა მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონმა **მინდია ბოდაველმა** მხოლოდ ერთი გაფრთხილებით აჯობა 81 კილოდან ამონაცვლებულ **გრიგოლ მამრიკიშვილს**.

100 კილოში ტოლი არ ჰყავდა **დავით ლორიაშვილს**, რომელმაც ამას წინათ 23 წლის ძიუდოისტთა ევროპის პირველობაზე მესამე ადგილი დაიკავა. ეროვნული ჩემპიონატის ფინალში კი **დიმიტრი ტურაშვილს** სძლია.

- დაძაბული ჩემპიონატი იყო, - გვითხრა შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **შოთა ხაბარელმა**. - შარშანდელთან შედარებით მოჭიდავეებმა დახვეწილი ტექნიკა და ტაქტიკა გვიჩვენეს, ფიზიკურადაც უკეთ გამოიყურებოდნენ. უშელავათო პაექრობებზე ისიც მიუთითებს, რომ ბევრ შეხვედრაში დამატებითი დრო გახდა საჭირო.

ახლა მთავარია, თბილისის მსოფლიოს თასისთვის მოვემზადოთ. როგორც ტურნირის მასპინძლები, თითოეულ წონაში ოთხ-ოთხი მოჭიდავით წარვდგებით. ასპარეზობის შედეგებზე ბევრად არის დამოკიდებული ეროვნული ნაკრებისთვის კანდიდატების შერჩევა. ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა გვყავს. ძალიან მომეწონა ქარდავას, ფერსაშვილის, პაპოშვილის და სხვათა ჭიდაობა. 5 დეკემბრიდან ბორჯომში ორკვირიან საწვრთნელ შეკრებას ვიწყებთ, სადაც 60-მდე სპორტსმენს მივიწვევთ. და ბევრი რამ გაირკვევა.

**ვაჟა დანელია**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

შეხვედრა მინისტრთან

# სპორტი თუ არ გვექნება, ნარკომანია ნაგვლეჯავს

## მინისტრმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ სპორტის აკადემია აღდგება

ქართველმა ძიუდოისტებმა შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს - დიღომში თბილისის მერიის ინიციატივითა და დაფინანსებით მწყობრში ჩადგა შესანიშნავი საჭიდაო კომპლექსი ერთი შეჯიბრებისთვის განკუთვნილი და სამი სავარჯიშო დარბაზით.

გუშინ ძიუდოისტთა სასახლეს ესტუმრა კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი **გრიგოლ ვაშაძე**. ნანახით კმაყოფილმა, ფედერაციის ხელმძღვანელებთან საუბრისას იხუმრა კიდეც - რამე რომ იყოს, თქვენთან სამუშაოდ ხომ არ გადმომიყვანდითო?!

- შესანიშნავი შენობაა, ნამდვილი სპორტის სასახლე, - ბრძანა მინისტრმა. - დღეს ბედნიერად ვიგრძენი თავი. მანამდე ვერ მოვისვენებ, სანამ პრიორიტეტულ სპორტის სახეობებს - ჭიდაობას, კრივს, ძალოსნობას, რაგბის, კიდევ რამდენიმე ფედერაციას პირველ ეტაპზე ამგვარ პირობებს არ შევუქმნით. რის შემდეგ, დარწმუნებული ვარ, ჩვენი ათლეტების მიღწევები ერთი-ორად გაიზრდება. თუმცა, მარტო შედეგებზე არ უნდა ვიზრუნოთ. მთავარია, მოზარდი თაობა აქტიურად ჩავაბათ სპორტში, თორემ საქართველოს ნაკრომანია წალეკავს. ყველაფერი უნდა ვილონოთ, რათა მომავალი თაობა სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი აღვზარდოთ...



სტუმარ-მასპინძელთა საუბრისას რა[illegible] პრობლემაც წამოიჭრა. კერძოდ, იგ[illegible] მეეხო მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას. ბატონმა გრიგოლ ვაშაძემ ფედერაციის მესვეურებსა და ჟურნალისტებს აღუთქვა, რომ ყველაფერს გააკეთებს სპორტის აკადემიის აღსადგენად. შესაბამის ორგანოებთან ამ საკითხზე უკვე მიმდინარეობს ინტენსიური მოლაპარაკება.

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **შოთა ხაბარელმა** მინისტრს სთხოვა, დაეხმაროს ფედერაციას ძიუდოს ვაკის დარბაზის შენარჩუნებაში, სადაც ამჟამად 300-მდე მოზარდი ვარჯიშობს. ეკონომიკის სამინისტრო შენობას გაყიდვას უპირებს. ბატონმა გრიგოლმა მასპინძლებს ამ საქმეშიც აღუთქვა თანადგომა.

**დილარ ხაბულიანი**, ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი: ქალაქის მერიამ ისეთი უნიკალური პროექტი განახორციელა, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი იშვიათად მოეძებნება. ამ სპორტულ კომპლექსს ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან ვაკის ძიუდოს დარბაზში ვერ ვეტეოდით, ეროვნულ ნაკრებს ხელი ეშლებოდა მზადებაში. აქ კი საერთაშორისო საწვრთნელი შეკრებების გამართვაც შეიძლება სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად, რადგან საშეჯიბრო დარბაზში ერთდროულად 10 ტატამი დაიგება.

**დავით ნამგალაური**, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე: ძიუდოს და, საერთოდ, ქართული სპორტის გულშემატკივრებს, ათლეტებს, მწვრთნელებს მინდა მივულოცო ეს შესანიშნავი შენაძენი. აქ ვარჯიშისა და აქტიური დასვენებისთვის ყოველგვარი პირობა იქნება, რადგან დარბაზებთან ერთად ამ სასახლეს აქვს სააქტო და ფიტნესდარბაზები, საუნა, საშხაპე, დასასვენებელი ოთახი. პერსპექტივაში გათვალისწინებულია სასტუმრო კომპლექსის კეთილმოწყობაც. ახლა მთავარია, ამგვარი ბაზა ვამრავლოთ.

**ზაზა დოლიძე**, თბილისის მერიის სპორტის სამსახურის უფროსი: ქალაქის ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ მოზარდ თაობას თავისუფალი დროის გონივრულად გამოიყენებისთვის ყოველგვარი პირობა შეუქმნას. უმთავრესი აქცენტი სპორტული ბაზების კეთილმოწყობაზეა გადატანილი, თბილისის სხვადასხვა რაიონში გაისად 11 სპორტის სასახლეს გავხსნით, რომლებსაც ძიუდოს, ჭიდაობისა და სპორტის სათამაშო სახეობების დარბაზები ექნება.

**ვაჟა დანელია**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

რამაზ გოგობერიშვილის გაცილება

# 13

გუშინ რუსთავის „ქიმიკოსთა“ დარბაზში ქართული კალათბურთის ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა - კალათბურთელს გაცილება მოუწყვეს. მანამდე სპორტული კარიერა არაერთ წარმატებულ ათლეტს დაუსრულებია, მაგრამ ამგვარი პატივი, **რამაზ გოგობერიშვილისა** და **ნიკოლოზ დერიუგინის** გარდა, არავის ღირსებია. დერიუგინს გაცილების მატჩი კარიერის დასრულებიდან რამდენიმე წლის შემდეგ ჰქონდა...

რუსთავის დარბაზში რომ შევედი, გამიკვირდა და გამიხარდა კიდეც - ტრიბუნები ისევე გადაჭედილიყო, როგორც საქართველოს ჩემპიონატის ფინალური სერიის გადამწყვეტი მატჩებისას. აშკარაა, რომ რუსთაველებს კალათბურთი ძველებურად იზიდავს, უყვართ გოგობერიშვილი, კალათბურთელი, ვინც წლების განმავლობაში ქვემოქართლელებთან ერთად საქართველოს ჩემპიონობისთვის იბრძოდა, თუმცა პირველი „ოქრო“ თბილისურ „სტუ-ჯეოსელთან“ ერთად მოიპოვა.

გუშინ გოგობერიშვილის ადგილას ნებისმიერი ადამიანი ბედნიერი იქნებოდა. კარგად თქვა მისმა მეგობარმა **მიხეილ ბერუაშვილმა:**

„როცა კალათბურთს ბავშვობიდან თამაშობ და კარიერის დასრულების დრო დგება, ძალიან განიცდი. ასეთ სიტუაციას გაცილებით აიოლებს მეგობრების გვერდში დგომა“.

გოგობერიშვილი კი გუშინ არამარტო თანაგუნდელების, არამედ მთელი დარბაზის სიყვარულს გრძნობდა. პატარა გულშემატკივრები რამაზს ავტოგრაფებს სთხოვდნენ, ვისაც ფურცელი არ ჰქონდა, ავტოგრაფს ხელზე აწერდა...

...არადა, გაცილების მატჩის ორგანიზებისთვის ბევრი რამ საჭირო სულაც არ არის. ყველა კალათბურთელი ერთმანეთის ახლობელია, რომელი იტყვის ასეთ ღონისძიებაში მონაწილეობაზე უარს? იმედია გოგობერიშვილის გაცილება ერთგვარი შემობრუნების წერტილად იქცევა...

გრძნობებზე ლაპარაკი გაგვიგრძელდა, დროა, დავუბრუნდეთ „ქიმიკოსების“ დარბაზს, სადაც შესრულდა სპეციალურად ამ საღამოსთვის დაწერილი სიმღერა, ასევე, ქართული ცეკვები და ეკრანზე ვიხილეთ გოგობერიშვილის თამაშებიდან ამორჩეული საუკეთესო ეპიზოდები.

მისი საყვარელი ილეთი კი ცოცხლადაც ვნახეთ: გოგობერიშვილმა ბურთი ზურგსუკან გაიტანა, ჯერ თვითონ გაიძვრინა ფეხებქვეშ, შემდეგ - მეტოქეს, საბოლოოდ კი ბურთი თანაგუნდელს მიუვიდა და ეფექტური პასიც ჩაეწერა.

ძველი დრო გაიხსენა **კახა შენგელიამაც** და ბურთისთვის ბრძოლაში მოედანზე აღმოჩნდა...

**ამროსი ორმოცაძე** იმდენად კარგ ფორმაში იყო, მწვრთნელმა **ნუგზარ ჭეიშვილმა** ის მეორე დღეს თსუ-ს ვარჯიშზე დაიბარა... რა თქმა უნდა, ხუმრობით.

შეხვედრის მიწურულს რამაზმა მოედანი საზეიმო ვითარებაში დატოვა და თამაშში მისი ვაჟი ჩაერთო. პატარა გოგობერიშვილმა მამასავით ენერგიულად შეუტია მეტოქის ფარს. მას პასებით **ზვიად ბაბიაშვილი** ამარაგებდა. ამ ეპიზოდმა რუსთაველთა მწვრთნელ **ოთარ ხმელიძეს** ღიმილი მოჰგვარა, რამაზს მიუბრუნდა და უთხრა: ზვიადს რაც შენთვის პასი არ მოუცია, ახლა ინაზღაურებსო.

მატჩის პირველი ნახევარი საქართველოს ნაკრების გამარჯვებით დასრულდა, მეორეში კი მასპინძლებმა იყოჩაღეს და საბოლოოდ, გოგობერიშვილის „რუსთავმა“ 120:96 მოიგო. მატჩის სრული სტატისტიკა კომპიუტერზე არ დაფიქსირებულა. დავითვალეთ რუსთაველთა მე-13 ნომრების, მამა-შვილი გოგობერიშვილების ერთობლივი მონაგარი, რომელმაც 13 ქულა შეადგინა.

გუშინდელი დღის გმირმა უამრავი საჩუქარი მიიღო. ის დააჯილდოვეს ქვემო ქართლის გუბერნატორმა **დავით კირკიტაძემ,** რუსთავის მერმა **მამუკა ჩიქოვანმა,** რუსთავური რაგბის ხელმძღვანელმა **გია ფერაძემ,** „ენერჯი-ინვესტის“ პრეზიდენტმა **ნუგზარ სარჯველაძემ...**

კალათბურთის ფედერაციის თავკაცმა **ბესიკ ლიპარტელიანმა** გოგობერიშვილს საქართველოს ნაკრების 13-ნომრიანი მაისურა გადასცა...

ვაჟა სიმონიშვილი





ავტორის ფოტოები









ქართველი NBA-ში

## ქორებმა გრიზლი დაკორტნეს

**ზაზა ფაჩულიამ** ერთმატჩიანი უქმობის შემდეგ მოედანზე დაბრუნება 6-6 ქულა-მოხსნით აღნიშნა. **ჯოშ სმიტმა** ორკვირიანი დასვენების შემდეგ გამოჩენა – 14 ქულით, 6 მოხსნითა და 5 პასით, ხოლო “ატლანტამ” ამ ორი ტანმაღალის დაბრუნება - მოგებით - შინ “მემფის გრიზლისთან” 105:95.

“ქორების” წარმატებები მწვრთნელის, **მაიკ ვუდსონის** სახეცვლილებას უნდა დავაბრალოთ: თუ წინა წლებში თამაშს ერთ კალათბურთელზე აგებდა (**ჯო ჯონსონზე**) წლეულს ყველას მეტ-ნაკლებად თანაბრად ათამაშებს. ჯოშ სმიტის გამოჯანმრთელების შემდეგ ველოდით ზაზასთვის სათამაშო დროის შემცირებას, თუმცა მოხდა საპირისპირო – ქართველმა ცენტრმა 26 წუთი ითამაშა. იგი თანაგუნდელებს თამაშის ბედის მესამე პერიოდში გადაწყვეტაში დაეხმარა – ზაზას პასის შემდეგ **ჰორფორდმა** ეფექტურად ჩატენა და 20-ქულიანი სხვაობა დააფიქსირა (79:59).

17 ტურის შემდეგ “ატლანტას” 11 მოგება აქვს სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონში მეორე ადგილზეა და მხოლოდ “ორლანდო მეჯიქს” ჩამორჩება. მომდევნო შეხვედრას “ჰოქსი” 5 დეკემბერს გამართავს. მისი მეტოქე “ნიუ იორკი” იქნება.

**ფაჩულიას მონაგარი**

26 წუთი: 6 ქულა, 6 მოხსნა, 2 პასი, 1 შეცდომა, 4 ფოლი

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 05:47 | ზაზამ სმიტი შეცვალა |
| 04:49 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 03:30 | ფოლი: 1 |
| 01:13 | ორქულიანი: 2ქ (21:22) |
| 00:05 | ზაზა ჯონსმა შეცვალა |
| **II პერიოდი** | |
| 09:55 | ორქულიანი: 4ქ (30:26) |
| 08:57 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 |
| 06:46 | მოხსნა: შეტ-0, დაც-3 |
| 06:12 | ზაზა ჰორფორდმა შეცვალა |
| 03:57 | ზაზამ სმიტი შეცვალა |
| 00:29 | მოხსნა: შეტ-0, დაც-4 |
| **III პერიოდი** | |
| 06:55 | ზაზამ სმიტი შეცვალა |
| 06:23 | პასი: 1 (ჯონსონი 2ქ, 71:48) |
| 03:48 | ფოლი: 2 |
| 03:48 | შეცდომა: 1 |
| 02:55 | პასი: 2 (ჰორფორდი, 2ქ, 79:59) |
| 02:18 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 02:15 | ფოლი: 3 |
| 02:15 | ზაზა ჯონსმა შეცვალა |
| **IV პერიოდი** | |
| 06:02 | ზაზამ სმიტი შეცვალა |
| 04:38 | ფოლი: 4 |
| 01:34 | მოხსნა: შეტ-1, დაც-4 |
| 01:16 | ორქულიანი: 6ქ (101:93) |
| 00:25 | მოხსნა: შეტ-1, დაც-5 |

ვაჟა სიმონიშვილი

ძიუდო

## რა გვაკლია გრანპრიმდე?

მომავალი წლიდან ძიუდოში ბევრ ცვლილებას უნდა ველოდეთ, ახალი წესები აუცილებლად იმოქმედებს სპორტსმენთა შედეგებზე, ბევრი იოლად გაუშინაურდება ცვლილებებს, ზოგს კი, ალბათ, გაუჭირდება. კალენდარიც საკმაოდ სახეცვლილია. უპირველესად აღსანიშნავია, რომ მოხდა კიდევ უფრო ზუსტი დეფინაცია ტურნირებს შორის. თუ ადრე განსაზღვრება მსოფლიოს თასი და მსოფლიოს სუპერთასი საერთაშორისო ტურნირებს ორ სხვადასხვა დონედ ჰყოფდა, ახლა მსოფლიოს სუპერთასისს ნაცვლად იქნება – გრანპრი და დიდი სლემი. ყველაფერს კი ემატება ახალი ტურნირი – მასტერსი.

მოგეხსენებათ, ახალ სეზონს 24-25 იანვარს თბილისის მსოფლიოს თასი გახსნის. მსოფლიოს თასზე ქვეყანას მაქსიმუმ 4 ძიუდოისტის გამოყვანა შეეძლება წონით კატეგორიაში (აქამდე 2 იყო), შეჯიბრების სისტემა ძველებური იქნება, ოღონდ რეპეშაჟი შემცირდება, იქ მხოლოდ მეოთხედფინალში დამარცხებული სპორტსმენები გავლენ. კენჭისყრისას წონაში საუკეთესო 8 ძიუდოისტს განთესავენ, მსოფლიოს რეიტინგის შესაბამისად. ვაჟთა შორის მსოფლიოს თასზე პირველ დღეს სამ (60, 66 და 73 კგ.) წონაში უნდა ჩატარდეს ტურნირი, მეორე დღეს კი – 81, 90, 100 და მძიმე წონით კატეგორიებში.

დიდ სლემზე და გრანპრიზე ერთ ქვეყანას წონაში მხოლოდ 2 ძიუდოისტის გამოყვანა შეეძლება (მასპინძლებს – 4-ის). შეჯიბრება კი ოლიმპიური სისტემით ჩაიმართება ყოველგვარი რეპეშაჟის გარეშე. ორი დამარცხებული ნახევარფინალისტი ავტომატურად მიიღებს ბრინჯაოს მედალს. რეიტინგის მიხედვით საუკეთესო 16 სპორტსმენს განთესავენ. გრანპრის საპრიზო ფონდი უნდა იყოს მინიმუმ 100 ათასი $, ხოლო დიდი სლემის – 150 000 $. ალბათ, მკითხველისთვის უკვე ცხადია, თუ რა აკლია თბილისის ტურნირს გრანპრის სტატუსის მიღებამდე.

მასტერსი წელიწადში ერთხელ გაიმართება, იქ მონაწილეობისთვის ძიუდოისტი უნდა იყოს რეიტინგით საუკეთესო 16-ეულში. მხოლოდ მასპინძელ ქვეყანას შეუძლია ერთი ძიუდოისტის გამოყვანა, რომლის რეიტინგი არ შეესაბამება ნორმას. მასტერსის საპრიზო ფონდი მინიმუმ 160 ათასი $ უნდა იყოს. მომავალი წლის მასტერსი დეკემბერში, სეულში (კორეა) გაიმართება.

შეიცვალა მსოფლიოს რეიტინგში ქულათა დათვლის სისტემაც. ამ კლასიფიკაციას ძიუდოისტთა განთესვის გარდა ტრადიციულად ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ფუნქციაც შეუნარჩუნდება. მსოფლიოს თასის მოგება 100 ქულად ფასობს (მეორე ადგილი – 60, მესამე – 40), გრანპრის მოგება 200 ქულის ტოლფასია, დიდი სლემისა – 300, მასტერსის – 400, მსოფლიოს ჩემპიონობის – 500, კონტინენტური პირველობის – 180. ტურნირიდან 12 თვის განმავლობაში ითვლება მოპოვებული ქულების 100 პროცენტი, მეორე წელს – 75%, შემდეგ კი – 50%. და ყველაზე მთავარი ცვლილება – 2009 წლის 1 იანვრიდან უკლებლივ ყველა 0 ქულით იწყებს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# ბოიკოტი პირველ ლიგას...

## აურზაური და მერე როგორი...

გუშინ თბილისის ჭადრაკის სასახლეში საქართველოს ქალთა ეროვნული ჩემპიონატის პირველმა ლიგამ აიღო სტარტი. ტურნირში, ტრადიციულად, საქართველოს თითქმის ყველა პერსპექტიული და ძლიერი მოჭადრაკე თამაშობს და ასე უნდა ყოფილიყო ამჯერადაც... ერთი თვის წინ პირველი ლიგის შესარჩევი ტურნირი ჩატარდა, საიდანაც ექვსმა მონაწილემ მიიღო პირველ ლიგაში თამაშის უფლება. ისინი დაემატებოდნენ რეიტინგით უმეტეს მოჭადრაკეებს და უმაღლესი ლიგის საგზურებს გაითამაშებდნენ. თითქოს საფრთხე არ ემუქრებოდა აღნიშნული ფორუმის დაწყებას, მაგრამ აღმოჩნდა, რომ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის მიერ დადგენილ წესს და კვოტებს, ანუ პირველი ლიგის ჩატარების ფორმულას მონაწილეთა დიდი ნაწილი არ ეთანხმებოდა. უკმაყოფილოებმა სამიოდე დღის წინ ფედერაციის პრეზიდენტ **გია გიორგაძეს** გააცნეს საკუთარი პოზიცია და კითხვებზე პასუხებიც მიიღეს, მაგრამ მოჭადრაკეები პასუხმა არ დააკმაყოფილა და კვლავაც მოითხოვდნენ საკუთარი შეხედულებების გაზიარებას და დებულების შეცვლას. დებულების შეცვლა ასე ხელაღებით მიუღებელია, - ტურნირის ჩატარებისთვის ამ აუცილებელ დოკუმენტს ფედერაციის გამგეობა ადგენს - ანუ პრეზიდენტს ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღება არ შეუძლია. პირველი ლიგის დებულება თერთმეტ ნოემბერს იქნა შემუშავებული და მისი გაცნობის საშუალება ყველა დაინტერესებულ პირს ჰქონდა; თუმცა საქმეც ის არის, რომ მოდავე მხარე აღნიშნავს, - დებულება აქამდე არასრულყოფილი იყო და საბოლოო სახე მხოლოდ დღეს, ტურნირის დაწყების წინ მიიღოო. დიდოსტატი თამარ ნერეთელი: „დებულება შეცვლილია და დღეს ტურნირში ისინი თამაშობენ, ვისაც ამის უფლება არ აქვთ. ჩვენ, დიდოსტატთა და საერთაშორისო ოსტატთა საკმაოდ მოზრდილმა ჯგუფმა არ მოვიწონეთ არსებული წესი და მიუხედავად იმისა, რომ ვეცადეთ ბატონ გია გიორგაძესთან მოლაპარაკებას და ვითარების განმუხტვას, არაფერი გამოგვივიდა, - გიორგაძემ უხეშად გვიპასუხა, მაგიდაზე მუშტები აბრახუნა და გაგვიცხადა: თუ არ მოგწონთ დებულება, ნუ ითამაშებთ, აქ წესებს მე ვადგენ და როგორც მინდა, ისე იქნება ყველაფერიო". საერთაშორისო ოსტატი ვაჟთა შორის **მაკა ფურცელაძე**: „აქამდე არასდროს ყოფილა, რომ პირველი ლიგიდან უმაღლესის საგზურით მხოლოდ ოთხი მოჭადრაკე დაჯილდოებულიყო. ფედერაციამ უსამართლო გადაწყვეტილება მიიღო, როცა უმაღლესში ადგილი დაუბევა იმ ხუთ მოჭადრაკეს, ვისაც პირველი ოქტომბრისთვის საუკეთესო რეიტინგი ექნებოდა; მათ ემატება საქართველოს შარშანდელი ჩემპიონატის სამი პრიზიორი, პლუს ოლიმპიური ნაკრების წევრები, საქართველოს გასული წლის ჩემპიონი ოცწლამდე ასაკში და ნაზი პაიკიძე, რომელიც თექვსმეტწლამდელებში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი გახდა, თუმცა ორი წელია მოსკოვში ცხოვრობს და მისი ჩამოსვლა ჩემპიონატის დროს დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. პაიკიძის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ ადრე ჩვენც ვაღწევდით მსგავს წარმატებებს, თუმცა ასეთი შეღავათებით არ გვისარგებლია; მით უმეტეს გაუგებარია ოცწლამდელთა შორის საქართველოს ჩემპიონატის გამარჯვებულისთვის კვოტის გამოყოფა. საქმე ის არის, რომ ოცწლამდელთა ჩემპიონატის დროს დებულებაში მითითებული არ იყო, რომ გამარჯვებული უმაღლეს ლიგაში დაიშვებოდა. არის სხვა დარღვევებიც"...

დიდოსტატი **ბელა ხოტენაშვილი**: "ჩვენი არგუმენტების მიუღებლობის გამო მონაწილეობაზე უარი განვაცხადეთ. სტარტი დაახლოებით 32 მონაწილეს უნდა აეღო, მაგრამ პროტესტის შემდეგ მხოლოდ შვიდი გოგონა დარჩა. ტურნირი აშკარად ჩაშლის საშიშროების წინაშე დადგა და ასე რომ არ მომხდარიყო, სასწრაფოდ დაუძახეს სხვა მოჭადრაკეებს - მათ, ვისაც არ ჰქონდათ თამაშის უფლება; სოფიკო ნიკოლაძემ, რომელიც ფედერაციის პრესცენტრის ხელმძღვანელია და პირველი ლიგის დირექტორი უნდა ყოფილიყო, დატოვა თანამდებობა და ტურნირში ჩაება. ძლივს შეაკოწიწეს 12-მდე მონაწილე და მწვანე შუქი აუნთეს ტურნირს. კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ რამდენიმე მონაწილეს არ აქვს აღნიშნულ ჩემპიონატში თამაშის უფლება".

**ამდენი პრეტენზია თუ გქონდათ, რატომ არ მიიღეთ შესაბამისი ზომები აქამდე? ხომ შეგეძლოთ ტურნირის დაწყებამდე მიგემართათ პროტესტისთვის?**

მაკა ფურცელაძე: გიორგაძე ცრუობს, როცა ამბობს, რომ დებულება თერთმეტ ნოემბერს იყო შედგენილი და გამოქვეყნებული. გუშინწინ ჩვენთან საუბარში მან აღნიშნა, რომ დებულების საბოლოო ვარიანტს ახლა ვერ გვაჩვენებდა, - მხოლოდ ჩემპიონატის დაწყების დღეს გახდება ცნობილიო. სტარტზე კი რაც მივიღეთ, გამოჩნდა: აქამდე ფედერაციის საიტზეც და ჭადრაკის სასახლის განცხადებების დაფაზეც იმ დებულების ვარიანტი იყო გამოქვეყნებული, რომელიც სოფიკო ნიკოლაძის ტურნირის დირექტორობას გვამცნობდა, ახლა კი ეს გვარი ამოღებულია ტექსტიდან. ამას დებულების თვითნებურად შეცვლა ჰქვია და უკანონოა. ამის შემდეგაც ვეცადეთ რაღაც დათმობაზე წასულიყვნენ, მაგრამ თითქმის არ მოგვისმინა გიორგაძემ და უხეშად გამოგვისტუმრა კაბინეტიდან... ჩვენ არ გავჩერდებით და საკუთარ უფლებებს ბოლომდე დავიცავთ.

ნამდვილად რთული ვითარება შეიქმნა. მკითხველთან მართლები არ ვიქნებოდით, ოფიციოზს რომ არ დავკითხოდით. გია გიორგაძემ ყველა კითხვაზე გაგვცა პასუხი. სხვა საქმეა, დააკმაყოფილებს თუ არა ახსნა-განმარტება მოდავე მხარეს.

**- ბატონო გია, მოჭადრაკეთა ერთი ჯგუფი დებულების შეცვლასა და კვოტების არასწორ დადგენა-განაწილებაში გადანაშაულებთ. ეს გახდა კიდეც მათი მხრიდან ბოიკოტის მიზეზი...**

- სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ დებულება არ შეცვლილა და საიტზეც ის ვარიანტი დევს, რომელიც თერთმეტ ნოემბერს მივიღეთ. დებულების ამ ვარიანტზე ფედერაციის გამგეობა მუშაობდა და ასეთი სახით მივიღეთ. ამიტომ ყველა ვალდებულია, რომ გადაწყვეტილებას დაემორჩილოს. ფედერაციის ხელმძღვანელობა და გამგეობა ცდილობდა, ოპტიმალური გადაწყვეტილება მიეღო და მიმაჩნია, რომ ეს შევძელით. მოდავეთა პროტესტი იმის თაობაზე, რომ საქართველოს ოცწლამდელთა ჩემპიონატის გამარჯვებული არ დავუშვათ უმაღლეს ლიგაში, ჩვენთვის გაუგებარია: არსებობს ანალოგია - 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატის გამარჯვებულს ქალთა ჩემპიონატის ვიზას აძლევენ. ჩვენც ამ პრინციპით ვიხელმძღვანელეთ. დანარჩენ კვოტებს რაც შეეხება, მოგახსენებთ, რომ რეიტინგით პირველ ხუთ მოჭადრაკეს მივაკუთვნეთ თამაშის უფლება და თუ მეტყვით, რომ ეს არასწორია, ძალიან გამიკვირდება. საქმე ის გახლავთ, რომ ამ ხუთეულში შედიან ოლიმპიური გუნდის წევრები. დამეთანხმებით, რომ მათი იგნორირება არ შეიძლება. მათ დაემატა საქართველოს შარშანდელი ჩემპიონატის პირველი სამი პრიზიორი; მირანდა მიქაძე, როგორც ოცწლამდელთა გამარჯვებული და ნაზი პაიკიძე. ამ ათეულს შეუერთდება პირველი ლიგიდან აღზევებული ოთხი მოჭადრაკე და ფინალური ეტაპი თოთხმეტი მონაწილით, წრიული სისტემით ცამეტ ტურად ჩატარდებოდა. ასეთი გადაწყვეტილება ჰქონდა მიღებული გამგეობას. აქ ცუდი, ვგონებ, არაფერია.

**- ცხადია, პროტესტი არსებობს და სწორედ რომ ოთხი ადგილი ეცოტავებათ გოგონებს...**

- გასაგებია, რომ ძლიერი მოჭადრაკეები არიან და რამდენიმე, შესაძლოა, ვერ მოხვდეს ფინალში, მაგრამ წლების გამოცდილებამ გვანახვა, რომ შესარჩევიდან ყოველთვის უფრო მეტი მოჭადრაკე თამაშობს გადამწყვეტ ეტაპზე, ვიდრე ეს თავიდან არის განსაზღვრული; მიზეზი, ამა თუ იმ მოჭადრაკის უარია ხოლმე. როგორც წესი, მაია ჩიბურდანიძე საქართველოს ჩემპიონატში არ თამაშობს და არა მგონია, ამჯერად შეიცვალოს პოზიცია. დიდი შანსია, რომ საუკეთესო რეიტინგის მფლობელმა ნანა ძაგნიძემაც უარი თქვას; ნამდვილად ვერ ითამაშებს ლელა ჯავახიშვილი, რომელიც იმ დროისთვის, როცა საქართველოს ჩემპიონატი უნდა გაიმართოს, ფეხმძიმობის მეცხრე თვეში, ანაც უკვე დედა იქნება. რეიტინგით თამაში ეკუთვნის ანა მათნაძესაც, მაგრამ ის ბარსელონაში ცხოვრობს კარგა ხანია და მისი მონაწილეობაც თითქმის გამორიცხულია; ვერც ნაზი პაიკიძის მოსკოვიდან ჩამოსვლაზე დავდებთ თავს. ასე რომ, საკმარისად ბევრი ადგილი შეიძლება გამოთავისუფლდეს და ვინც შესარჩევში მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე ადგილებზე გავა, უპრობლემოდ მოხვდება ფინალურ სტადიაზე. აქ დაზუსტებაა საჭირო: უარის შემთხვევაში, პირველ რიგში საგზურს მიიღებს შესარჩევში მეხუთე ადგილზე გასული მოჭადრაკე, კიდევ ერთი უარის შემთხვევაში რეიტინგით მომდევნო და ასე - მონაცვლეობით. სამწუხაროდ, იმის ჩაწერა დებულებაში, რომ ჩიბურდანიძე ან ძაგნიძე არ ითამაშებენ, არ შეიძლება, - ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ყველა შესაძლო მოქმედება და ისეთი წესი დავადგინოთ, რომ ტურნირის პრესტიჟი არ დაკნინდეს და სამართლიანობაც შევინარჩუნოთ. ვფიქრობ, სამართლიანი ფორმულა შევიმუშავეთ და ეს პროტესტს არ უნდა იწვევდეს.

**- სხვა პრეტენზიაც არსებობს: უარის შემდეგ ისეთ მოჭადრაკეებს უხმეთ, ვისაც თამაშის უფლება არ ჰქონდა...**

- ტურნირი ჩაშლის პირას დადგა და ამიტომ შევეხმიანეთ ზოგიერთ მოჭადრაკეს და ამაში არაფერია უკანონო. ჩემი აზრით, მათი ბოიკოტი სხვა რამეს ემსახურება, რასაც ჩვენ ვერ დავუშვებთ, - კანონს ყველამ პატივი უნდა სცეს და თავგასულობის პრეცედენტი უნდა აღმოიფხვრას ქართულ ჭადრაკში. თუ არ მოეწონათ წესები, მათი უფლებაა, არ ითამაშონ, რაც გააკეთეს კიდეც. მართალია, ამით დაკნინდა ტურნირი, მაგრამ გეტყვით, რომ მაინც ბევრი პერსპექტიული გოგონა თამაშობს და ვინც უნდა გავიდეს ფინალში, უმაღლეს ლიგას არ დაასუსტებს.

**- პერსპექტიულ სახეებს კი ვხედავ, მაგრამ ვინც ტურნირს მიღმა დარჩა, მათი ძალისაც კარგად მოეხსენება საჭადრაკო სამყაროს და ეგებ, უკეთესი ყოფილიყო, რომ ფედერაციას ასეთი პრინციპულობა არ გამოეჩინა, ორიოდ დღეც მოეცადა და გარკვეულ კონსენსუსამდე მისულიყავით?!**

- როგორც გითხარით, კონსულტაციები და მოლაპარაკებები გვქონდა, მაგრამ ჩვენი არგუმენტები მათ არ გაიზიარეს და კონფრონტაციის გზას დაადგნენ. ისიც სიცრუეა, თითქოს მაგიდაზე მუშტები ვუბრახუნე მათ და უხეშად ველაპარაკე. ჩემი წყობილებიდან გამოყვანა არც ისე ადვილია და ვეცადე, მშვიდად და საქმიანად მესაუბრა, მაგრამ აგრესია და გაუგებარი პრეტენზიები სწორედ მათგან მოვისმინე... ამიტომაც გამოვიჩინეთ პრინციპულობა და გავაკეთეთ ის, რაც კანონით უნდა გაგვეკეთებინა. მართლაც არ ვაპირებთ სხვების გადაჭარბებული პრეტენზიების უთავბოლო მოსმენას და ამით წყლის ამღვრევას, - კანონი ყველასთვის უნდა კანონობდეს!

**ზვიად შათირიშვილი**

ჩოგბურთი



ნიკოლოზ ბასილაშვილი

# ზედიზედ მეხუთე გამარჯვება

16 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილი** წარმატებით ასპარეზობს „ედი ჰერის ჩემპიონატში", რომელიც ფლორიდის ქალაქ ბრედეტონში იმართება. აღნიშნული ტურნირი 18-წლამდელ ჩოგბურთელთა ასპარეზზე პირველი კატეგორიისაა და მნიშვნელობით მხოლოდ ახალგაზრდულ „დიდ სლემებს" ჩამორჩება. ქართველმა ჩოგბურთელმა სამი მეტოქე საკვალიფიკაციო ბადეში დაამარცხა, ორიც – ძირითადში და მერვედფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. მეორე წრეში ბასილაშვილი ამერიკელ **ევან კინგს** ებრძოლა და სამ სეტში აჯობა კიდეც – 7:5, 3:6, 7:6 (5). ტურნირის მერვედფინალში ნიკას კვლავ ამერიკელი მეტოქე ეყოლება – **ჯორდან კოქსი**. შეგახსენებთ, რომ შარშან ნიკოლოზ ბასილაშვილმა „ედი ჰერის ჩემპიონატის" 16-წლამდელთა ტურნირში ნახევარფინალში გააღწია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ავტოსპორტი

საქართველოს ჩემპიონატი

ინტერვიუ არჩილ ბიძინაშვილთან

# ჩემი მიზანია ჩემპიონის ტიტულის მოპოვება!

**ქართულ ავტოსპორტში არჩილ ბიძინაშვილი ერთ-ერთ ძლიერ ავტომრბოლად მიიჩნევა. შეიძლება ითქვას, რომ ყველა სახეობაში ერთნაირ დონეზე გამოდის. თუმცა ხშირად ბედი არ სწყალობს, ერთი ნაბიჯი რჩება ჩემპიონობამდე. მაგრამ იმედი აქვს, რომ მდგომარეობა გამოსწორდება და ფორტუნა უეჭველად გაუღიმებს. გთავაზობთ არჩილ ბიძინაშვილთან ბლიც-ინტერვიუს.**

**- დაბადების თარიღი და ადგილი?**

- 1971 წლის 1-ელი დეკემბერი, თბილისი.

**- ოჯახი?**

- მეუღლე და ორი ვაჟი.

**- პირველი ავტომობილი?**

- „ჟიგული", ვაზ-2106.

**- პირველი სპორტული მოდელი?**

- „ჰონდა სივიკი".

**- ავტოსპორტში დებიუტის წელი, ადგილი, შეჯიბრება და მანქანა?**

- 2004 წელი, თბილისი, აღმართის ჩქაროსნული დაძლევა, „ჰონდა სივიკი".

**- პირველი გამარჯვება?**

- 2005 წელს, წრიულ რბოლაში, რუსთავის ავტოდრომზე.

**- პირველი წარმატება საქართველოს ჩემპიონატში?**

- 2005 წელს, მესამე ადგილი.

**- თანაგუნდელი და შტურმანი?**

- თანაგუნდელი არ მყავს, შტურმანი კი ხშირად იცვლება.

**- ყველაზე ძლიერი მეტოქე?**

- მამუკა „მევლუდ" მელაძე, ზურაბ ბეჟაშვილი, ოთარ თავართქილაძე.

**- ყველაზე სწრაფი მოდელი, რომლითაც გიასპარეზია?**

- „სუბარუ იმპრეზა".

**- საერთაშორისო შეჯიბრებები და მიღწევები?**

- სამი წელია „იალტის რალიზე" გამოვდივარ. ორჯერ მელაძის ეკიპაჟში შტურმანი ვიყავი, ერთხელ - პილოტი. შტურმანი კი გოგა არჯევანიძე იყო. მიღწევებიდან აღსანიშნავია მეორე ადგილი ე. წ. 1600-იანთა კლასში. წლეულს ტექნიკური პროლემები შეგვექმნა, მაგრამ „სუპერრალის" პრინციპისთვის არ გვიღალატია - მაინც ვიარეთ.

**- უცხოური ავტოსპორტიდან რომელ სახეობას ადევნებ თვალყურს?**

- ფორმულა 1-ს, რალის.

**- რომელ ავტომრბოლს გულშემატკივრობ და რატომ?**

- ფორმულა 1-ში ლუის ჰემილტონს, რალიში - სებასტიან ლოებს, იმიტომ, რომ ისინი ძალიან სწრაფები და მიზანდასახულები არიან.

**- უცხოეთში ასპარეზობის შანსი რომ გაგიჩნდეს, რომელ სახეობას აირჩევდი?**

- ყველა სახეობას, სადაც კი შეიძლება პროფესიონალმა ავტომრბოლმა იასპარეზოს.

**- ყველაზე ერთგული გულშემატკივარი?**

- ჩემი მეუღლე.

**- მომავალი გეგმები?**

- ჩემპიონის ტიტულის მოპოვება!

ესაუბრა
**დავით ჩუბინიძე**



# უცხოური სპორტი

## კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

**მილუოკი–ჩიკაგო 97:90**

19:20, 35:22, 22:30, 21:18

მ: ვილანუევა (23+10 მოხსნა), ჯეფერსონი (21), რედი (13), რიდნური (12+10 პასი+4 ჩაჭრა), გაძურიჩი (11+14 მოხსნა+3 დაფარება), სეშენსი (2+9 პასი).

ჩ: გორდონი (22), დენგი (21), როუზი (18+9 პასი+4 ჩაჭრა), ჰიუიზი (13), გუდენი (2+9 მოხსნა).

**ბოსტონი–ინდიანა 114:96**

28:27, 29:24, 31:23, 26:22

ბ: რ. ალენი (31), გარნეტი (26+14 მოხსნა+4 დაფარება), რონდო (16+13 მოხსნა+17 პასი+3 ჩაჭრა), პირსი (16), პერკინსი (16+10 მოხსნა).

ი: გრეინჯერი (20), ფორდი (15+8 პასი), დენიელზი (14), მერფი (10+10 მოხსნა).

**ჰიუსტონი–კლიპერსი 103:96**

27:19, 26:27, 24:30, 26:20

ჰ: იაო მინი (24+10 მოხსნა), ელსტონი (21+8 მოხსნა+7 პასი), არტესტი (19), ლენდრი (12+8 მოხსნა).

კ: რენდოლფი (23+11 მოხსნა), ტორნტონი (22+8 მოხსნა), ბ. დევისი (13+9 პასი+3 ჩაჭრა), კემბი (11+11 მოხსნა+6 დაფარება), ჟ.ბრპლრნ (10).

**ფილადელფია–ლეიკერსი 102:114**

25:31, 26:30, 18:24, 33:29

ფ: ა. მილერი (26+8 მოხსნა), იგუოდალა (19), ტ. იანგი (17+8 მოხსნა), უილიამსი (15), დალემბერი (11+8 მოხსნა).

ლ: ბრაიანტი (32), პ. გასოლი (22+13 მოხსნა+3 დაფარება), ბინუმი (18), რადმანოვიჩი (11).

**ნიუ ორლეანი–ფინიქსი 104:91**

35:21, 16:29, 31:19, 22:22

ნ-ო: პოლი (24+15 პასი+3 ჩაჭრა), სტოიაკოვიჩი(24), უესტი (23+14 მოხსნა), ჩენდლერი (14+9 მოხსნა+3 დაფარება).

ფ: სტაუდმაიერი (26), ბარბოზა (19), ჰილი (17+6 პასი), ბარნსი (13+7 მოხსნა).

**ვაშინგტონი–პორტლენდი 92:98**

26:19, 17:26, 29:32, 20:21

ვ: ჯეიმისონი (22), ბატლერი (16), ბლეტჩი (11), იანგი (11).

პ: როი (22+8 მოხსნა), ოლდრიჯი (16), ბლეიკი (15), ოდენი (13+10 მოხსნა), ფერნანდესი (13+3 ჩაჭრა).

**იუტა–მაიამი 89:93**

22:19, 23:28, 18:27, 26:19

ი: მილსეპი (20+13 მოხსნა+3 ჩაჭრა), ბრიუერი (18+3 ჩაჭრა), უილიამსი (13), ელმონდი (10).

მ: უეიდი (23+4 ჩაჭრა), მერიონი (15+8 მოხსნა), ბიზლი (12), ჰასლემი (11+13 მოხსნა), ჩალმერსი (10+3 ჩაჭრა), კუკი (10).

**კლივლენდი–ნიუ იორკი 118:82**

31:20, 30:15, 24:24, 33:23

კ: ჯეიმსი (21+6 პასი+5 ჩაჭრა), უილიამსი (16), ილგაუსკასი (14+10 მოხსნა), გიბსონი (13+3 ჩაჭრა), უესტი (12+3 ჩაჭრა), ვარეჟაო (9+10 მოხსნა).

ნ-ი: ჰარინგტონი (20+7 მოხსნა), რობერსონი (19+3 ჩაჭრა), ლი (16+16 მოხსნა), ჩენდლერი (12).

**ორლანდო–მინესოტა 100:89**

23:17, 21:21, 26:12, 30:39

ო: ჰოვარდი (23+14 მოხსნა+3 ჩაჭრა+6 დაფარება), ლუისი (23), თურქოგლუ (22+3 ჩაჭრა), ლი (19+3 ჩაჭრა).

მ: ჯეფერსონი (19+8 მოხსნა), ლავი (16+12 მოხსნა), მაკენტსი (14), ფოი (13+3 ჩაჭრა), გომესი (11).

**ატლანტა–მემფისი 105:95**

24:24, 26:15, 33:30, 22:26

ა: ჯონსონი (26), ბიბი (20+10 პასი), უილიამსი (16), ჰორფორდი (15), სმიტი (14).

მ: უორიკი (20), ლოური (17), გეი (16+10 მოხსნა), მაიო (11), არტური (11), კონლი (10).

**შარლოტი–ოკლაჰომა 103:97**

24:21, 25:24, 27:27, 27:25

შ: ოკაფორი (25+13 მოხსნა), ჯ. უოლასი (21+3 ჩაჭრა), ჯ. რიჩარდსონი (18), მეი (10+11 მოხსნა), ოგუსტინი (10), ფელტონი (8+12 პასი+3 ჩაჭრა).

ო: დურანტი (24), გრინი (18), სმიტი (13), უილკოქსი (12), უესტბრუკი (10), უოტსონი (6+11 პასი).

## ავტოსპორტი

# მენსელი ლე მანს უმიზნებს

ფორმულა 1-ის 1992 წლის ჩემპიონი **ნაიჯელ მენსელი** არ გამორიცხავს ავტოსპორტში დაბრუნებას. ლეგენდარულ ბრიტანელს ლე მანის 24-საათიან მარათონში მონაწილეობა აქვს განზრახული.

თუ მენსელი ამ იდეას სისრულეში მოიყვანს, პრესის ყურადღება მას გარანტირებული ექნება, რადგან ცნობილ ავტომარათონში ის თავის ვაჟებთან ერთად აპირებს გამოსვლას. 23 წლის **ლეო** და 21 წლის **გრეგი** 2008 წელს ამერიკაში, Atlantic Championship-ის სარბოლო სერიაში მონაწილეობდნენ. ორივე პროფესიონალი ავტომრბოლია.

ცოტა ხნის წინ, ნაიჯელმა და მისმა უფროსმა ვაჟმა ცნობილი ბრიტანული სპორტული ავტომობილების მწარმოებელი კომპანიის Ginetta-ს მიწვევა მიიღეს და მანქანების ტესტირება ჩაატარეს. ფირმის დირექტორის **რიჩარდ დინის** თქმით, უფროსი მენსელი სარბოლო Ginetta-Zytek-ის საჭესთან იჯდა და გუნდზე დიდი შთაბეჭდილებაც მოახდინა.

*"როგორც კი ნაიჯელმა მანქანა დაძრა, მაშინვე ვიგრძენით მისი უმაღლესი ოსტატობა. ის შეუდარებელი იყო! მენსელი ტესტებზე გასართობად არ მოსულა. პირველსავე წრეებიდან მანქანას მაქსიმალური შესაძლებლობის ზღვარზე ატარებდა და მაშინვე ცხადი გახდა, რატომ მიიჩნეოდა ის ფორმულა 1-ის ვარსკვლავად.*

*მე მას ვკითხე - ხომ არ სურს თავის შვილებთან ერთად ერთი ეკიპაჟით გამოსვლა? - და მან მიპასუხა, რომ არ გამორიცხავს ასეთ შესაძლებლობას. დარწმუნებული ვარ, იდეა ლე მანის ორგანიზატორებს მოეწონებათ, რადგან ეს ამ რბოლისთვის დიდი რეკლამა იქნება", - განაცხადა რიჩარდ დინმა.*

გაზეთ Motorsport News-ისთვის მიცემულ ინტერვიუში მენსელმა დაადასტურა: *"ლე მანი კარიერის განახლების ერთ-ერთ რეალურ ვარიანტად რჩება. მე და ჩემმა ვაჟებმა ერთ გუნდში გამოსვლის წინადადება არაერთხელ მივიღეთ და ადრე თუ გვიან, ჩვენ ერთად გავალთ ტრასაზე".*

მომავალ წელს, ლე მანის 24-საათიანი რბოლა 13-14 ივნისს გაიმართება.



## ჰოკეი

# 50 რჩეული

**ავტორიტეტულმა კანადურმა გამოცემამ The Hockey News-მა ტრადიციულად ჰოკეის ეროვნული ლიგის გასული სეზონის 50 საუკეთესო ჰოკეისტის სია გამოაქვეყნა.**

**მოთამაშეებს სხვადასხვა მონაცემის მიხედვით აფასებენ და 2007-08 წლების სეზონისთვის საბოლოო სიამ ასეთი სახე მიიღო (ფრჩხილებში მითითებულია შარშანდელ ანალოგიურ რეიტინგში დაკავებული ადგილი).**



**1 (1). სიდნი კროსბი (პიტსბურგი, თავდამსხმელი)**: ტრავმის გამო 29 მატჩი გამოტოვა, მაგრამ ამის მიუხედავად 72 ქულა დააგროვა და ამ მაჩვენებლით პირველი ადგილი დაიკავა გუნდში.

**2 (2). ალექსანდრ ოვეჩკინი (ვაშინგტონი, თავდამსხმელი)**: გასული სეზონის საუკეთესო მოთამაშე, საუკეთესო ბომბარდირი (112 ქულა) და საუკეთესო სნაიპერი (65 გოლი).

**3 (25). ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტროიტი, თავდამსხმელი)**: პლეი ოფის ყველაზე ძვირფასი მოთამაშე და ბომბარდირი (27 ქულა).

**4 (36). პაველ დაციუკი (დეტროიტი, თავდამსხმელი)**: ლიგის ყველაზე სასარგებლო მოთამაშე (+41). მოიგო ორი ინდივიდუალური პრიზი - "ჯენტლმენი ყინულზე" და "დაცვითი სტილის საუკეთესო ფორვარდი".

**5 (7). ვენსან ლეკავალიე (ტამპა ბეი, თავდამსხმელი)**: გუნდის საუკეთესო ბომბარიდირი - 92 ქულა.

**6 (4). ნიკლას ლიდსტრიომი (დეტროიტი, მცველი)**: "დეტროიტის" კაპიტანმა ბოლო შვიდ სეზონში მეექვსედ მოიპოვა სეზონის საუკეთესო მცველის ტიტული.

**7 (3). რობერტო ლუონგო (ვანკუვერი, მეკარე)**: წლის საუკეთესო მეკარის პრიზის ნომინანტი.

**8 (6). ჯერომ იგინლა (კალგარი, თავდამსხმელი)**: "კალგარის" საუკეთესო ბომბარდირი და სეზონის საუკეთესო მოთამაშის პრიზის ერთ-ერთი პრეტენდენტი.

**9 (44). ევგენი მალკინი (პიტსბურგი, თავდამსხმელი)**: საუკეთესო თავდამსხმელი NHL-ის თემაზე მომუშავე ჟურნალისტების ვერსიით.

**10 (9). დენი ჰიტლი (ოტავა, თავდამსხმელი)**: ლიგის მესამე მოთამაშე სარგებლიანობის კოეფიციენტის მიხედვით - +33.

**11 (5). კრის პრონგერი (ანაჰაიმი, მცველი)**: კვლავინდებურად ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო მცველად რჩება.

**12 (21). დანიელ ალფრედსონი (ოტავა, თავდამსხმელი)**: გასული სეზონის ლიდერი რიცხობრივ უმცირესობაში გატანილი გოლების რაოდენობით (7).

**13 (16). მარიან გაბორიკი (მინესოტა, თავდამსხმელი)**: "მინესოტას" ყველაზე შედეგიანი ჰოკეისტი - 83 ქულა.

**14 (43). ჰენრიკ ლუნდკვისტი (რეინჯერსი, მეკარე)**: სეზონში 10 მატჩი დაასრულა გაშვებული გოლის გარეშე - შარშან ეს საუკეთესო მაჩვენებელი იყო ლიგაში.

**15 (-). ბრენდან მოროუ (დალასი, თავდამსხმელი)**: კარიერაში საუკეთესო სეზონი ჩაატარა. დააგროვა 74 ქულა.

**16 (-). ევგენი ნაბოკოვი (სან ხოსე, მეკარე)**: საუკეთესო მეკარის პრიზის ერთ-ერთი ნომინანტი. ჩემპიონატის ლიდერი გამარჯვებების რაოდენობით (46).

**17 (19). მარიან ჰოსა (დეტროიტი, თავდამსხმელი)**: შევიდა პლეი ოფის სამ საუკეთესო თავდამსხმელს შორის.

**18 (48). ილია კოვალჩუკი (ატლანტა, თავდამსხმელი)**: ლიგის სნაიპერებს შორის მეორე ადგილზე გავიდა - 52 გოლი.

**19 (18). ერიკ სტაალი (კაროლინა, თავდამსხმელი)**: "კაროლინას" საუკეთესო ჰოკეისტი გატანილი გოლების (38), შედეგიანი გადაცემების (44), დაგროვილი ქულების (82), რიცხობრივ უპირატესობაში გატანილი გოლებისა (14) და გამარჯვების გოლების (7) რაოდენობით.

**20 (39). ზდენო ხარა (ბოსტონი, მცველი)**: კლუბის მესამე ბომბარდირი (51 ქულა) და ლიდერი სარგებლიანობის კოეფიციენტის მიხედვით (+14).

**21 (8). ჯო ტორნტონი (სან ხოსე, თავდამსხმელი)**: ლიგის ბოლო სამი სეზონის საუკეთესო ბომბარდირი - 335 ქულა.

**22 (17). დიონ ფანოფი (კალგარი, მცველი)**: საუკეთესო მცველის პრიზის ნომინანტი.

**23 (10). მარტინ ბროდო (ნიუ ჯერსი, მეკარე)**: გასული სეზონის საუკეთესო მეკარე.

**24 (33). ჟან სებასტიან ჟიგერი (ანაჰაიმი, მეკარე)**: ლიგის მეორე მეკარე გაშვებული შაიბების რაოდენობით (2.12).

**25 (15). მარტინ სენტ ლუისი (ტამპა ბეი, თავდამსხმელი)**: გუნდის საუკეთესო ჰოკეისტი შედეგიანი გადაცემების რაოდენობით (58).

**26 (-). სკოტ ნიდერმაიერი (ანაჰაიმი, მცველი)**: არც ისე წარმატებული სეზონის მიუხედავად, შეინარჩუნა ლიგის ერთ-ერთი წამყვანი მცველის სახელი.

**27 (-). ბრაიან რაფალსკი (დეტროიტი, მცველი)**: ზედიზედ მეორე სეზონია კარიერაში საუკეთესო მაჩვენებელი დააფიქსირა - 55 ქულა.

**28 (42). სერგეი გონჩარი (პიტსბურგი, მცველი)**: რიცხობრივი უპირატესობისას 46 ქულა დააგროვა - მეორე შედეგი ლიგაში.

**29 (23). მარტი ტურკო (დალასი, მეკარე)**: პლეი ოფის ერთ-ერთი საუკეთესო გოლკიპერი.

**30 (-). რაიან გეტცლაფი (ანაჰაიმი, თავდამსხმელი)**: "იხვების" საუკეთესო ბომბარდირი - 82 ქულა.

**31 (-). ანდრეი მარკოვი (მონრეალი, მცველი)**: რიცხობრივი უპირატესობისას ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი მცველი - 10 გოლი.

**32 (45). ზაკ პარიზე (ნიუ ჯერსი, თავდამსხმელი)**: კარიერაში საუკეთესო სეზონი ჩაატარა - დააგროვა 65 ქულა.

**33 (-). ალეშ ჰემსკი (ედმონტონი, თავდამსხმელი)**: წინა სეზონში "ედმონტონის" საუკეთესო ბომბარდირი - 71 ქულა.

**34 (24). ჯეისონ სპეცა (ოტავა, თავდამსხმელი)**: "სენატორების" ყველაზე შედეგიანი ჰოკეისტი - 92 ქულა.

**35 (-). ვესა ტოსკალა (ტორონტო, მეკარე)**: შარშან 66 მატჩი გამართა და ნახევარში გამარჯვებას მიაღწია - საუკეთესო მაჩვენებელი კარიერაში.

**36 (37). რიკ ნეში (კოლამბუსი, თავდამსხმელი)**: 69 ქულით "კოლამბუსის" საუკეთესო ბომბარდირი გახდა და თან კარიერაში საუკეთესო სეზონი ჩაატარა.

**37 (12). ჯო საკიკი (კოლორადო, თავდამსხმელი)**: სეზონის ნახევარი ტრავმის გამო გამოტოვა და ამის მიუხედავად, კლუბის მესამე ბომბარდირი გახდა (40 ქულა).

**38 (41). სკოტ გომესი (რეინჯერსი, თავდამსხმელი)**: გუნდის საუკეთესო მოთამაშე შედეგიანი გადაცემების რაოდენობით (54).

**39 (20). რაიან მილერი (ბაფალო, მეკარე)**: ჩემპიონატის მესამე მეკარე მოგერიებული დარტყმების მიხედვით - 1907.

**40 (-). ჯონათან ტეივზი (ჩიკაგო, თავდამსხმელი)**: წლის დებიუტანტის პრიზის ნომინანტი.

**41 (32). დანიელ სედინი (ვანკუვერი, თავდამსხმელი)**: "კენაქსის" საუკეთესო სნაიპერი - 29 შაიბა.

**42 (27). დანიელ ბრიერი (ფილადელფია, თავდამსხმელი)**: გუნდის მეორე მოთამაშე შედეგიანობის მხრივ (72 ქულა). ამასთან, ყველაზე უარესი შედეგი ჰქონდა სარგებლიანობის კოეფიციენტის მიხედვით (მინუს 22).

**43 (-). ანჟე კოპიტარი (ლოს ანჯელესი, თავდამსხმელი)**: "კინგზის" ყველაზე შედეგიანი მოთამაშე - 77 ქულა.

**44 (13). მიკა კიპრუსოფი (კალგარი, მეკარე)**: ლიგის მესამე მეკარე გამარჯვების რაოდენობით (39).

**45 (-). პოლ შჩასტნი (კოლორადო, თავდამსხმელი)**: "კოლორადოს" წამყვან ფორვარდად ჩამოყალიბდა. გახდა გუნდის საუკეთესო ბომბარდირი (71 ქულა).

**46 (-). შეინ დოუნი (ფინიქსი, თავდამსხმელი)**: გუნდის საუკეთესო ბომბარდირი (78 ქულა).

**47 (-). დერეკ როი (ბაფალო, თავდამსხმელი)**: "სეიბრზის" ყველაზე შედეგიანი მოთამაშე (81 ქულა).

**48 (-). მარკ სავარი (ბოსტონი, თავდამსხმელი)**: ერთადერთი ღირებული ფორვარდი "ბრუინზის" შეტევით ხაზში.

**49 (-). მაიკ რიჩარდსი (ფილადელფია, თავდამსხმელი)**: 2006-07 წლების სეზონისგან განსხვავებით, 43 ქულით მეტი დააგროვა.

**50 (-). პატრიკ კეინი (ჩიკაგო, თავდამსხმელი)**: გუნდის საუკეთესო ბომბარდირი (72 ქულა). სეზონის საუკეთესო ბომბარდირი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ოტავა–ატლანტა 5:1**

3:1, 1:0, 1:0

გოლები: 1:0 ჰიტლი-13 (ბელი-1, ალფრედსონი-16), 1:1 ბულტონი-1 (კრები-1, სლეიტერი-4), 2:1 სპეცა-8 (ჰიტლი-11, კუბა-16), 3:1 ალფრედსონი-7 (ჰიტლი-12, კუბა-17), 4:1 ბელი-1 (ფიშერი-5, შენონი-1), 5:1 დონოვანი-4 (თუბერტი-3, ი. რუუტუ-6).

**რეინჯერსი–პიტსბურგი 3:2 (ბ)**

0:1, 1:1, 1:0, 0:0

გოლები: 0:1 იტონი-1 (კროსბი-22), 0:2 ჯ. სტაალი-8 (სკუდერი-5, კუკი-8), 1:2 ჟერდიოვი-9 (გომესი-11, რედენი-9), 2:2 პრუხა-1 (გომესი-12, რედენი-10).

ბულიტები გაიტანეს: ნესლუნდი (რეინჯერსი), ჟერდიოვი (რეინჯერსი), ლეტანგი (პიტსბურგი), სიოსტრიომი (რეინჯერსი).

**მინესოტა–სენტ ლუისი 4:0**

0:0, 1:0, 3:0

გოლები: 1:0 ბელანჟე-7 (ბუშარი-7), 2:0 ბრუნეტი-9 (ჟიდლიცკი-9, მ-ა. ბერჟერონი-12), 3:0 ჟიდლიცკი-4 (მ-ა. ბერჟერონი-13, მ. კოივუ-19), 4:0 მიეტინენი-7 (ბელანჟე-8).

**ჩიკაგო–ანაჰაიმი 4:2**

1:0, 0:1, 3:1

გოლები: 1:0 შარპი-14 (კეინი-17, ტეუვზი-13), 1:1 სელიანე-14 (ს. ნიდერმაიერი-11, გეტცლაფი-22), 1:2 პრონგერი-6 (ფესტერლინგი-1, რ. ნიდერმაიერი-3), 2:2 ჰავლატი-7 (კეიტი-8, ვერსტეეგი-14), 3:2 ტეუვზი-5 (ვერსტეეგი-15, ბიფიგლენი-5), 4:2 ბოლანდი-4 (ფრეიზერი-3, ლედი-6).

**ედმონტონი–დალასი 5:2**

2:0, 1:0, 2:2

გოლები: 1:0 ჰორკოფი-7 (პენერი-4, ჰემსკი-18), 2:0 ვიშნოვსკი-5 (კოლიანო-5, პენერი-5), 3:0 პულიო-2 (მრემპი-1, ვიშნოვსკი-9), 3:1 მოდანო-10 (ბრუნსტრიომი-2, კონერი-2), 3:2 მოდანო-11 (პეტერსენი-3, სიდორი-3), 4:2 ჰემსკი-8, 5:2 კოლიანო-7 (სემ განიე-5, სურეი-12).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური სპორტი

## ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. IV ტური



### E ჯგუფი

**ვოლფსბურგი-პორტსმუთი 3:2**

**ვოლფსბურგი:** ბენალიო, რიკარდო კოსტა, ბარძალი, შაფერი, ძაკარდო (36. ჰასებე), რიტერი (46. მადლუნგი), ჟოსუე, გენტნერი, დეჟაგა (88. შიმუნეკი), მიშიმოვიჩი, ძეკო.

**პორტსმუთი:** ჯეიმსი, ჯონსონი, კემპბელი, დისტენი, ბელაჯი (46. პამარო), ტრაორე, მვუემბა (67. კრაუჩი), დევისი, ჰიუზი, კრანჩარი (77. კანუ), დეფო.

**გოლები:** 1:0 ძეკო (3), 1:1 დეფო (11), 1:2 მვუემბა (14), 2:2 გენტნერი (23), 3:2 მიშიმოვიჩი (74)

**გაფრთხილება:** 0-3

**მაყურებელი:** 19 000

**ჰერენვეენი-ბრაგა 1:2**

**ჰერენვეენი:** სტეპე, ბროიერი, ნილსენი, დინგსდაგი, პოპოვი, ვაირინენი (28. ენრიკე), შვეცი, გრინდჰეიმი, პრანიჩი (70. სმარასონი), ბეერენსი, სიბონი (79. ელიუნოსი).

**ბრაგა:** ედუარდო, ჟოაო პერეირა, მოისესი, ანდრე ლეონე, ევალდო, ვანდინიო, აგიარი, ალანი, მატეუსი (41. სესარ პეიშოტო), რენტერია (78. პაულო სეზარი), მეიონგ ზე (87. ფრეშო).

**გოლები:** 1:0 სიბონი (19), 1:1 პენტერია (35), 1:2 აგიარი (56)

**გაფრთხილება:** 1-1

**მაყურებელი:** 25 500

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვოლფსბურგი | 3 | 3 | 0 | 0 | 11-5 | 9 |
| 2. მილანი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-3 | 7 |
| 3. ბრაგა | 4 | 2 | 0 | 2 | 7-5 | 6 |
| 4. პორტსმუთი | 3 | 0 | 1 | 2 | 4-8 | 1 |
| 5. ჰერენვეენი | 3 | 0 | 0 | 3 | 3-10 | 0 |

### F ჯგუფი

**ასტონ ვილა-ჟილინა 1:2**

**ასტონ ვილა:** გუზანი, ნაითი, კუელარი, ლ. იანგი, გარდნერი, რეო-კოკერი, სალიფუ (68. ბერი), ოსბორნი (65. მილნერი), ე. იანგი, დელფუნესო (76. აგბონლაჰორი), ჰეირვუდი.

**ჟილინა:** პერნიში, პეკარიკი, შურეკი, ლეიტნერი, პეჩალკა, პიაჩეკი, ვომაჩკა, შტრბა, იეჟი (90+3. ტეშაკი), ადაუტო (70. ვლადავიჩი), შტივარი (86. რილკე).

**გოლები:** 0:1 ლეიტნერი (16), 0:2 სტივარი (19), 1:2 დელფუნესო (28)

**გაძევება:** ლეიტნერი (79. ჟილინა)

**გაფრთხილება:** 1-0

**მაყურებელი:** 28 797

**სლავია-ჰამბურგი 0:2**

**სლავია:** ვანიაკი, კრაიჩიკი, სუხი, ბრაბეცი, ჰუბაჩეკი (46. შმიცერი), მ. იაროლიმი, ბელაიდი (69. ივანა), ტავარესი, ჩერნი, სვენტო, ნესიდი (73. ტოლევსკი).

**ჰამბურგი:** ფ. როსტი, ბ. რაინჰარდტი (77. ბოატენგი), მატიისენი, დემელი, ალექს სილვა, იანსენი, ბენჯამინი, აოგო, დ. იაროლიმი, ოლიჩი, პეტრიჩი.

**გოლები:** 0:1 ოლიჩი (30), 0:2 პეტრიჩი (90+3-პენ)

**გაძევება:** ვანიაკი (90. სლავია)

**გაფრთხილება:** 1:1

**მაყურებელი:** 17 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰამბურგი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-2 | 6 |
| 2. ასტონ ვილა | 3 | 2 | 0 | 1 | 4-3 | 6 |
| 3. აიაქსი | 3 | 2 | 0 | 1 | 3-2 | 6 |
| 4. ჟილინა | 4 | 1 | 1 | 2 | 3-4 | 4 |
| 5. სლავია | 3 | 0 | 1 | 2 | 0-3 | 1 |

### G ჯგუფი

**ვალენსია-ბრიუგე 1:1**

**ვალენსია:** გუაიტა, კურო ტორესი, ივან ელგერა, მარჩენა, დელ ორნო, ხაუმე (55. ვისენტე), მადურო (64. რაულ ალბიოლი), უგო ვიანა, პაბლო, ჟიგიჩი, მორიენტესი (73. მანუელ ფერნანდეში).

**ბრიუგე:** სტინენი, სიმანი, ალკასარი, კლუკოვსკი, კლემანი, სიმაეისი, დაერდენი, გერაერტსი, ვარგასი (90+2. ვან ჰეერდენი), დირარი, სონკი (82. აკპალა).

**გოლები:** 0:1 ალკასარი (19), 1:1 ჟიგიჩი (60)

**გაფრთხილება:** 1-1

**მაყურებელი:** 18 000

**კოპენჰაგენი-რუსენბორგი 1:1**

**კოპენჰაგენი:** კრისტიანსენი, პოსპეჩი, ანტონსონი, უ. ლაურსენი, ვენდტი, სიონკო, კვისტი (71. ნორეგაარდი), კრისტენსენი, ჰათჩინსონი (71. ჟუნიორი), ნორდსტრანდი, სანტინი.

**რუსენბორგი:** იარსტეინი, ლუშტიგი, ნორდვიკი, ლაგო, დორსინი, სტრანდი (75. სტორფლორი), ტეტეი, დემიდოვი, სკიელბრედი, კონანი (62. პელუ), ივერსენი (84. აასი).

**გოლი:** 0:1 ივერსენი (33), 1:1 ანტონსონი (85)

**გაფრთხილება:** 2-2

**მაყურებელი:** 18 184

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სტ. ეტიენი | 3 | 2 | 1 | 0 | 7-2 | 7 |
| 2. ვალენსია | 3 | 1 | 2 | 0 | 6-2 | 5 |
| 3. ბრიუგე | 3 | 0 | 3 | 0 | 2-2 | 3 |
| 4. კოპენჰაგენი | 3 | 0 | 2 | 1 | 3-5 | 2 |
| 5. რუსენბორგი | 4 | 0 | 2 | 2 | 1-8 | 2 |

### H ჯგუფი

**ლეხი-დეპორტივო 1:1**

**ლეხი:** ტურინა, ვოიტკოვიაკი, არბოლედა სანჩესი, ტანევსკი, ჯურჯევიჩი, ბანდროვსკი, მურავსკი, ვილკი, პეშკო (80. ლევანდოვსკი), სტილიჩი, რენგიფო.

**დეპორტივო:** არანსუბია, ლუის ფელიპე, კოლოტო, ლოპო, ადრიან ლოპესი, დე გუსმანი, სერხიო (78. ვერდუ), გუარდადო (71. ლაფიტა), ვალერონი, კრისტიანი, მისტა (59. რიკი).

**გოლები:** 0:1 კოლოტო (2), 1:1 რენგიფო (41)

**გაფრთხილება:** 1-0

**მაყურებელი:** 23 000

**ნანსი-ცსკა 3:4**

**ნანსი:** ბრასილიანო, კალვე, მაკალუსო, ანდრე ლუისი, ბრისონი, ნ'გემო, ა. ნ'დიაიე (76. კამერლინგი), ფერე, დია (68. ბერენგერი), ფორტუნი (85. ელდერი), ზერკა.

**ცსკა:** აკინფეევი, გრიგორიევი, იგნაშევიჩი, შემბერასი, ჟირკოვი, რაჰიმიჩი, კრასიჩი (90. შენიკოვი), ალდონინი, ერკინი (67. მამაევი), რამონი (56. ძაგოევი), ვაგნერ ლავი.

**გოლები:** 1:0 ზერკა (5), 1:1 ვაგნერ ლავი (23), 1:2 რამონი (33), 1:3 ვაგნერ ლავი (62), 2:3 ფერე (72), 3:3 კამერლინგი (79), 3:4 ვაგნერ ლავი (88)

**გაფრთხილება:** 3-3

**მაყურებელი:** 14 074

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ცსკა | 4 | 4 | 0 | 0 | 12-5 | 12 |
| 2. ნანსი | 3 | 1 | 1 | 1 | 8-6 | 4 |
| 3. დეპორტივო | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| 4. ლეხი | 3 | 0 | 2 | 1 | 4-5 | 2 |
| 5. ფეიენოორდი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-9 | 0 |



## ამერიკული ფეხბურთი

# ო ჯეი ციხეში ჩაჯდება

ამერიკული ფეხბურთის ყოფილი ვარსკვლავის **ო ჯეი სიმპსონის** სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარემ ფეხბურთელისთვის 18-წლიანი პატიმრობა მოითხოვა. თავის მხრივ, ო ჯეის ადვოკატებმა სასამართლოს სთხოვეს, რომ მათ კლიენტს მინიმალური სასჯელი მისცენ, რომელიც ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ვარაუდობენ, რომ სკანდალურად ცნობილ ფეხბურთელსა და მსახიობს დღეს გამოუტანენ განაჩენს. მაქსიმალური სასჯელი, რაც სიმპსონს ემუქრება, სამუდამო პატიმრობაა.

ჩვენ უკვე ვწერდით ამ გახმაურებული საქმის შესახებ: ო ჯეის იმაში ადანაშაულებენ, რომ მან 2007 წლის სექტემბერში, ხუთ მეგობართან ერთად სპორტული სუვენირებით მოვაჭრეები გაძარცვა, რომლებიც ლას ვეგასის ერთ-ერთ სასტუმროში იყვნენ დაბინავებულნი. ბრალდების მხარის ვერსიით, მძარცველები მოვაჭრეებს იარაღით ემუქრებოდნენ, აგრეთვე მათი გატაცებაც ჰქონდათ განზრახული.

თავად სიმპსონი დანაშაულს არ აღიარებს და ამტკიცებს, რომ მოვაჭრეებთან საკუთარი სპორტული პრიზების დასაბრუნებლად მივიდა. ო ჯეის თქმით, მას ეს ჯილდოები მოპარეს და სუვენირების სახით გაყიდეს. სიმპსონი აცხადებს, რომ ბიზნესმენებს კარგად იცნობდა და მათ თავად დაუბრუნეს სპორტსმენს კუთვნილი პრიზები.

თავიდან სიმპსონსა და მის მეგობრებს 12 მუხლით წაუყენეს ბრალი, მაგრამ სპორტსმენის ხუთიდან ოთხმა მეგობარმა გამოძიებასთან ითანამშრომლა და ო ჯეის საწინააღმდეგო ჩვენება მისცა. შესაბამისად მათ ყველაზე მძიმე ბრალდებები - შეიარაღებული ყაჩაღობა და ადამიანის გატაცება მოუხსნეს.

**გია თვალაბეიშვილი**

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**ინგლისი**

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| მენსფილდი-ოქსფორდი | 1:3 |

**ჰოლანდია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ვენლო-მაასტრიხტი | 2:2 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ბაზელი-არაუ | 3:1 |

**პერუ**

| | |
|---|---|
| სან მარტინი-მელგარი | 0:1 |

### კალათბურთი

**ევროლიგა**

**კაცები**

| | |
|---|---|
| ჟალგირისი-პანათინაიკოსი | 69:80 |
| ფენერბახჩე-ტაუგრესი | 69:81 |
| მაკაბი-ციბონა | 88:83 |
| ოლიმპია-ხუვენტუდი | 65:86 |
| ბარსელონა-ნანსი | 91:68 |
| რომა-ალბა | 70:64 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| ლოტოსი-ვალანსიენი | 86:62 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| გეტინგენი-დიუსელდორფი | 88:74 |

### ჰოკეი

**გერმანია**

| | |
|---|---|
| მანჰაიმი-ჰამბურგი | 1:1 |

**კჰლ**

| | |
|---|---|
| მეტალურგი (მ)-სევერსტალი | 3:1 |
| ტრაქტორი-სკა | 4:1 |
| სპარტაკი-ატლანტი | 4:1 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ვენა-ზალცბურგი | 1:4 |

**დანია**

| | |
|---|---|
| ესბერგი-ჰერნინგი | 3:1 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| ლორენსკოგი-ლილეჰამერი | 1:2 |
| სტიორნენი-კომეტი | 4:2 |
| ფრისკ ასკერი-სტორჰამარი | 3:4 |
| ფურუსეტი-სტავანგერი | 4:2 |
| ვოლერენგა-სპარტა | 3:1 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ილვესი-ჰპკ | 3:2 |
| ლუკო-კალპა | 2:4 |
| იუვიასკიულა-იოკერიტი | 2:0 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ვიტკოვიცე-კარლოვი ვარი | 2:4 |
| ლიტვინოვი-ზლინი | 2:2 |
| ლიბერეცი-პარდუბიცე | 5:5 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ბრიუნესი-ლინჩოპინგი | 1:1 |
| როგლე-სიოდერტალე | 4:4 |
| ტიმრა-ჰვ71 | 2:2 |
| ფერიესტადი-ლულეო | 5:3 |
| ფრიოლუნდა-მოდო | 6:1 |
| იურგორდენი-აიკ | 0:2 |

## TV სპორტი

### 5 დეკემბერი. პარასკევი

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

07:30 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-არსენალი.
09:15 სასტვენი.
10:15 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
11:15 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი. საფრანგეთის ჩემპიონატი. სოშო-ბორდო.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
13:30 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-რასინგი.
15:20 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ბორდო-ჩელსი.
17:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:40 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
18:45 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-მანჩესტერ იუნ.
20:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:00 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
21:30 საფეხბურთო კლუბი.
22:25 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
22:55 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
23:25 გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ჰოფენჰაიმი (LIVE).
01:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:40 საფეხბურთო კლუბი.
02:30 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
03:00 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
03:30 გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ჰოფენჰაიმი.
05:20 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ბორდო-ჩელსი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:10 სპორტული პროგრამა.
08:20 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ტურნირი. პარტიზანი-ეფესი.
10:10 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
10:15 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
10:45 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
11:10 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კატანია-ლეჩე.
12:55 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. ფინალი. საპასუხო მატჩი. ინტერნასიონალი-ესტუდიანტესი.
14:40 ავტოსპორტი. A1 გრანპრი. III ეტაპი. მალაიზია.
15:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-მილანი.
17:15 სპორტული პროგრამა.
17:30 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
17:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტურის მიმოხილვა.
18:55 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
19:25 ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. კაროლინა-პიტსბურგი.
21:15 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
21:20 ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:00 სპორტკლუბი.
23:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
23:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ჰოფენჰაიმი (LIVE).
01:30 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
01:35 პროფესიული კრივი. 2007 წლის საუკეთესო ნოკაუტები.
02:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კატანია-ლეჩე.
04:25 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
04:55 ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
05:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-მილანი.
07:15 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**EUROSPORT**

11:30 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ბრიტანეთი.
12:00 ციგაობა. მსოფლიოს თასი. ინსბრუკი. ავსტრია.
13:30 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. IV ტურის მიმოხილვა.
14:30 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ინდივიდუალური რბოლა. ქალები. ოსტერსუნდი. შვედეთი.
16:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. 1/2 ფინალი. ჩილე.
18:45 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. IV ტური.
20:15 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ინდივიდუალური რბოლა. ქალები. ოსტერსუნდი. შვედეთი.
21:45 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
22:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS131. კვალიფიკაცია. ტრონჰეიმი. ნორვეგია (LIVE).
22:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. სწრაფდაშვება. კაცები. ბივერ კრიკი. აშშ (LIVE).
23:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. სწრაფდაშვება. ქალები. ლეიკ ლუისი. კანადა (LIVE).
01:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS131. კვალიფიკაცია. ტრონჰეიმი. ნორვეგია.
02:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
02:15 ექსტრემალური სპორტი.
02:45 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ბრიტანეთი.
03:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS131. კვალიფიკაცია. ტრონჰეიმი. ნორვეგია.
04:00 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ბრიტანეთი.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
11:45 სერფინგი. აშშ.
12:00 ახალი ამბები.
12:45 სერფინგი. აშშ.
13:00 ახალი ამბები.
13:15 ავტოსპორტი. GP2-ის სერია. აზია. I რბოლა. დუბაი. საემიროები (LIVE).
14:30 ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ქალები. IX ტური. პერუჯა-ბერგამო.
15:30 ახალი ამბები.
16:15 სერფინგი. აშშ.
16:30 ახალი ამბები.
17:00 ავტოსპორტი. GP2-ის სერია. აზია. I რბოლა. დუბაი. საემიროები.
18:00 ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ქალები. IX ტური. პერუჯა-ბერგამო.
19:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. 1/2 ფინალი. ჩილე.
19:45 ახალი ამბები.
20:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. IV ტური.
21:00 ახალი ამბები.
21:30 ექსტრემალური სპორტი.
22:00 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
22:30 ახალი ამბები.
22:45 სერფინგი. აშშ.
23:00 ახალი ამბები.
23:15 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
23:30 ფეხბურთი. იაპონიის ლიგა. ტურის მიმოხილვა.
00:00 კარტინგი. I რბოლა. ფლორიანოპოლისი. ბრაზილია.
00:45 სერფინგი. აშშ.
01:00 სუპერკროსი. I რბოლა. ჟენევა. შვეიცარია (LIVE).
02:45 სერფინგი. აშშ.
03:00 ახალი ამბები.
03:45 სერფინგი. აშშ.
04:00 ახალი ამბები.
04:45 სერფინგი. აშშ.
05:00 ახალი ამბები.
05:45 სერფინგი. აშშ.
06:00 ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური სპორტი

ინტერვიუ

პიტ სამპრასი

# როჯერი რაფაზე მაღლა დგას

„დიდი სლემის" ტურნირების 14-გზის ჩემპიონი **პიტ სამპრასი** ლონდონში მიმდინარე ვეტერანთა ტურნირში მონაწილეობს. **ჯონ მაკინროისთან** მატჩამდე (6:4, 6:3) ლეგენდარულმა ამერიკელმა ინტერვიუ მისცა ჟურნალ Tennis Week-ს, სადაც რამდენიმე საინტერესო საკითხს შეეხო.

თავიდან სამპრასმა საკუთარი აზრი გამოთქვა ამერიკელი გულშემატკივრებისთვის ყველაზე საჭირბოროტო თემაზე. საქმე ეხება იმ კრიზისს, რომელსაც ამერიკული ჩოგბურთი განიცდის. პირველი რიგში, ATP-ის ტურზე კაცების გამოსვლაზეა ლაპარაკი.

*„დღეს ამერიკულ ჩოგბურთს რთული დრო უდგას. გულშემატკივრები და ჟურნალისტები ელიან, რომ ჩვენი ჩოგბურთელები დიდ ტურნირებზე გამარჯვებას დაიწყებენ და რომელიმე ამერიკელი სათავეში ჩაუდგება ATP-ის რეიტინგს. თუ მათი მოლოდინი არ მართლდება, ისინი აღშფოთებას ვერ ფარავენ.*

*რთულია, ენდი როდიკი და ჯეიმს ბლეიკი ანდრე აგასის, ჯიმ კურიეს, მაიკლ ჩანგს ან პიტ სამპრასს შეადარო. ჩვენ მაშინ ბრწყინვალე გუნდი გვყავდა, დღეს კი ასე არ არის. და მაინც, დიდი სურვილი მაქვს, რომ რომელიმე ამერიკელმა საჩოგბურთო მწვერვალს მიაღწიოს.*

*როდიკი ჩამორჩება ტურის წამყვან მოთამაშეებს, ბლეიკი კი საერთოდ მათგან დიდი მანძილით არის დაშორებული. ასე რომ, შესაძლოა, 5, 10 ან 15 წელი დასჭირდეს იმას, რომ ისევ შეიქმნას ნამდვილი ამერიკელი ვარსკვლავებისგან დაკომპლექტებული გუნდი. იქნებ ეს პროცესი 40 წლამდეც კი გაიწელოს. რთულია პროგნოზის გაკეთება.*

*ჯერჯერობით მზად არ ვარ, დევისის თასზე ამერიკის ნაკრებს ჩავუდგე სათავეში. რა თქმა უნდა, ასეთ შესაძლებლობას არ გამოვრიცხავ, მაგრამ დღეს მწვრთნელობაზე არ ვფიქრობ. იქნებ მოგვიანებით მივყო ამ საქმეს ხელი",* - აცხადებს პიტ სამპრასი.



მართალია, ამერიკელი კარგა ხნის წინ გამოეთხოვა აქტიურ სპორტს, მაგრამ ჯერაც გრძელდება მისი და **როჯერ ფედერერის** დაპირისპირება. საქმე ისაა, რომ შვეიცარიელ ჩოგბურთელს „დიდი სლემის" ორი ტურნირის მოგება სჭირდება სამპრასის რეკორდის დასამხობად. დღეისთვის, როჯერს ამ სერიის 13 ტურნირში აქვს მოპოვებული მთავარი პრიზი. სამპრასისა და Tennis Week-ის საუბრის შემდეგი თემა როჯერ ფედერერს ეხება.

*„ფედერერს ჯერ არ ამოუწურავს თავისი შესაძლებლობები. მას ძველებურად სურს პირველი ჩოგანის სტატუსის დაბრუნება და უახლოეს მომავალში ჩემი რეკორდის დამხობა. მას შეუძლია იმდენჯერ მოიგოს უიმბლდონი, რამდენჯერაც მოისურვებს. ფედერერს ამაში საკუთარი თამაში უწყობს ხელს.*

*თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ როჯერი უახლოეს ორ წელიწადში გააუმჯობესებს ჩემს რეკორდს. მე ამას უკვე შევეგუე. ის ბრწყინვალე მოთამაშეა და ამავდროულად, ჩემი მეგობარიცაა. ასე რომ, ისღა დამრჩენია დავჯდე და ვუყურო, როგორ დაამხობს ის ჩემს რეკორდს. მე ამისთვის მას პატივი უნდა ვცე.*

*ძალიან საინტერესოა, როგორ ითამაშებს მომდევნო სეზონში რაფაელ ნადალი. მას კოლოსალური სამუშაოს გაწევა უხდება წამყვანი პოზიციების შესანარჩუნებლად, რამაც შეიძლება მის ჯანმრთელობაზე იქონიოს გავლენა. ეს კი ფედერერს გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს, რადგან მას ნაკლები ძალისხმევა სჭირდება მატჩების მოსაგებად. დღეისთვის რაფა საუკეთესოა და მთელი საჩოგბურთო სამყაროს ყურადღება მისკენ არის მიპყრობილი, საინტერესოა, როგორ გაუძლებს ასეთ ზეწოლას ესპანელი ჩოგბურთელი.*

*მე ფედერერის ფანი ვარ, მომწონს მისი თამაში და მთლიანად მისი პიროვნება. ჩემი აზრით, როჯერი ბრწყინვალე მოთამაშე და კორტს მიღმა შესანიშნავი ადამიანია. საინტერესოა მისთვის თვალის დევნება. ჩემი აზრით, დღეს მოქმედ ჩოგბურთელებს შორის, ის ყველაზე დიადი მოთამაშეა. რა თქმა უნდა, ნადალიც დიდი ჩოგბურთელია, მაგრამ ოდნავ ნაკლები დონისა, ვიდრე როჯერი",* - აგრძელებს სამპრასი.

Tennis Week-ის ჟურნალისტს უყურადღებოდ არ დარჩენია გასულ სეზონში ბრიტანელი **ენდი მიურეის** პროგრესი. აი, რა განაცხადა შოტლანდიელის პერსპექტივებზე პიტ სამპრასმა: *„მას უკვე ერთი ნაბიჯი აშორებს ნადალისა და ფედერერისგან. უახლოეს მომავალში პროგრესი უნდა გააგრძელოს და „დიდი სლემის" ტურნირი მოიგოს. ენდი გასაკუთრებით ამერიკის ღია პირველობაზე მომეწონა. ის ნამდვილი მებრძოლია, ბრწყინვალედ მოძრაობს და უდიდესი ნიჭის პატრონია. და ის უკვე დღეს იმსახურებს დიდ გამარჯვებებს.*

*ერთადერთი, რასაც ენდის ვურჩევდი, ის არის, რომ მან უფრო მეტად ირწმუნოს საკუთარი შესაძლებლობები. იმავე ამერიკის ღია პირველობაზე მომეჩვენა, რომ მას ბოლომდე არ სჯეროდა საკუთარი წარმატების. მაგრამ ენდი მხოლოდ 21 წლისაა და ყველაფერი წინ აქვს. დარწმუნებული ვარ, ის დიდ გამარჯვებებს მიაღწევს".*

# სერბული ინვესტიციები ...

ბელგრადის გარეუბან დორკოლში დიდი საჩოგბურთო კომპლექსის მშენებლობა დაიწყო, რომელმაც 2009 წელს, სერბეთის ტერიტორიაზე ATP-ის პირველ პროფესიულ ტურნირს უნდა უმასპინძლოს. მშენებლობა დაახლოებით 70 მილიონი დინარი დაჯდება. ის ATP-ის სტანდარტების მიხედვით შვიდი კორტის რეკონსტრუქციას ითვალისწინებს. არენას აგრეთვე მომავალ წელს ქალთა ტურნირისა და მსოფლიო უნივერსიადის ჩასატარებლად გამოიყენებენ.

საჩოგბურთო კორტების მშენებლობას ბელგრადის მუნიციპალიტეტი დააფინანსებს. სამუშაოები 2009 წლის აპრილის შუა რიცხვებისთვის უნდა დასრულდეს - იმ ტურნირის დაწყებამდე ორი კვირით ადრე, რომელიც **ჯოკოვიჩების** ოჯახის კუთვნილებაა.

2008 წელს ნოვაკ ჯოკოვიჩი პირველად გახდა „მასტერსის თასის" გამარჯვებული, მანამდე კი მან ავსტრალიის ღია პირველობა და „მასტერსის" სერიის ორი ტურნირი (ინდიან უელსსა და რომში) მოიგო. 21 წლის სერბმა წელს კორტზე 5 689 077 დოლარი გამოიმუშავა. ამაში არ შედის სარეკლამო კონტრაქტებიდან მიღებული თანხა. ფინანსურად ასეთი წარმატებული სეზონის წყალობით, ჯოკოვიჩებს ოჯახურ ბიზნესში (Family Sport) სერიოზული ინვესტიციების ჩადების საშუალება მიეცათ.

ახალ სტადიონზე ცენტრალური კორტი 5 ათას მაყურებელს დაიტევს, ორ კორტზე ტრიბუნები კი 3 ათას მაყურებელს დაიტევს.

ნოვაკ ჯოკოვიჩს მიჰბაძავს კიდევ ერთი სერბი ჩოგბურთელი **ანა ივანოვიჩი**. მას WTA-ის ტურნირის შეძენა სურს, რომელსაც შარშანდელ სეზონამდე ავსტრიის ქალაქი ლინცი მასპინძლობდა.

მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს ტურნირის ლიცენზიის გამოსყიდვა და მისი ბელგარდში გადატანა აქვს განზრახული. სავარაუდოდ, ეს შეჯიბრება 2009 წლის 12-19 ოქტომბერს გაიმართება და მას 20-ათასიანი „არენა" უმასპინძლებს.

ანას მენეჯერები ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებენ ტურნირის „ტრანსფერთან" დაკავშირებით. ამ შემთხვევაში სერბეთის საჩოგბურთო კავშირი ივანოვიჩს მხოლოდ სტრატეგიულ პარტნიორობას გაუწევს, რადგან პროექტის განსახორციელებლად შესაბამისი თანხები არ გააჩნია. ფინანსებისა და სპონსორების მოზიდვით მთლიანად ანა ივანოვიჩი და მისი გუნდი იქნებიან დაკავებული.

რაც შეეხება ქალთა საჩოგბურთო ასოციაციის პოზიციას, ევროპაში ამ ორგანიზაციის დირექტორი **ბენ ვაიატი** აცხადებს, რომ ჯერჯერობით ტურნირის ახალი მასპინძლის რანგში ბელგრადის კანდიდატურა არ განიხილება. „ჩვენ ვიცით ბელგრადის დაინტერესების შესახებ, მაგრამ სერბებისგან ოფიციალური განაცხადი ჯერ არ მიგვიღია", - ამბობს ბენ ვაიატი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ტურნირები



# ფედერერის სია

მსოფლიოს მეორე ჩოგანმა **როჯერ ფედერერმა** ოფიციალურად გამოაქვეყნა იმ ტურნირების სია, რომელშიც ის 2009 წლის სეზონში მიიღებს მონაწილეობას.

ფედერერმა ამ სიას თავის ოფიციალურ ვებგვერდზე გულშემატკივრებისადმი სპეციალური მიმართვაც დაურთო თან: *„სიამოვნებით გაუწყებთ, რომ 2009 წლის სეზონში ჩემი გამოსვლის განრიგი ოფიციალურად არის დამტკიცებული. კმაყოფილი ვარ იმით, თუ როგორ დავგეგმეთ მომავალი წლის გრაფიკი და შესაბამისად, წინ საინტერესო სეზონი გველის.*

*ამჟამად კიდევ რამდენიმე დღე დასვენება მიწევს - გადატვირთული სეზონის შემდეგ მზეზე ნებივრობა უდიდესი სიამოვნებაა. მალე ახალი სეზონისთვის მზადებას დუბაიში შევუდგები. ახალი წლის წარმატებით დასაწყებად აუცილებელია ვარჯიშების ასე ნაადრევად განახლება".*

**ფედერერის ტურნირების სია ასე გამოიყურება**

| | |
|---|---|
| 01.01.09 | Capitala World Tennis Championship. საჩვენებელი. აბუ დაბი |
| 05.01.09 | Qatar ExxonMobil Open. კატეგორია - 250. დოჰა |
| 14.01.09 | AAMI Classic. საჩვენებელი. კუიონგი |
| 19.01.09 | ავსტრალიის ღია პირველობა |
| 23.02.09 | Barclays Dubai Tennis Championships. კატეგორია - 500. დუბაი |
| 06.03.09 | დევისის თასი. მსოფლიოს ჯგუფი. 1/8 ფინალი |
| 09.03.09 | Indian Wells. კატეგორია - 1000. ინდიან უელსი |
| 23.03.09 | Sony Ericsson Open. კატეგორია - 1000. მაიამი |
| 27.04.09 | Internazionali BNL d'Italia. კატეგორია - 1000. რომი |
| 11.05.09 | Mutua Madrilena Masters. კატეგორია - 1000. მადრიდი |
| 24.05.09 | საფრანგეთის ღია პირველობა |
| 08.06.09 | Gerry Weber Open კატეგორია - 250. ჰალე |
| 22.06.09 | უიმბლდონი |
| 10.08.09 | Rogers Cup. კატეგორია - 1000. მონრეალი |
| 17.08.09 | Western & Southern Financial Group Masters. კატეგორია - 1000. ცინცინატი |
| 31.08.09 | აშშ-ის ღია პირველობა |
| 05.10.09 | AIG Japan Open Tennis Championships. კატეგორია - 500. ტოკიო |
| 12.10.09 | Shanghai. კატეგორია - 1000. შანხაი |
| 02.11.09 | Davidoff Swiss Indoors. კატეგორია - 500. ბაზელი |
| 09.11.09 | BNP Paribas Masters. კატეგორია - 1000. პარიზი |
| 23.11.09 | Barclays ATP World Tour Finals. წლის შემაჯამებელი. ლონდონი |

